პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში ავტორებთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივანი . . . . . 10—58
მასობრივი განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით — 12 მან.
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი! ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დღეს იხსნება სრულიად საქართველოს საბჭოების მე-6 ყრილობა

კვირა, 15 თებერვალი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 39 (2994)

საბჭოთა საქართველოს ათი წლის არსებობის საიუბილეო ყრილობას, სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს—მხურვალე ბოლშევიკური სალამი!

საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის

დღეს იხსნება საქართველოს საბჭოთა მეექვსე ყრილობა. ის იკრიბება სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პერიოდში — ხუთწლედის მესამე წლის დასაწყისში. ხუთწლედის მესამე წელი კი სოციალისტური აღმშენებლობის გადამწყვეტი წელია, ამ წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება. ამიტომ საბჭოების მეექვსე ყრილობას მოუხდება ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში ჩატარებულ მუშაობის არა მარტო აღნუსხვა, არა მარტო იმის დემონსტრაცია საქართველოს მშრომელთა ფართო მასების წინაშე, რაც მიღწეულ იქნა ჩვენში გასული წლების განმავლობაში მუშურ გლეხური ხელისუფლების მიერ მეურნეობის და სოციალ კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, არამედ ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს ბოლშევიკური ღონისძიებანი სოციალისტური მშენებლობის შემდეგი გაშლა-გაფართოებისათვის მთელ ქვეყანაში კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრისათვის.

ჩვენ უახლოვდებით საქართველოს მშრომელთა ბრწყინვალე დღესასწაულს, 25 თებერვალს, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების დღეს მუშათა კლასის მოღალატეებისაგან, კონტრ - რევოლიუციონური მენშევიკური მთავრობის აღსასრულის დღეს და ამიტომ საბჭოების მეექვსე ყრილობის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმის გამო, რომ ის ხვდება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავს.

ათი წლის წინეთ მუშებისა და მშრომელ გლეხების მრისხანე ტალღამ აღგავა საქართველოდან ევროპის იმპერიალისტების ხიშტებით და რუსეთის რეაქციონურ ძალების შემწეობით დამყარებული მთავრობა კაპიტალის ერთგული დამცველებისა, დიდი ოქტომბრის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ძალებისა. მის ნანგრევებზე საქართველოს გამარჯვებულმა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ თავისი ხელისუფლება დაამყარა და შეუდგა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად სოციალისტური საზოგადოების აგებას.

გზა, რომელიც გასული ათი წლის განმავლობაში განვლო საქართველოს მშრომელმა მასებმა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით, არის გზა მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობისა, ის არის სოციალიზმისათვის მებრძოლ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლისა და უდიდესი აღმშენებლობის გზა. ჩვენი ქვეყნის ბედი საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ დღიდანვე მჭიდროთ დაუკავშირდა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ბედს და საბჭოთა საქართველო შევიდა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ კავშირში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი.

სწორედ ამიტომ საბჭოების მეექვსე ყრილობამ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, მიღწევები, რომელმაც შესაძლებელი გახადეს რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიის, მენშევიკების მიერ არსებულ, გაპარტახებულ ქვეყნის ეკონომიური აღორძინების და კულტურული აყვავების გზაზე დადგომა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებული ვიბრძოდით ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ პროლეტარიატთან ერთად, ამ პროლეტარიატის აქტიური დახმარებით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო სახე, რადიკალური ცვლილებანი მოხდა მშრომელ მასების სოციალურ ცხოვრებაში და განსაცვიფრებლად გაიზარდა ამ მასების კულტურული დონე. სამეურნეო და სოციალური ცხოვრების წინსვლამ სოციალისტური განვითარების გზით, გამოიწვია მანამდე დაჩაგრულ, მივიწყებულ მუშების და მშრომელ გლეხობის მრავალათასიან მასების ფეხზე დაყენება, მათი მატერიალური დონის ამაღლება და აქტიური ჩაბმა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველო, ეს ძალზე ჩამორჩენილი აგრარული კოლონია, ხდება ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ სოციალისტური მრეწველობის და სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად.

ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები, როგორც მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მხრივ. წვრილი, მცირე ნაყოფიერი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობანი ჩვენში უკვე დაადგა კოლექტივიზაციის გზას და საბჭოების მეექვსე ყრილობისათვის განსაზოგადოებულ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა უკვე 20,8 პროცენტს უდრის. მარტო გასული ერთი წლის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 51 პროცენტით, ხოლო მუშათა რიცხვი 25 პროცენტით. მიმდინარე წლისთვის კი ჩვენში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი ბევრად უფრო სწრაფი იქნება. გეგმით ნავარაუდევია 1931 წლის კაპიტალური დაბანდებანი 85.046.900 მანეთის რაოდენობით. აქედან მარტო ელექტროფიკაციაზე დაიხარჯება 22.770.000 მანეთი, მიმდინარე წელს მრეწველობაში ჩაბმული იქნება 9154 ახალი მუშა, სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 81 პროცენტით შედარებით გასულ წელთან, რის გამო ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ შესრულებული იქნება უკვე მესამე წელში 88 პროცენტით, ხოლო მძიმე ინდუსტრიის დარგში 93 პროცენტით.

საბჭოების მეექვსე ყრილობის ყურადღების ცენტრში უნდა იქნას დასმული საკითხი იმ ღონისძიებათა დასახვის შესახებ, რომელნიც უზრუნველყოფენ ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართო გეგმის განხორციელებას, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლას და აუცილებელ პირობების მომზადებას საქართველოში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

საბჭოების ყრილობაზე რადიკალურად უნდა დაისვას საკითხი ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესახებ. მარცვლეული კულტურის ადგილი ჩვენს სოფლის მეურნეობაში უნდა დაიკავოს სპეციალურმა ტექნიკურმა კულტურებმა და პროდუქტიულმა მესაქონლეობამ. საქართველო უნდა იქნეს უმთავრესად არა მარცვლეულ კულტურების, არამედ ტექნიკური ნედლეულის მწარმოებელი ქვეყანა და ამით უნდა შეუქმნათ ამ ნედლეულის მტკიცე ბაზა ჩვენს ინდუსტრიას. მარცვლეული კულტურები, რომელნიც ეხლა სოფლის მეურნეობის მთავარ დარგებს წარმოადგენენ, უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგებად უნდა გადავაქციოთ. მარცვლეული კულტურის შევიწროების, მათი თანდათანობითი განდევნის ხარჯზე საქართველო უნდა იქცეს ძვირფას ტექნიკური კულტურების მხარედ, რაიც უდიდეს ცვლილებებს შეიტანს სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში და ძალზე გაადიდებს მის შემოსავლიანობას. უნდა მოხდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია ტექნიკური კულტურების და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარების მხრივ, პირველ რიგში თვით საკოლმეურნეო ქსელის სპეციალიზაციის მეოხებით. ამიტომ კოლმეურნეობებიდან უნდა გავაძევოთ მარცვლეული კულტურები და ეს უნდა იქნას ურყევ დირექტივად ყოველი კოლმეურნეობისათვის.

საბჭოების ყრილობას უხდება მუშაობა გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის მზადების დროს. ამიტომ მან თავისი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრას გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის ამოცანებს, მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის წარმატებით ჩატარებას.

დიდი მნიშვნელობისაა ყრილობის დღის წესრიგში დასმული საკითხი საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შესახებ. უდავოა, რომ კულტურული რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ფართო მასების კულტურული დონის აწევის საკითხი, რაიც სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უმთავრესი პირობაა. მიმდინარე წელს 35 რაიონში ტარდება საყოველთაო სავალდებულო სწავლება ოთხწლედის ფარგლებში. მაგრამ საჭიროა ამ მუშაობის მეტი გაშლა და საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება მთელი საქართველოს მასშტაბით და არა მარტო ოთხწლედის, არამედ შვიდწლედის ფარგლებში.

ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასახული ტემპების განხორციელება მოითხოვს პირველ რიგში საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას, საბჭოების პირით მობრუნებას საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ და მათ გადაქცევას სოფლის სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ შტაბად. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში დასახული ამოცანების განხორციელება შეუძლებელია საბჭოების მუშაობის გარდაქმნის, მათი მებრძოლ ორგანოებად გადაქცევის გარეშე.

საქართველოს მუშათა და მშრომელ გლეხთა მასებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდი[illegible]ლისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოწინააღმდეგე კლასობრივ ძალთა გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში. ეს მიღწევანი მოპოვებული იქნა თვითმპყრობელობის და მენშევიზმის საძაგელი მემკვიდრეობის—ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბრძოლაში მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პოლიტიკა შეურიგებელ წინააღმდეგობას ხვდებოდა კულაკების, მენშევიკების ნაშთების და სხვა კონტრრევოლიუციონური ძალების მხრივ. საბჭოების ყრილობა მტკიცედ იტყვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მომავალშიაც შეურყევლად განაგრძობს ამ პოლიტიკას სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში. ამ პოლიტიკას ის განახორციელებს მშრომელთა ფართო მასების აქტიური მხარის დაჭერით და დაუნდობელი ბრძოლით მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის, სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მემარცხენე“ ბლოკის და ყველა მათდამი შემარიგებლობის, კონტრრევოლიუციონური მენშევიზმის და ტროცკიზმის ნაშთების, აგრეთვე ყველა სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი სოციალიზმის მშენებელთა არმიას, საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, მოჯამაგირეებს, ღარიბ და საშუალო გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლებს—სრულიად საქართველოს საბჭოების მეექვსე ყრილობას.

საქართველოს მრეწველობა 1931 წელში

(საუბარი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. [illegible])

გასულ 1929-30 წელში — ხუთწლედის მეორე წელში საქართველოს მუშათა კლასმა უდიდესი მიღწევები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის დარგში.

სოციალისტური შრომის (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.) მეთოდების ფართოდ გამოყენება, პროლეტარიატის აქტივობის ზრდა, მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოების გახსნა, ძველი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, საერთო პროდუქციის სწრაფი ზრდა, მუშათა რიცხვის მნიშვნელოვანი გადიდება, შრომის ნაყოფიერების და პროლეტარიატის მატერიალურ - კულტურული დონის ზრდა, მთელ რიგ საწარმოების გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე და განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე და სხვა — აი, ის ნიშნები, რაც ახასიათებდა საქართველოს მრეწველობის განვითარებას ხუთწლედის გასული ორი წლის განმავლობაში.

1929-30 წელში მუშების რიცხვი 17.404-დან, რომელიც იყო 28-29 წელში, გაიზარდა 21.763-დე, ე. ი. 225 პროც.-ით, საერთო პროდუქცია — 51,5 პროც.-ით, შრომის ნაყოფიერება — 24,3 პროც.-ით, მუშათა ხელფასი—10,4 პროც.-ით საფაბრიკო - საქარხნო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 7,6 პროც.-ით. თუმცა ხუთწლედის მეორე წლის საკონტროლო ციფრები მთლიანად არ არის შესრულებული, მაგრამ მიღწეული შედეგები მნიშვნელოვნად აღემატება ხუთწლედის მეორე წლის დავალებებს.

მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგში მუშათა რიცხვის ინტენსიურ ზრდის შედეგად და რეკონსტრუქტიული ღონისძიებების წყალობით ხუთწლედის მეორე წელმა მოგვცა უმუშევრობის ლიკვიდაცია. კერძოდ, საქართველოს ს. მ. უ. ს. ქვემდებარე მრეწველობაში მუშების რიცხვი 11683-დან გაიზარდა 14114-მდე ე. ი. 28,8 პროცენტით.

5 წლედის მეორე წელი ხასიათდება შრომის დისციპლინის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და სამუშაო საათების გაცდენის შემცირებით. როგორც ვსთქვით, მარტო 1929-30 წელში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 24,3 პროცენტით.

მრეწველობის 5 წლიან გეგმის ერთ - ერთი ცენტრალური პრობლემაა საფაბრიკო - საქარხნო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. უკანასკნელ წლებში ამ დარგში ჩვენ თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ. 1928-29 წელში თვითღირებულება შემცირდა 7,2 პროცენტით, 1929-30 წელში კი—7,6 პროცენტით.

რაც შეეხება საერთო პროდუქციის გადიდებას, ამ მხრივ გეგმის შესრულებას დააკლდა 1,4 პროცენტი. საერთოდ „ა“ ჯგუფი იძლევა გეგმის შესრულებას 99,8 პროცენტით, „ბ“ ჯგუფი კი 97,6 პროცენტით, ცალკე დარგებიდან გეგმა საუკეთესოთ შეასრულეს შემდეგმა დარგებმა: აბრეშუმის მრეწველობამ გეგმა შეასრულა 17,2 პროცენტის გადაჭარბებით. გრანიტის ქარხანამ—19,1 პროცენტის გადაჭარბებით და ლიტოგრაფიული ქვის მრეწველობამ 28,8 პროცენტის გადაჭარბებით.

სოციალისტური მშენებლობის წარმატება 5 წლედის მეორე წელში ამტკიცებს 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის დავალებათა არა მარტო სრულ რეალობას, არამედ იმასაც, რომ სავსებით შესაძლებელია 5 წლიანი გეგმის შესრულება 4 წელიწადში.

ეს უდიდესი მიღწევები შესაძლებელი შეიქნა კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის და პარტიაში მისი აგენტურის დაძლევის შედეგად, ორ ფრონტზე — მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საშიშროების, და „მემარცხენე“ გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, უპრინციპო მემარჯვენე - „მომემარცხენე“ ბლოკთან ბრძოლის შედეგად.

რაც შეეხება მრეწველობის 1931 წლის საკონტროლო ციფრებს, უნდა ითქვას, რომ ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგები საშუალებას გვაძლევენ 1931 წელში ავიღოთ კიდევ უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. 5 წლედის მესამე წელი მრეწველობის დარგში უნდა გახდეს გადამწყვეტ წელიწადად, ჩვენ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ არა მარტო მაღალ ტემპებისათვის, არამედ განსაკუთრებით ხარისხობრივ დავალებათა უეჭველი განხორციელებისათვის.

სოციალისტური მრეწველობას და ელექტროფიკაციის კაპიტალური სამუშაოზე დაბანდებული იქნება 1931 წელში 85.046.900 მანეთი, აქედან ელექტროფიკაციის დარგში 22.770.000 მანეთი და მრეწველობაში 62276.900 მანეთი.

1931 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ შემდეგი მსხვილი სამრეწველო საწარმოების მშენებლობას: ფერომარგანეცის ქარხანა ზესტაფონში, ლითონის ქარხანა თბილისში, ფოთის ხე - ტყის კომბინატი, გომის შაქრის ქარხანა, ქუთაისის საკონსერვო ქარხანა, მარგარინის ქარხანა თბილისში, ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში, ბიტუმის ქარხანა ნატანებში, სახურავი ფიქალის დამუშავება კახეთში, ანდეზიტის დამუშავება ყაზბეგში და მთელი რიგი აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების აგება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ამას გარდა მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ რიონის, ელსადგურის დამთავრებას და ალაზანის და აჭარის - წყალის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის დაჩქარებას.

საერთო პროდუქციის ზრდა მთელს სახელმწიფო მრეწველობაში გათვალისწინებულია 81 პროცენტით, 1930 წელთან შედარებით, რაც ნიშნავს მთელი 5 წლიანი გეგმის შესრულებას სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ 5 წლედის მესამე წელში 88 პროცენტით, საწარმოო საშუალებათა დამზადების დარგში კი 93 პროცენტით.

თუ ავიღებთ ცალკე დარგებს, მრეწველობას 1931 წელში ეძლევა შემდეგი დავალება: ნახშირის ამოღება გადიდებული უნდა იქნეს 250.000 ტონამდე, მარგანეცის ამოღება — 360.000 ტონამდე, დიატომიტის — 6.500 ტონა, ბარიტი — 50.000 ტონა, აგური — 83.212.000 ცალი, ანდეზიტი — 34.000 კუბომეტრი, სახურავი ფიქალი — 8.000 ტონა, ტუფი, — 15.000 კუბო მეტრი, დახერხილი ხე - ტყის მასალა 323.770 კუბომეტრი, ცემენტი — 750.000 კასრი, აბრეშუმის გრეჟა 198 ტონა, აბრეშუმის ქსოვილები — 1.259.000 მეტრი, შალის ქსოვილები — 1.289 ათასი მეტრი, ფეხსაცმელი — 1.450 ათასი წყვილი, პაპიროსი 6 მილიარდ 435 მილიონი ცალი, კონსერვი — 23.000.000 ცალი, ბორჯომის წყალი — 16.500.000 ლიტრა და საპონი — 4.000 ტონა.

რაც შეეხება მუშების რიცხვს, „ა“ ჯგუფი 1931 წელში მათი რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს 20.244-მდე, 1930 წელში კი იყო 15.577, ზრდა უდრის 4.677; „ბ“ ჯგუფში მუშათა რიცხვი 7.472-დან გადიდებული უნდა იქნეს 11.961-მდე, ე. ი. 4480. ამრიგად, 1931 წელში საქართველოს მრეწველობაში ჩაბმული იქნება 9154 ახალი მუშახელი. შრომის ხელფასის გადიდება მთელ მრეწველობისათვის ნავარაუდევია 6 პროცენტით.

დასახულ რიცხვობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულებაში, გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივამ (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, შემხვედრი გეგმები) და აგრეთვე მთელ რიგ სოციალისტურ ღონისძიებების შემოღებამ (განუწყვეტელი კვირა, 7 საათის სამუშაო დღე), რომლებმაც უნდა უზრუნველყონ 5 წლიან გეგმის შესრულება 4 წელიწადში, ხოლო გადამწყვეტ დარგებში 3 წლის განმავლობაში.

უდიდესი მიღწევების ყრილობა

(საუბარი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძესთან)

სრულიად საქართველოს საბჭოების მეექვსე ყრილობა იხსნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის წინ. ამიტომ ამ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მან ჯამი უნდა გაუკეთოს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას არა მარტო უკანასკნელი ორი საანგარიშო წლის, არამედ მთელი ათი წლის განმავლობაში.

ამ ყრილობამ უნდა გვიჩვენოს ყველა ის მიღწევები სახალხო მეურნეობის და სოციალურ - კულტურულ მუშაობის დარგებში, რომელიც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას, უნდა გვიჩვენოს ის უტყუარი შედეგები, რომლის უარყოფაც არავის შეუძლია.

გარდა ამისა ყრილობამ უნდა აღნიშნოს, თუ რამდენად იქნა ამ ორი წლის განმავლობაში შესრულებული ის პროგრამა, რომელსაც აძლევდა ხუთწლიანი გეგმა და აქედან უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა —შეიძლება თუ არა ჩვენ ხუთწლიანი გეგმის შესრულება ოთხი წლის განმავლობაში მთელს სახალხო მეურნეობაში და ცალკე დარგებში კი შეიძლება კიდევ უფრო ნაკლებ ვადაში.

ყრილობამ ამავე დროს უნდა აღნიშნოს ის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, რომელიც აქვს 1931 წელს. ყრილობამ უნდა გვიჩვენოს აგრეთვე, თუ რამდენად სრულდება პარტიის დირექტივები სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის აგების დასამთავრებლად ხუთწლედის მესამე წელში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ პროგრამის შესრულება მოითხოვს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის ყველა ძალების დაჭიმვას, რომ ამ პროგრამის შესრულებას წინ ელობება მრავალი დაბრკოლება და სიძნელეები, რომ კაპიტალისტური ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ჩვენს ქვეყანაში, უკანასკნელ ძალღონეს იხმარებენ ამ მუშაობის ჩაშლისათვის. გარდა ამისა ამ პროგრამის შესრულებას წინააღმდეგობას გაუწევენ აგრეთვე ზოგიერთი მერყევი ელემენტები თვით კომუნისტურ პარტიაში, პანიკიორები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები. მხოლოდ ლენინის პარტიის პოლიტიკა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ხაზი უზრუნველყოფს ყველა ამ დაბრკოლებების დაძლევას.

საბჭოთა ხელისუფლების მუშაობამ ათი წლის განმავლობაში ნამდვილი რევოლიუცია მოახდინა საქართველოს ეკონომიკაში. საქართველოს სახე გამოიცვალა. საქართველოში ჩვენ გვაქვს მეურნეობის უდიდესი ზრდა. განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები და ამუშავდა დიდი, სრულიად ახალი ფაბრიკა-ქარხნები. უდიდესი მიღწევები გვაქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობა თავს აღწევს იმ ჩამორჩენილობას, რომელიც აქ იყო დიდი ხნის განმავლობაში. სოფლის მეურნეობაში ხდება ძირითადი გარდატეხა არა მარტო მისი ტექნიკური ბაზის მაღალ საფეხურზე აყვანის მხრივ, არამედ იმ მხრივაც, რომ წვრილი, დაქუცმაცებული ინდივიდუალური მეურნეობები გადადიან მსხვილ მეურნეობებზე. ფართოვდება საბჭოთა მეურნეობის და კოლექტიურ მეურნეობების ქსელი.

ამ ნივთიერ, მატერიალურ გარდაქმნასთან ერთად აჩქარებით ხდება აგრეთვე კულტურული რევოლიუცია. სკოლა, სწავლა განათლება შეიჭრა იქ, სადაც რამოდენიმე წლის წინად სიბნელე, ცრუმორწმუნეობა და უკიდურესი ჩამორჩენა სუფევდა.

საგულისხმოა ის, რომ მთელ ამ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც ჩამორჩენილი კუთხეები, ისე განსაკუთრებით ის ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომლებიც როგორც თვითმპყრობელობის ისე კიდევ უფრო მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში განიცდიდნენ ტანჯვას და დევნას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ჯერ არ ნახული და გაუგონარი სოციალისტური მშენებლობა. საბჭოთა საქართველო განმტკიცდა და გაიზარდა ა.-კ. ფედერაციასთან და მთელი საბჭოთა კავშირის გაძლიერებასთან ერთად.

საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში აქვს მრავალი რამ, რითაც შეუძლია იამაყოს და პირნათლად წარსდგეს ყველა ქვეყნის მუშებისა და მშრომელ გლეხობის წინაშე. საქართველოს მშრომელი მასები მთელი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად სრული იმედით და რწმენით შეჰყურებენ მომავალს. ისინი რათაც არ უნდა დაუჯდეთ განახორციელებენ ლენინის ანდერძს — სოციალიზმს.

კულტურული რევოლიუციის ძირითადი ამოცანა

(საუბარი განათლების სახალხო კომისართან ამხ. გ. დევდარიანთან)

სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია თუ საფუძვლიანი გარდატეხა არ მოხდება მთელს კულტურულ მუშაობაში. მრეწველობის რეკონსტრუქცია, ბრძოლა საწარმოო - საფინანსო გეგმისათვის, ბრძოლა მშენებლობის ბოლშევიკური ტემპებისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, საკოლმეურნეო მოძრაობის სწრაფი ზრდა, კლასთა ბრძოლის გამწვავება, რაც დაკავშირებულია ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეტევასთან, განსაკუთრებით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციასთან მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, და სოციალისტური მშენებლობის სხვა მებრძოლი ამოცანები მოითხოვენ გადამწყვეტ რევოლიუციონურ გარდატეხას კულტურული რევოლიუციის პრობლემების ბოლშევიკურად გადაწყვეტის საქმეში.

ყველა ფრონტებზე ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეტევა მოითხოვს ახალ მომზადებულ კადრებს. იგი მოგვიწოდებს ჩვენ ქვეყნის კულტურულ-ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მასების კომუნისტურად აღზრდისაკენ. ამ ამოცანების დადებითად გადაწყვეტა წარმოდგენილია საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების დაჩქარებით გატარების გარეშე.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვანოთ რამოდენიმე ციფრი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სკოლების რიცხვი რესპუბლიკაში გაიზარდა 169 პროც., მოსწავლეთა რიცხვი, 5.514 პროც., პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა — 737 პროც. დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობდა სასკოლო შენობების აგება. 28-29 სამოსწავლო წელში აგებული იქნა 44 შენობა, 29-30 წელში კი - 66.

მიმდინარე 1930-31 სამოსწავლო წელში საყოველთაო პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლება შემოღებულია 35 რაიონში. გეგმით გათვალისწინებულია 626 სასკოლო წერტილის ანდა 626 ძირითადი ჯგუფის გახსნა. ფაქტიურად 15 იანვრისათვის 50 რაიონში გახსნილია 1164 ჯგუფი. გეგმა შესრულებულია 214,1 პროც. გეგმით გათვალისწინებულია 2.037 ახალი პედაგოგის ჩაბმა სკოლებში, ფაქტიურად კი ჩაბმულია — 1.968. ქართული და სომხური სკოლები პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფილია. ამ პედაგოგიურ პერსონალს ამზადებენ პედაგოგიური ტეხნიკუმები. განსაკუთრებით მწვავედ სდგას თურქული და ნაწილობრივ ბერძნული სკოლების პედაგოგიური პერსონალის მომზადების საკითხი. ამ მდგომარეობის თანდათანობით აღმოსაფხვრელად ჩვენ წელს გავხსენით მთელი რიგი თურქული ტეხნიკუმები და მოვაწყვეთ თბილისის თურქულ ტეხნიკუმებთან პარალელური განყოფილება. ამას გარდა ახალციხეში, სარვანში და თბილისში გახსნილია კურსები თურქ მასწავლებლების მოსამზადებლად. სულ ამ კურსების საშუალებით მომზადებული იქნება 170 კაცი.

ქურთი მასწავლებლების მოსამზადებლად თბილისში გახსნილია კურსები 25 კაცისათვის.

ცხინვალში 15 თებერვლიდან იხსნება კურსები 50 ოსი პედაგოგის მოსამზადებლად. ბერძნებისათვის აფხაზეთში არსებობს ერთი პედაგოგიური ტეხნიკუმი: განზრახულია აჭარისტანის ბერძნული ათწლედის რეორგანიზაცია.

პარტიის მე-16 ყრილობამ წამოაყენა ამოცანა — შესრულებული იქნას ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში და სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე გარდაქმნილი იქნას სოფლის მეურნეობა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების საკითხს. კადრების პრობლემის გადაწყვეტის ამოცანა მოითხოვს მთელი მასიური სკოლის გარდაქმნას პოლიტეხნიზაციის საფუძველზე. სხვა გზა არ არსებობს ამ საკითხის გადასაჭრელად.

ბრძოლა პოლიტეხნიზმისათვის ბრძოლა ყოველმხრივ განვითარებულ კადრების მომზადებისათვის არ არის მარტო სახალხო განათლების ორგანოების საქმე. ეს მთელი სახელმწიფოს, მთელი პარტიის და პირველ რიგში ყველა სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოების საქმეა. მიუხედავად ამისა, პოლიტეხნიზმის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული ყველა ორგანიზაციებს და ხშირად ჩვენ ვხდებით პოლიტეხნიზაციის მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეფასებას სამეურნეო ორგანოების მხრიდან.

კადრების საკითხი საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა: ხუთწლიანი გეგმის მეორე ვარიანტით სასაქართველოში სამი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 1757 ინჟინერი, 2.914 აგრონომი, 1945 ეკონომისტი, 2496 ექიმი, 3.865 პედაგოგი, ამას გარდა საჭირო იქნება საშუალო კვალიფიკაციის მუშაკები: ინჟინერები — 3.932, აგრონომები — 6.606, ეკონომისტები — 3.683, ექიმები 3.753 და პედაგოგი — 10.952.

ვინაიდან ჩვენ საშუალება არა გვაქვს ერთბაშად დავფაროთ ასეთი დეფიციტი, იძულებული ვართ ყურადღება მივაქციოთ სკოლის გარეშე მომზადების ფორმებს. ასეთია გადასამზადებელი კურსები, დამსწრებელი კურსები, სკოლა-წარმოებები, მოკლევადიანი კურსები კვალიფიციურ მუშებისა და ოსტატებისათვის და სხვ.

ასეთი დაწესებულებების ქსელი ჩვენში სუსტად არის განვითარებული და მას ყურადღება უნდა მიექცეს რომ არ შეფერხდეს კადრების მომზადება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის.

პოლიტეხნიზმის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მრეწველობა დიდად ზარალობს იმის გამო, რომ მუშა-ხელის მომზადება არ არის შეუფარდებული ახალ მოწყობილობასთან, ტეხნიკის ახალ მიღწევებთან.

როგორც ვხედავთ, სკოლის პოლიტეხნიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ საქართველოში ამ მხრივ? უნდა ითქვას რომ მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მთელ რიგ ორგანიზაციებს არა აქვთ შეგნებული პოლიტეხნიზაციის მნიშვნელობა და დახმარების მაგივრად ისინი ხელს უშლიან ამ საქმეს. ასე მაგალითად, გორის რაიონს სახელოსნოების მოსაწყობად 6 სკოლასთან გათვალისწინებული ჰქონდა 10 ათასი მანეთის დახარჯვა, ფინსახკომის სპეცებმა კი ეს თანხა შეამცირეს 10 მანეთამდე თვითეულ სკოლისათვის. ყველგან არ არის გატარებული სკოლების მიმაგრება წარმოებებზე. პოლიტეხნიზაციის შეუფასებლობას ადგილი აქვს აგრეთვე თბილისშიაც. თბილისის სკოლების გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ მათი უმრავლესობა ფორმალურად არის მიმაგრებული წარმოებებზე, ზოგი კი სრულებით არ არის მიმაგრებული. არის შემთხვევები როცა ერთ და იმავე ქარხანაზე მიმაგრებულია რამდენიმე სკოლა. ეს მუშაობა უფრო გეგმიანად უნდა იქნეს ჩატარებული.

რაც შეეხება სასკოლო მშენებლობას მიმდინარე წელში ამ დარგში გათვალისწინებულია შემდეგი: ოთხწლედებისათვის აგებული იქნება 120 ახალი შენობა, აღდგენილი იქნება 80 და დამთავრებული 35 დაწყებული შენობა; 7 წლედებისათვის შენდება 10 ახალი შენობა და დამთავრდება 15. ტეხნიკუმებისათვის აგებული იქნება შენობები ახალციხეში, ბეჩოში, გურჯაანში, გორში, კოჯორში, არვანში და ცხინვალში. ეწყობა საერთო საცხოვრებელი პედაგოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

დასასრულ, უნდა შევეხოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლების მატერიალურ ბაზას. სულ ამ საქმისათვის 1931 წელში გათვალისწინებულია 21.071.335 მანეთი. მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე სკოლებში ჩაბმული იქნება 330.988 მოსწავლე, სექტემბრის შემდეგ კი 358.170. მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფა გეგმით ნავარაუდევია 2.481.860 მანეთის ფარგლებში, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ 124.093 მოწაფე, ე. ი. მოსწავლეთა 35 პროცენტი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების ხარჯები უმთავრესად დაფარული იქნება საბიუჯეტო საშუალებებიდან. სამეურნეო ორგანოების მონაწილეობა ამ საქმეში გამოიხატება 1.879.753 მანეთში.

ჩვენს შემდგომ ამოცანას წარმოადგენს საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გატარებაში ოთხწლედიდან გადავიდეთ შვიდწლედზე.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების ტემპი ჩვენ უნდა დავაჩქაროთ და მტკიცე ბოლშევიკური ხელით აღკვეთით ყველა დაბრკოლებანი, რომელნიც ჩვენ ამ გზაზე გადაგვეღობება. განსაკუთრებით უნდა შევუტიოთ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმს. რომელიც ხელს უშლის კულტურულ რევოლიუციის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ საჭირო გარდატეხას ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში და ბოლო მოუღოთ ზოგიერთ ორგანიზაციების მიერ საყოველთაო სავალდებულო სწავლების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას.

ვ. ი. ლენინის თეზისებიდან

საწარმოო პროპაგანდის შესახებ

(შავად დაწერილი)

მოსკოვი, 14 თებერვალი. 1. დღევანდელ მომენტში, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამხედრო გამარჯვებებთან და, საზოგადოდ, მის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საწარმოო პროპაგანდა კვლავ პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ, გავაძლიეროთ და ორგანიზაციულად განვამტკიცოთ.

2. ხელმძღვანელმა გაზეთებმა „იზვესტია“-მ და „პრავდა“-მ პირველ რიგში უნდა: ა) შეამცირონ ის ადგილი, რომელიც პოლიტიკას ეთმობა, და გაადიდონ საწარმოო პროპაგანდის განყოფილება; ბ) გავლენა მოახდინონ პარტიისა და საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაზე იმ მხრივ, რომ მათ მეტი ძალღონე მოახმარონ საწარმოო პროპაგანდას; გ) ეცადონ — საწარმოო პროპაგანდის საქმე სისტემატიურად დასვან საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით, გამოიმუშაონ ფართო ზომები საწარმოო პროპაგანდის განვითარებისა და გაუმჯობესების, განსაკუთრებით მისი რეალური, საქმით განხორციელებული წარმატებების შემოწმებისათვის.

3. ასევე სისტემაში მოყვანილი, გაფართოებულ და განვითარებულ უნდა იქნას მუშაობა ნიჭიერი ადმინისტრატორების, ორგანიზატორების და გამომგონებლების დასაწინაურებლად მუშათა და გლეხთა მასიდან.

4. საწარმოო პროპაგანდა მთელ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში უნდა გაერთიანდეს ერთი ორგანოს ხელმძღვანელობით, იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას ძალთა ეკონომია და მუშაობა უფრო სწორად წარიმართოს. ამასთან აბსოლიუტორად საჭიროა უფართოესი ავტონომია — ადგილობრივი და პროფესიონალური. უნდა ხდებოდეს ყოველი მნიშვნელოვანი წარმატების სისტემატიური, სწორად დაყენებული დაჯილდოება (ნატურალური პრემიები და სხვ.), უნდა მოეწყოს წარმატებათა მიუდგომელი კომპეტენტური შემოწმება.

5. საწარმოო პროპაგანდის მთლიან ხელმძღვანელ ორგანოდ უნდა იყოს პოპულიარული მასიური გაზეთის რედაქცია. ამ გაზეთის ტირაჟი უნდა უდრიდეს 500.000—1.000.000 ცალს.

ასეთი ტიპის სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო გაზეთების დაყოფა მავნებელია, ვინაიდან სოციალიზმის მიზანია — დაახლოვოს და გაეერთიანოს მრეწველობა და მიწათმოქმედება. ხოლო პრაქტიკულად სამრეწველო პროლეტარიატის როლი ქალაქად და სოფლად, განსაკუთრებით მიწათმოქმედების ორგანიზაციაში და მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში, მოითხოვს სწორედ მთლიან საწარმოო გაზეთს (და მთლიან ხელმძღვანელობას საწარმოო პროპაგანდის საქმეში) მუშებისათვისაც და გლეხებისათვისაც.

6. ხელმძღვანელი კოლეგია უნდა შესდგებოდეს ხუთი კაცისაგან: 1) ცენტრალური პროფსაბჭო, 2) ს.მ.უ. საბჭო, 3) მიწსახკომი, 4) პოლიტიკური განათლების მთავარსამმართველო და 5) რუს. კ.პ. ც.კ-ი (ან პასუხისმგებელი რედაქტორი). გაზეთის კოლეგია უნდა არსებობდეს ცენტრალურ პროფსაბჭოსთან (შეიძლება მიემატოს ერთი კიდევ პროფგანათლების მთავარსამმართველოდან).

7. საწარმოო გაზეთი პოპულიარული უნდა იყოს — იმ მხრივ, რომ ხელმისაწვდომი იყოს მილიონებისათვის, მაგრამ იგი არ უნდა დაადგეს პოპულიარობის გზას. იგი არ უნდა დაქვეითდეს განუვითარებელი მკითხველის დონემდე, პირიქით, მან განუხრელად და მეტად ფრთხილი თანდათანობით უნდა ასწიოს მისი განვითარება. პოლიტიკას უნდა დაეთმოს მცირე ადგილი, დაახლოებით მეოთხედი. მთავარი ადგილი დაეთმობა მთლიან სამეურნეო გეგმას, შრომის ფრონტს, საწარმოო პროპაგანდას, მუშებისა და გლეხებისთვის მართვა-გამგეობის შესწავლას, კანონების და საბჭოთა დაწესებულებებისა და მეურნეობების ღონისძიებათა ნამდვილი განხორციელების შემოწმებას და აზრთა სწორ გაცვლა - გამოცვლას მასიურ მკითხველთან.

8. გაზეთში დაბეჭდილი, გაზეთებში მიღებული, აგრეთვე სხვა მასალა სისტემატიურად და პერიოდულად უნდა იბეჭდებოდეს და მას აუცილებლად უნდა აწვდიდნენ ბიბლიოთეკებს, ხოლო შემდეგ ამა თუ იმ წარმოების ყველა ფაბრიკებს და საწარმოებს (წიგნაკებსა და ფურცლებში მასალა დალაგებული უნდა იყოს წარმოებების მიხედვით). სახელმძღვანელოებთან და საზღვარ - გარეთის ტეხნიკის მიმოხილვებთან ერთად, ამ მასალის საშუალებით უნდა ვრცელდებოდეს პროფესიონალურ - ტეხნიკური და პოლიტეხნიკური განათლება.

კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს გაზეთების, აგრეთვე საწარმოო ბროშურებისა და ფურცლების, უფრო სწორად განაწილება რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს შორის.

9. საჭიროა ინჟენერების, აგრონომების და მასწავლებლების, ხოლო შემდეგ იმ საბჭოთა მოსამსახურეების, რომელნიც სათანადო კვალიფიკაციას აკმაყოფილებენ, ჩაბმა საწარმოო პროპაგანდაში (წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით).

ლექციების, საუბრების, ანგარიშების და სხვ. მოწყობა.

შრომის ბეგარა ყველასი, ვისაც შეუძლია გააცნოს მოსახლეობას ელექტროფიკაცია, ტეილორიზაცია და სხვ.

10. შრომის სახალხო კომისარიატთან და სხვა დაწესებულებებთან ერთად ორგანიზაცია საწარმოო ინსპექციისა. მისი მუშაობის, აგრეთვე ინსტრუქტორების, საინსტრუქტორო მატარებლების, გემების და სხვათა კოორდინაცია საწარმოო პროპაგანდის მუშაობასთან.

მათი ფართო რეკლამა. სამრეწველო მუშაობის საზღვარ - გარეთის გამოცდილებით აღჭურვილი მუშების ორგანიზაცია განსაკუთრებულ სახელოსნოებში ან რაიონებში ან უჯრედებში და სხვ. მათი გამოყენება ჩამორჩენილთა სწავლებისათვის, პროფესიონალურ - ტეხნიკური და პოლიტიკური განათლების გავრცელებისათვის და სხვ.

1920 წლის 18 ნოემბერი.

შენიშვნა: ვ. ი. ლენინი. ტ. 25, გვ. 478-480, მესამე რუსული გამოცემა. ზემოთ მოყვანილი თეზისები საფუძვლად დაედო პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს იმ თეზისებს, რომლებიც გამოქვეყნდა „პრავდა“-ში 1920 წლის 27 ნოემბრის 267 ნომერში შემდეგი სათაურით: „საწარმოო პროპაგანდა (პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს თეზისების პროექტი)“.

მასალები მომხსენებელთათვის

საბჭოთა საქართველოს ათი წელი

(1921—1931)

ათი წლის წინად საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან კავშირში დაამხეს მენშევიკების ხელისუფლება, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლება. ათი წლის წინად საქართველოს ჩაგრულმა მშრომელმა მასებმა, რომელნიც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად დადგენ ოქტომბრის წითელი დროშის ქვეშ, დაამყარეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

როგორც ყოველთვის, მენშევიკებმა თავიანთი დიქტატურის დროს უღალატეს საქართველოს მუშათა კლასს და ჩვენი ქვეყანა გადააქციეს დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის სათარეშოთ, იმ იმპერიალიზმის, რომელიც ბლოკადისა და ინტერვენციის ბრჭყალებში ცდილობდა საბჭოთა ქვეყნის — მსოფლიო რევოლიუციის ამ აკვნის — ჩახრჩობას.

მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და თავიანთი სოციალური და სამეურნეო პოლიტიკით მისი მრეწველობა მიიყვანეს სრულ განადგურებამდე, ხოლო მისი სოფლის მეურნეობა—სრულ დარღვევამდე.

სახალხო მეურნეობის კატასტროფიული დაცემა, მენშევიკური მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც იწვევდა შრომის ხელფასის განუწყვეტლივ შემცირებას, აძლიერებდა მუშათა კლასის მატერიალური დონის დაცემას, რამაც იგი კულტურულ გადაგვარებამდე მიიყვანა.

მენშევიკების ნაციონალური პოლიტიკა მიმართული იყო წვრილი ერების ჩაგვრისა და განადგურებისაკენ საქართველოს შიგნით და მუდმივი ომებისაკენ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ხალხებთან.

მენშევიკების აგრარული პოლიტიკა, რომელიც იცავდა მემამულეებს გლეხების წინააღმდეგ, იწვევდა გლეხობის უკმაყოფილებას და მუდმივ აჯანყებას მენშევიკების ბატონობის დასამხობად.

განვლილმა ათმა წელმა საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოახდინა უდიდესი გარდატეხა, შექმნა ეროვნული მშვიდობიანობისა და ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის ნიმუში, გადაჭრით უკუაგდო საბჭოთა მტრები, შექმნა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მძლავრი ნაწილები. საქართველოს მუშებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აღადგინეს დანგრეული და განადგურებული სახალხო მეურნეობა და მტკიცედ და სწრაფად წაიყვანეს ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის გზით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავს ვდღესასწაულობთ მწვავე კლასობრივი ბრძოლის და უაღრესად გამწვავებულ საერთაშორისო პირობებში. საერთაშორისო იმპერიალიზმი, რათა შეაფერხოს და შეაჩეროს კაპიტალიზმის მსოფლიო კრიზისი, რომელიც უფრო და უფრო იზრდება, ცდილობს თავი დააღწიოს წინააღმდეგობებს, ემზადება ახალი მსოფლიო სისხლის ღვრისათვის, ადიდებს სამხედრო ბიუჯეტებს, ახდენს არმიის მექანიზაციას, აუმჯობესებს საომარ გამანადგურებელ ტექნიკას, აძლიერებს შეიარაღებულ ძალებს. თავისი ძირმპალი სტაბილიზაციის განმტკიცების მიზნით საერთაშორისო იმპერიალიზმს გააფთრებული იერიშები მიაქვს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ამცირებს შრომის ხელფასს, ადიდებს სამუშაო დღეს, სისტემატიურად აჩანაგებს მუშათა კლასის ძალებს და ენერგიას კაპიტალისტური რაციონალიზაციის გატარების გზით. უმუშევრობის არაჩვეულებრივი ზრდა, მშრომელი მასების სრული გაღატაკება, კოლონიალური ქვეყნების იმპერიალისტური ჩაგვრა იწვევს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებას, აძლიერებს კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნების შიგნით, ნიადაგს უმზადებს ახალ იმპერიალისტურ ომს კოლონიების და ნახევრად კოლონიების ხელ-ახლა დასაყოფად. მსოფლიო სოც.-ფაშიზმის მე-2 ინტერნაც. მეთაურობით, რომელიც პროლეტარიატს ღალატობს მუშათა კლასის რევოლიუციონური ბრძოლის ყოველი აზვირთების დროს, ამზადებს ახალ ღალატს.

ამ სოციალ-ფაშისტების გზას დაადგენ აგრეთვე ქართველი სოციალ-ფაშისტები, რომლებიც 10 წლის წინად გააძევა რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა საქართველოდან. ქართველი მენშევიკები, რომელნიც ათასგვარ ჭორებს და ცილისწამებას ავრცელებენ საქართველოს სახალხო მეურნ. და მუშათა კლასის შესახებ, დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალიზმის კარნახით ახალ სისხლის-მღვრელ ომებს ამზადებენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის შიგნით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწარმოებს სოციალიზმის გაშლილი შეტევა მთელ ფრონტზე. სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მეურნეობის საბჭოთა სისტემა შეიცავს უდიდეს, განუზომელ შესაძლებლობებს და რამდენად წინ მივდივართ, იმდენად უფრო მკაფიო და აშკარა ხდება ეს შესაძლებლობანი. საბჭოთა საქართველომ დაამთავრა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი და გაშალა უდიდესი მუშაობა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. მრეწველობის განვითარების სწრაფმა ტემპმა საქართველოს შესაძლებლობა მისცა გვერდში ამოსდგომოდა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს. 7 წ. განმავლობაში ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 5 ნახევარჯერ გაიზარდა. კაპიტალურმა დაბანდებებმა მიაღწიეს 108.704.2 ათას მან.-მდე, ნაცვლად 1923-24 წლის 239.000 მანეთისა. გაძლიერდა და განმტკიცდა მრეწველობის ტექნიკური და ფინანსიური ბაზა. ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურ ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა მუშათა კლასის რეალური ბიუჯეტი, ამაღლდა მშრომელ მასების კულტურული დონე ომის წინა დროსთან შედარებით. გასულ წლების განვითარების სწრაფმა ტემპმა, 5 წლედის დავალებების შესრულებამ, მუშათა კლასის უდიდესმა აქტივობამ, შრომის ახალი ფორმების და მეთოდების, (დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრება, საზოგადოებრივი ბუქსირი, შემხვედრი სამრეწველო საფინანსო გეგმა და სხ.) გამოყენებამ, მიუხედავად კლასობრივი მტრების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მავნებლობისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინასწარმეტყველებისა, შესაძლებლობა მოგვცა 1931 წელს ძირითად დარგებში აგვეღო განვითარების კიდევ უფრო სწრაფი ტემპები, იმისათვის, რომ ისტორიულად მოკლე ვადაში შევასრულოთ პარტიის ლოზუნგი —„დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ განვლილმა ისტორიულმა გზამ სავსებით დაადასტურა სისწორე ლენინის დებულებისა იმის შესახებ, რომ საჭირო და შესაძლებელია წვრილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის განვითარების გზაზე, და ნათელ ჰყო განვითარების სოციალისტური გზების ყველა უპირატესობანი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავზე საქართველოში ჩვენ გვაქვს 2081 კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 91,615 მეურნეობა. 1922 წელს კი გვქონდა მხოლოდ 2 კოლმეურნეობა, რომელშიაც 25 მეურნეობა შედიოდა. გაშლილმა საკოლმეურნეო მშენებლობამ, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელებამ, საშუალო გლეხობის ძირითადი მასების მობრუნებამ კოლმეურნეობებისაკენ გაამწვავა კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა. კლასობრივი მტერი, რომელიც ხედავს თავის დაღუპვას, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ მშენებლობას. კლასობრივი ბრძოლის ამ გამწვავებას, მთელ რიგ დაბრკოლებებს სამეურნეო ფრონტზე განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებით არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა პარტიის ცალკე მერყევ წევრებზე. მემარჯვენე ოპორტუნიზმი, მემარჯვენე - „მომემარცხენო“ უპრინციპო ბლოკი წარმოადგენენ იმ კლასობრივ ცვლილებების გამოხატულებას, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდებიან. მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელიც ჩვენს პარტიაში წარმოადგენს კულაკობის აგენტურას და აწარმოებს ბრძოლას პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ობიექტიურად მავნებლების პოზიციაზე სდგას. მემარჯვენე ოპორტუნიზმი ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ტემპის შენელების პოლიტიკით, ვიწრო ადგილებთან გათანასწორების პოლიტიკით ჩვენი რესპუბლიკის კლასობრივი მტრების რიგებში სდგება.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, შოვინიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ და გადაუხრელად ახორციელებდა ლენინურ პოლიტიკას ეროვნულ საკითხში, უზრუნველჰყო იმ ეროვნულ უმცირესობათა კიდევ უფრო სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარება, რომელნიც დასახლებულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე.

საბჭოთა საქართველოს მუშები და ყველა მშრომელნი 10 წლის განმავლობაში ძლევა-მოსილად აშენებენ სოციალიზმს, მიუხედავად ქართული მენშევიზმის უბადრუკ ნამსხვრევთა და მათ თანამებრძოლთა — დაშნაკელთა და მუსავატელთა ბოროტი სისინისა, მიუხედავად — საერთაშორისო იმპერიალიზმის ცოფმორეული სიძულვილისა და ინტრიგებისა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. მიუხედავად კლასობრივი მტრების, პირველ რიგში კულაკობის, რომლის ლიკვიდაციაც ხდება, გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიუხედავად მავნებლების ცდებისა მოახდინონ კაპიტალიზმის რესტავრაცია, მიუხედავად სამრეწველო პარტიისა და კონდრატიეველების ყოველგვარ ცდების მიუხედავად მემარჯ. უკლონისტების წინასწარმეტყველებისა და წუწუნისა და მემარჯვენე - „მომემარცხენო“ ბლოკის ცილის წამებისა პარტიის მიმართ — საბჭოთა საქართველო ამ.-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ერებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული თავისი ფოლადისებური ავანგარდის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაუხრელად მიდის წინ, წლიდან წლამდე ამაგრებს თავის ძალებს, უნახავი ტემპებით ანვითარებს მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, შეუჩერებლივ ამაღლებს მუშებისა და ყველა მშრომელთა კულტურულ დონეს და მატერიალურ კეთილდღეობას, ამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ერთად ამთავრებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს.

1. საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავს საქართველოს მშრომელნი ხვდებიან უდიდესი მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამ 10 წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობამ, რომელიც ყოფილ მენშევიკურმა მთავრობამ კატასტროფიულ მდგომარეობაში დასტოვა, წარმატებით დაამთავრა აღდგენითი პროცესი და შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში. საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის, რაც აიხსნება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავს ჩამორჩენილ რაიონების გათანასწორებას მოწინავე რაიონებთან.

2. საქართველო, მეფის მთავრობის განსაზღვრული პოლიტიკის წყალობით, წარსულში წარმოადგენდა რაიონს მეტად სუსტად განვითარებულ მრეწველობით; 1912 წელს სულ ირიცხებოდა 2619 სამრეწველო ხასიათის წარმოება 18.331 მუშით.

ომამდე საქართველოს სამრეწველო საწარმოთა დიდი უმრავლესობა წარმოადგენდა წვრილი ხასიათის საწარმოებს; ომის წინადროინდელ მრეწველობაში თითო საწარმოში საშუალოდ ირიცხებოდა 7 მუშა.

3. იმპერიალისტური ომის პერიოდში საქართველოს მრეწველობა განუწყვეტლივ ეცემოდა და მენშევიკური დიქტატურის პერიოდში საქართველოს მთელი მეურნეობა და მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა დაქვეითების გზით.

1921 წლისათვის ყველა მსხვილ საწარმოებიდან მუშაობდა მხოლოდ 59 პროც.; არასრული დატვირთვით მუშაობდა 26 პროც., დანარჩენი გაჩერებული იყო.

მრეწველობის კატასტროფიული დაცემის ფარგლების შესახებ მენშევიკების დროს წარმოდგენას გვაძლევენ მარგანეცის ამოღების და ექსპორტის მაჩვენებლები:

1913 წელს ამოღებულ იქნა 970,9 ათასი ტონა; 1920 წელს — 120,7 ათასი ტონა. 1913 წელს გატანილ იქნა 1.079,1 ათასი ტონა; 1920 წ.— 175,9 ათასი ტონა.

4. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა შესდგომოდა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას. ეს პროცესი დამთავრდა 1926-27 წელს, რომლის დამლევს მრეწველობა საერთოდ აღწევს წინადროის დონეს და მთელი „დემობილიზაციაქმნილი“ აპარატურა მთლიანად იქნა ამუშავებული.

1927-28 წელს საქართველოს მრეწველობა შედის რეკონსტრუქციის პერიოდში, მემკვიდრეობით მიღებულ საწარმოთა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე გარდაქმნის და ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის გაშლის პერიოდში.

პარტიის მე-14 ყრილობის დირექტივებმა, რომლებმაც ზუსტად განსაზღვრეს კურსი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე და მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც საფუძვლად დაედო ხუთწლიანი გეგმის შედგენას, ხელი შეუწყვეს მრეწველობის განვითარებას ისეთი ტემპით, რომელიც წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის, მაგრამ, რომელიც სავსებით შესაძლებელია მეურნეობის საბჭოთა სისტემის პირობებში.

საქართველოს ცენზიანი მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი გამოიხატება შემდეგ მაჩვენებლებში:

	1932—33 წ. წ. უნდა იყოს	27—28 წლებში იყო	ზრდის %
სამრეწველო საწარ. რიცხვი	197	115	71,3%
მუშათა რიცხვი	33.214	12.794	159,6%
მრეწვ. პროდუქცია 1926—27 წ. უცვლელ ფასებში (მილ. მან.)	266,3	52,9	403,0%
შრომის ნაყოფიერების ზრდა (მუშ. თვიური გამომუშავება მანეთებში)	653,6	338,3	93.2%
ხელფასის ზრდა (თვ. მან.)	75,86	90,40	25,5%
თვითღირებულების შემცირება	—	—	30%

კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 173,5 მილიონი მანეთის რაოდენობით, სამრეწველო და საბინაო მშენებლობის გამოკლებით კი — 156 მილიონი მან.

5. ხუთწლედის გასული ორი წელი უკვე მოწმობს, რომ ხუთწლიანი გეგმა ძირითადად განხორციელდება 4 წელში, ხოლო მთელ რიგ დარგებში — 3 წელშიაც. განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებამ, ცვლიანი მუშაობის გადიდებამ, სოცშეჯიბრებამ, დამკვრელობამ, ბუქსირებმა და სოციალისტური შრომის სხვა ფორმებმა უზრუნველყვეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება პირველ ორ წელში.

ცენზიანი მრეწველობის წარმატების შესახებ წარმოდგენას გვაძლევენ შემდეგი ციფრები:

პროდუქცია 1926—27 წლის უცვლელ ფასებში

წ ლ ე ბ ი	ათას მანეთებში	ზრდა შედარებით რიცხვებში	ზრდა %/%-ში წინა წელთან შედარებით
1923—24	27.022	100	—
1924—25	38.8[illegible]5	143,6	143,6
1928—29	111.923	414,2	150,6
1929—30	159.268	589,4	142,3

ომის წინადროის პერიოდთან შედარებით (1912 წ.) ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 1929-30 წელში 5 ნახევარჯერ გაიზარდა.

სამრეწველო პროდუქციის სწრაფ ზრდასთან ერთად, თანახმად პარტიის გენერალური ხაზისა მძიმე ინდუსტრიის განვითარების დაჩქარების შესახებ, ძირითადი გარდატეხა მოხდა თვით მრეწველობაში იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ამზადებენ საწარმოო საშუალებებს და მოხმარების საშუალებებს.

დასახელებულ ჯგუფების ხვედრითი წონა მრეწველობაში ამგვარად შეიცვალა:

	1923-24 წ.	28-29 წ.	29-30 წ.
ჯგუფი „ა“	46,2	51,9	52,2
ჯგუფი „ბ“	53,8	48,1	47,8

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება ისეთი დარგები, როგორიცაა: ელექტროენერგიის წარმოება, მარგანეცის, ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა, ხის დამმუშავებელი მრეწველობა, მატყლის დამუშავება და სხვა.

კერძო სექტორი საქართველოს მსხვილ მრეწველობაში 1923-24 წ. შეადგენდა 13,8 პროც., 1929-30 წ. — 0,1 პროც.-ს.

უდიდესი მიღწევები მრეწველობის დარგში მოწმობენ, რომ საქართველო-აგრარული ქვეყანა მრეწველობის უმნიშვნელო ხვედრითი წონით წარსულში სამრეწველო აგრარულ ქვეყნად ხდება ამჟამად.

მრეწველობის მოცულობის ზრდასთან ერთად, განუწყვეტლივ იზრდება მუშათა რიცხვიც მსხვილ მრეწველობაში. 1923-24 წელს მრეწველობაში მუშაობდა — 11.852 კაცი. 1929-30 წელს — 26,727 კაცი (ზრდა 125,5 პროც.).

6. ძველი ფაბრიკა-ქარხნების ხელ-ახლა მოწყობამ, ახალ საწარმოთა მშენებლობამ და მათში მაღალი ტექნიკის შემოღებამ, მუშათა კლასის ხელ-ახლა შეიარაღებამ და მშრომელთა ენტუზიაზმმა, რომელიც გამოიხატა შრომის სოციალისტური ფორმების შემოღებაში (დამკვრელობა, სოცშეჯიბრება და სხვ.) შედეგად მოგვცა ის, რომ ერთი მუშის წლიური პროდუქცია 1926-27 წლის უცვლელ ფასებში ამგვარად გაიზარდა (1.000 მან.).

	1923-24 წ.	1929-30 წ.	ზრდის %-ში
საერთოდ მთელ მსხვ. მრეწ.-ში	2279,9	5967,1	161,7

7. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის განმავლობაში შემოღებულია მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, რომლებიც წინად არ არსებობდა საქართველოში. (მინერალების და მადნების დამუშავება, აბრეშუმის ძაფსახვევი, აბრეშუმის საქსოვი, მაუდის და შალეულის, ხის დამმუშავებელი, ნავთის საწმენდი, საკონსერვო და კინომრეწველობა). აგრეთვე მოხდა არსებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და გაფართოება. (მარგანეცის, ქვანახშირის, ტყავის, ჩაის, თამბაქოს მრეწველობა და სხ.).

1923-24 წლიდან 1929-30 წლამდე საქართველოს მრეწველობის ძირითად ფონდებში დაბანდებულია — 112.539,8 ათასი მანეთი, აქედან:

ახალ მშენებლობაზე — 84.524 ათასი მან.

გაფართოებასა და რეკონსტრუქციაზე — 24.314,9 ათასი მან.

სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოებზე — 969,4 ათასი მანეთი.

დაბანდების მთავარი ნაწილი გასული შვიდი წლის განმავლობაში მოხმარდა იმ სამრეწველო დაწესებულებათა მშენებლობას, რომლებიც ამზადებენ საწარმოო საშუალებებს. (ნავთის პროდუქტების გადამმუშავებელი და ნავთის საწმენდი ქარხნები, ქვანახშირის, მარგანეცის, მინერალების და მადნის დამმუშავებელი და სამშენებლო მრეწველობა). ასე მაგალითად, შვიდი წლის განმავლობაში დაბანდებულ კაპიტალურ თანხების საერთო ჯამიდან —112,524 ათასი მანეთიდან ჯგუფ „ა“-ს წილად მოდის — 87.318 ათასი მან., ხოლო ჯგუფ „ბ“-ს წილად—25.221.3 ათასი მან.

კაპიტალურ დაბანდებათა დინამიკა გასულ ათწლედში ამგვარი სახით წარმოგვიდგება:

1924-25 წ.—1207,2 ათასი მან.
1926-27 წ.—8641,0 ათასი მან.
1928-29 წ.—27.119.3 ათასი მან.
1929-30 წ.—55.262,6 ათასი მან.

კაპიტალურ მშენებლობის ყველაზე უფრო მეტ ზრდას ადგილი აქვს 1927-28 წელში, როცა ჩვენი მრეწველობა შედის რეკონსტრუქციის პერიოდში, რაც იწვევს ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის საგრძნობ გაფართოებას.

ხუთწლედის ამოცანების განხორციელების საქმეში 1931 წელი წარმოადგენს გადამწყვეტ წელს. 1931 წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 62.276,6 ათასი მან. (აზნავთშენის გამოკლებით).

მრეწველობის ძირითადი ჯგუფების მიხედვით კაპიტალურ მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხა — 62.276,9 ათასი მან. ნაწილდება ამგვარად: 1000 მან. %%-ში ჯამთან შეფარდებით.

ჯგუფი „ა“	48.198,0	77,3
ჯგუფი „ბ“	14.078,9	22,7

ხუთწლიანი გეგმით 1930-31 წლისათვის გათვალისწინებულ კაპიტალურ მშენებლობის შედარება 1931 წლის გეგმასთან გვიჩვენებს, რომ საბოლოო საკონტროლო ციფრები საგრძნობლად სჭარბობენ ხუთწლედის ვარიანტს.

1. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 1930-31 წლისათვის —49.261.0 ათასი მან.

2. 1931 წლის ზუსტად შემუშავებულ საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია —62.276,9 ათასი მან.

1931 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმას საფუძვლად დაედო დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება საქართველოს ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპების განხორციელებისათვის, კაპიტალური მშენებლობის დაკავშირება ა.-კ. ს.ფ.ს.რ. და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რეალურ მოთხოვნილებებთან და საქართველოს სამრეწველო მშენებლობის ყოველნაირად შეთანხმება მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიმართულებას და ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან რაიონების თანამშრომლობის წესით.

8. ხუთწლედის პირველი ორი წლის მიღწევები საშუალებას გვაძლევენ 1931 წლისათვის ავიღოთ სოციალისტური მშენებლობის გაშლის კიდევ უფრო მაღალი ტემპები გასულ ორი წლის ტემპებთან შედარებით.

ხუთწლედის მესამე წელი მრეწველობის ხაზით უნდა გადაიქცეს არა მარტო მაღალი ტემპებისათვის, არამედ განსაკუთრებით ხარისხობრივი დავალებების აუცილებლად შესრულებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის წლად.

საბჭოთა კავშირის, ა.-კ. ს.ფ.ს.რ. და საქართველოს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გაძლიერებული ტემპების გაშლის ამოცანის და ხუთწლედის 4 წელში შესრულების შესახებ მოცემული დირექტივების თანახმად, აგრეთვე 5 წლედის პირველი ორი წლის განმავლობაში პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპების განხორციელების გამოცდილების მიხედვით, 1931 წელს უზრუნველყოფილია შემდეგ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა: ფერო-მარგანეცის ქარხნის—ზესტაფონში, ლითონის ქარხნის — თბილისში, ფოთის ხე-ტყის სახერხი კომბინატის, გორის შაქრის ქარხნის, ლიტოპონის ქარხნის — ქუთაისში, ბიტუმის ქარხნის — ნატანებში, სახურავი ფიქალის დამუშავება კახეთში, ანდეზიტის წარმოება ყაზბეგში და მთელ რიგ აგურის, კრამიტის და კირის ქარხნების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და სხვა ახალი მშენებლობა.

მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა (ს.მ.უ.ს.-ი, მომარაგების სახალხო კომისარიატის და საუწყებო მრეწველობა) 1931 წელს განისაზღვრება 81 პროცენტით 1930 წელთან შედარებით, რაც მოასწავებს სამრეწველო წარმოების მთელი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას ხუთწლედის მესამე წელში, ე. ი. 1931 წელში 88 პროცენტით, ხოლო საწარმოო საშუალებების დამამზადებელ დარგებში — 93 პროცენტით.

საქართველოს ს.მ.უ.ს. ხაზით საერთო პროდუქციის ზრდა განისაზღვრება 83 პროცენტით, ამასთან „ა“ ჯგუფის პროდუქციის ზრდა განზრახულია 33,5 პროცენტით, „ბ“ ჯგუფის — 134 პროცენტით. საერთო პროდუქციის მაქსიმალური ზრდა ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში განისაზღვრება 80 პროცენტით, საშენი მასალის მრეწველობაში — 167 პროცენტით, სამკერვალო მრეწველობაში — 166 პროც. და ფეხსაცმელების მრეწველობაში —67 პროცენტით.

საქართველოს ს.მ.უ.ს. მიერ დაგეგმილ მრეწველობისათვის მუშათა რიცხვის ზრდა განისაზღვრება 16,7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდა საქართველოს ს.მ.უ.ს. მრეწველობაში განისაზღვრება 69 პროცენტით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება განზრახულია 8,8 პროცენტით, პროდუქციის ხარისხის აუცილებლად გაუმჯობესებასთან ერთად.

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობაში საერთო პროდუქციის ზრდა განისაზღვრება 100 პროცენტით, მუშათა რიცხვის ზრდა — 73 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდა—37 პროც. და თვითღირებულების შემცირება — 14 პროცენტით. საუწყებო მრეწველობაში საერთო პროდუქციის ზრდა განზრახულია 35 პროცენტით, მუშათა რიცხვის ზრდა — 13 პროცენტით და შრომის ნაყოფიერების ზრდა 19 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 10 პროცენტით.

9. ა) საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებას თან სდევს მუშათა კლასის რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა. 1920 წელს იყო 78.200 მუშა - მოსამსახურე, 1930 წელს — 236.573. როგორც ცენზიან, ისე არა ცენზიან მრეწველობაში 1920 წელს მუშაობდა 12.199 კაცი. 1930 წელს 45.839 კაცი.

ბ) იზრდება მუშათა მასების აქტივობა, რასაც მოწმობს მასიური მონაწილეობა შემხვედრ სამრეწველო საფინანსო გეგმის შედგენაში, დამკვრელობის გაშლა მთელი საამქროებისა და ფაბრიკების მიერ, სოცშეჯიბრება, შეფობა ფაბრიკა-ქარხნებზე, საზოგადოებრივი ბუქსირი და სხვ.

გ) სულ უფრო და უფრო იზრდება პროფკავშირების შემკავშირებელი როლი. 1929 წელს საქართველოს პროფკავშირები აერთიანებდნენ 50.126 მუშა - მოსამსახურეს, ე. ი. მთელი მომუშავე ძალის 65 პროცენტს. 1930 წელს პროფკავშირების წევრთა რიცხვი აღწევს 230.779, ე.ი. მთელი მომუშავე ძალის 80 პროც. 1930 წელს უმუშევრობა ძირითადად მოსპობილია, საქართველოს პროფკავშირები თავიანთ ძირითად ამოცანას ასრულებენ — ისინი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ყოველგვარი გადახრებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. ტრედუნიონიზმის დანერგვის წინააღმდეგ, პროფკავშირების და პარტიის დაპირისპირების ცდის წინააღმდეგ, პროფკავშირების დაცვითი ამოცანების და მათი საწარმოო ამოცანების დაპირისპირების წინააღმდეგ, პროფორგანიზაციების აპოლიტიურობის წინააღმდეგ.

10. სამრეწველო წარმოებაში ახალი მუშების ათასობით ჩაბმას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და თვითღირებულების შემცირებას განუწყვეტლივ თან სდევს მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის აწევა მუშათა ფართო მასების საყოფაცხოვრებო მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებით, 7 საათის სამუშაო დღის შემოღებით, უმუშევრობის მოსპობით, ოჯახში მომუშავეთა რიცხვის გადიდებით, სოცდაზღვევის ბიუჯეტის ზრდით და დიდი დაბანდებებით საბინაო მშენებლობაში.

ა) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშათა ცხოვრების პირობები. იზრდება რეალური სამუშაო ხელფასი. 1924 წელს მუშების საშუალო ხელფასი უდრიდა 48 მანეთს, 1929-30 წელს — 78 მან. 11 კაპ. მარტო სოციალიზაციაქმნილი სახის ხელფასის ნაწილი შეადგენს 25-30 პროცენტს იმ ხელფასთან შედარებით, რომელსაც მუშები ხელზე ღებულობენ.

ბ) კლასობრივი პრინციპის გატარებამ მუშების მომარაგებაში სასურსათო პროდუქტებით (დახურული განმანაწილებლები) და ფასების შემცირებამ პირველი მოთხოვნილების საგნებზე ხელი შეუწყო რეალური სამუშაო ხელფასის გადიდებას. 1926 წელს მუშის ბიუჯეტში კერძო ვაჭრის როლი შეადგენდა 69 პროცენტს, 1929 წელს — 12 პროცენტს.

გ) საბინაო პოლიტიკამაც კომუნალური სამსახურის გაწევის სისტემაში საგრძნობლად გაადიდა რეალური სამუშაო ხელფასი.

საბინაო მშენებლობაზე დახარჯულია 766,5 ათასი მან. 1929-30 წელს 10.088,3 ათასი მანეთი.

დ) 7 საათის სამუშაო დღის შემოღება ყველა მსხვილ საწარმოებში, სოცდაზღვევის ხარჯების განუწყვეტელი ზრდა, საექიმო დახმარების გაწევა კიდევ უფრო მაღლა სწევს მუშათა ცხოვრების დონეს. ასე მაგ.: 1924-25 წელს ხარჯები ერთ დაზღვეულზე შეადგენდა 53 მანეთს და 59 კაპეიკს, 1929-30 წელს—128 მან. 74 კაპეიკს.

12. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის განმავლობაში ჩვენი სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა მსხვილი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის განვითარების საფუძველზე, სოფლის მაშინიზაციის საფუძველზე, ნაკლებად რენტაბელურ კულტურების განდევნის და ძვირფასი ტექნიკური კულტურების გავრცელების და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობით შევიწროების საფუძველზე. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის მომენტში ადგილი ჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობის დეგრადაციის და სოფლის ფართო მშრომელი მასების გაღატაკების გაძლიერებულ პროცესს. მენშევიკების ეგრედწოდებული „დემოკრატიული“ ხელისუფლების დამყარებამ კიდევ უფრო გააღრმავა სოფლის მეურნეობის დაშლის პროცესი. მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც მემამულეების, თავად - აზნაურობის და ქალაქის ბურჟუაზიის ნება - სურვილებს ახორციელებდა, სრულიადაც არ შესცვალა თავისი „აგრარული რეფორმით“ საქართველოს სოფლის სოციალური სახე.

ამ რეფორმამ, რომელიც არსებითად არ სცვლიდა მშრომელი გლეხობის მდგომარეობას, გლეხობის აჯანყებათა ფართო ტალღა გამოიწვია. მენშევიკებმა, მოსწყვიტეს რა ძალით საქართველოს გლეხობა სოციალისტურ რუსეთს, კიდევ უფრო გააღრმავეს კრიზისი და სოფლის მეურნეობის დაშლა. ეს კრიზისი გამოიხატა: ძვირფასი კულტურების (ბამბა, თამბაქო, აბრეშუმი, ჩაის კულტურა, ხეხილის ბაღები და სხვ.) სრულიად განადგურებაში, წვრილი და პროდუქტიული მეცხოველეობის დაცემაში და სხვ.

13. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შეაჩერა საქართველოს სოფლის მეურნეობის დაშლა, დაუყოვნებლივ იწყება დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენა და ნიადაგის მომზადება სოფლის შემდგომი სოციალისტური განვითარებისათვის. 1924-25 წ. ძირითადათ დამთავრდა აღდგენითი პროცესი და ამავე წლიდან იწყება სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა ყველა დარგებში.

მაჩვენებლები	1913 წ.	1920 წ.	1924—25 წ.
მარცვ. კულტურ. ნათესი	697.900	479.300	735.072
ბამბის ნათესი (ჰექტ.)	8.193	—	7.[illegible]04
თამბაქოს ნათესი (ჰექტ.)	10.444	1.457	11.914
ჩაის პლანტაციები „	894,1	870	1.327
ვენახი „	45.000	30.000	34.200
ხეხილის ბაღები „	7.000	5.000	9.800
მსხვ. ოთხფეხი საქონელი (სულ)	1.301.700	900.000	1.426.400
ცხვარი (სულ)	1.663.000	1.200.000	1.910.700

მიწის ნაციონალიზაციის გატარებით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო გლეხობის ფართო მშრომელი მასების მიერ სოციალისტური მიწათსარგებლობა.

14. პერიოდი 1925-26 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის წარმოადგენს რეკონსტრუქციის პერიოდს, როცა საქართველოს აღდგენილი სოფლის მეურნეობა ახალი ტექნიკური ბაზის და მსხვილი სამანქანო მეურნეობის საფუძველზე წავიდა სოციალისტური მიწათმოქმედების ფართო გზით და ამგვარად ამზადებდა შესაფერ პირობებს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების ამ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1930 წელს მარტო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით 24 საბჭოთა მეურნეობა გვქონდა.

ყველა საბჭოთა მეურნეობების ტერიტორია 1930 წელს შეადგენს 138.627 ჰექტარს. საბჭოთა მეურნეობების მძლავრი მშენებლობა სწარმოებს ჩაის მეურნეობის დარგში. 1930 წელს მოეწყო 6 ახალი საბჭოთა მეურნეობა 9311 ჰექტარი ფართობით. ჩაის პლანტაციების ფართობი საბჭოთა მეურნეობებში 1930 წელს უდრიდა 3190 ჰექტარს, ე. ი. 1928 წელთან შედარებით 285 პროცენტით გაიზარდა.

სააქციო საზოგადოება „სკოტოვოდ“-ის ხაზით ეწყობა ბაშკიჩეთის საკლავი პირუტყვის და მეძროხეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის ფართობი 12.400 ჰექტარს უდრის. კაპიტალური დაბანდება 1931 წელს შეადგენს 1.421,8 ათას მანეთს.

მოეწყო კენაფის 2 საბჭოთა მეურნეობა. კენაფის კულტურის ფართობი 1930 წელს შეადგენდა 600 ჰექტარს. 1931 წელს განზრახულია ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობა, კენაფის კულტურას დაეთმობა 1250 ჰექტარი, რამის კულტურას — 2000 ჰექტარი.

„სოვხოზხლოპოკ“-ის ხაზით მოწყობილია საბჭოთა მეურნეობა 9285 ჰექტარ ფართობზე.

ადგილობრივ და სხვა ორგანიზაციების ხაზით არსებობს 25 საბჭოთა მეურნეობა, რომელთა ფართობი 2.353 ჰექტარს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა, რასაც ითვალისწინებს 1931 წლის საკონტროლო ციფრები, გამოიხატება აგრეთვე საგარეთუბნო მეურნეობების მშენებლობის საგრძნობლად გაფართოებაში, 1931 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყობა ხილ-ბოსტნეულის და მეცხოველეობის 20 ახალი საგარეთუბნო მეურნეობა.

კოლმეურნეობებისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის ფართო საწარმოო დახმარების გაწევით, ეს სასოფლო-სამეურნეო სოციალისტური ფაბრიკები კიდევ უფრო დააჩქარებენ დაქუცმაცებულ გლეხური მეურნეობის გადასვლას მსხვილ სამანქანო კოლექტიურ მეურნეობაში.

საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც ეყრდნობა ღარიბ გლეხობას, მჭიდროდ უკავშირდება საშუალო გლეხობას, აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ და კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრას სოფლად, ამ კლასმა მუშების და გლეხების მასები წაიყვანა ახალ გამარჯვებებისაკენ საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე. სოფლის ღარიბი გლეხობის მასებს უკან გაჰყვა საშუალო გლეხობის ძირითადი მასა, რომელიც მოკავშირიდან გადაიქცა მუშათა კლასის დასაყრდენად სოფლად.

საკოლმეურნეო სექტორის ზრდა ასეთია:

	I-IV 1927 წ.	I—VI 1929 წ.	I—IX 1930 წ.	I—XII 1930 წ.	20—XII 1930 წ.	I—II 1931 წ.
კოლმეურნეობათა რიცხვი	85	648	1869	2025	2034	2156
გაერთიანებულ მეურნ. „	1454	11581	82805	88044	88987	94328
კოლექტივიზაციის %	0,32	2,56	18,8	20,0	20,0	21,4

კოლმეურნეთა საერთო რიცხვიდან მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები შეადგენენ 57,6 პროცენტს, საშუალო გლეხები კი—42,4 პროცენტს. ამასთან სწარმოებს კოლმეურნეობათა გამსხვილება. 1930 წელს ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა ღარიბ და საშუალო გლეხობის 44 მეურნეობა, 1929 წელს კი — 12,5 მეურნეობა.

ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფლის მეურნეობის მომარაგებისათვის მანქანებით და ტრაქტორებით.

ამასთან საგრძნობი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის ენერგეტიული ბაზის გაფართოების საქმეში. თუ მენშევიკების დროს საქართველოში არც ერთი ტრაქტორი არ იყო, ხოლო 1928 წელს სულ 41 ტრაქტორი იყო, ამჟამად მათი რიცხვი აღწევს 502. იქმნება ენერგეტიული ცენტრები სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და რაზმების სახით, რომელთა რიცხვი ა.-წ. დასაწყისში 6-ს უდრიდა. საერთო ფართობი, რომელსაც სამანქანო - სატრაქტორო სადგურები უწევენ სამსახურს, შეადგენს 135.000 ჰექტარს.

1931 წელს განზრახულია არსებულ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების შევსება 50 ტრაქტორით და 3 ახალი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის (ლანჩხუთის, ზუგდიდის და ყარაის) მოწყობა 130 ტრაქტორით. ამ ღონისძიებებმა მთელი გადატრიალება მოახდინეს სასოფ.-სამეურნ. წარმოების ტექნიკაში და საგრძნობლად ასწიეს სასოფ.-სამეურ. შრომის ნაყოფიერება.

მთელი ეს მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეცნიერო-საცდელი საქმის ფართოდ დაყენებასთან. მიმდინარე წლის დამდეგს საქართველოში სულ 29 სამეურნეო-საცდელი დაწესებულება იყო.

საცდელი დაწესებულებანი, რომლებიც თავიანთ მუშაობას უკავშირებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების ყოველდღიურ საკითხებს, ხელს უწყობენ კოლმეურნეებს და ღარიბ და საშუალო გლეხობას შრომის ნაყოფიერების აწევის და მეურნეობის რაციონალური წარმოების საქმეში.

ამ მიმართულებით სწარმოებდა და სწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სოფლის მეურნეობისათვის. 1929-30 წელს მარტო უმაღლესი კვალიფიკაციის 1226 და საშუალო კვალიფიკაციის 1475 აგრონომი მომზადდა.

ყველა ამ ღონისძიებებმა შეუწყვეს ხელი საერთოდ სოფლის მეურნეობის და კერძოდ კოლექტიური მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

1930 წელს მარცვლეული კულტურების ნათესის ფართობმა მიაღწია 837,3 ათას ჰექტარს, ზრდა 1920 წელთან შედარებით უდრის 75 პროცენტს (474,3 ათასი ჰექტარი 1920 წ.).

ბამბის ნათესის ფართობი 1930 წელს შეადგენდა 10.600 ჰექტარს, კენაფის — 1.900 ჰექტ., სელის — 1.400 ჰექტ., თამბაქოს — 19.900 ჰექტარს, სოიას (წმინდა ნათესი) — 5.500 ჰექტ., საკვები ბალახების — 11.300 ჰექტ., ბოსტნების — 10.200 ჰექტ., ვენახების ფართობი — 35.100 ჰექტ. და ხეხილის ბაღების — 18.500 ჰექტ.

15. ნათესის ფართობის საერთო [illegible]თან შედარებით მარცვლეული კულტურების ფართობის ზრდა არ არის დიდი, ამავე დროს ტექნიკური და სხვა (ბოსტნეული, საკვები) კულტურების ფართობი საგრძნობლად გაიზარდა, როგორც აბსოლიუტურად, ისე შედარებით.

ტექნიკური კულტურების დაჩქარებით განვითარების გამო ნათესის ფართობი კულტურების ჯგუფებს შორის ამგვარად ნაწილდება:

(საკ. ციფ.)

კულტურები:	28 წ.	29 წ.	30 წ.	31 წ.
მარცვლეული	95,6	94,6	91,6	76,8
ტექნიკური	2,8	3,3	4,7	14,8
დანარჩენი	1,6	2,1	3,7	8,4
სულ	100	100	100	100

ტექნიკური კულტურების განვითარების მაღალი ტემპი, რაც გათვალისწინებულია 1931 წ. საკონტროლო ციფრებით. ამ დარგში მოპოვებულ მიღწევების საფუძველზე გადამწყვეტ როლს ითამაშებს ჩვენი მეურნეობის გადაყვანაში ინტენსიურ მეურნეობაზე, რომელშიაც უმთავრესად ძვირფასი ტექნიკური (ზეთოვანი და საფეიქრო) კულტურები განვითარდება.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რომ, საკონტროლო ციფრებთან შედარებით, ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა 1931 წლის საგაზაფხულო თესვის დროს იქნება 17,1 პროცენტი, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 55 პროცენტისა.

მსხვილ ფეხა საქონლის რიცხვი უდრის 1.575,8 ათას სულს (ზრდა, 1920 წელთან შედარებით, შეადგენს 111 პროცენტს).

ცხენების რიცხვი 1930 წელს უდრიდა 103,4 ათას სულს(ზრდა, 1020 წელთან შედარებით, შეადგენს 76 პროცენტს).

ცხვრის რიცხვი იმავე წელს შეადგენდა 1833,7 ათას სულს (ზრდა, 1920 წელთან შედარებით, შეადგენს 59 პროცენტს).

წინააღმდეგ მემარჯვენე უკლონისტების წინასწარმეტყველებისა, სავსებით რეალური აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. ტექნიკური კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 237,4 პროცენტით, სპეციალური კულტურების: ვენახის — 94.2 პროც., ხილის ბაღების — 125 პროც., ჩაის პლანტაციების — 94,7 პროც., სამრეწველო მებოსტნეობის — 161,5 პროცენტით.

16. 1) მინდვრის ფართობის ზრდასთან და მსხვილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობათა ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხდება მელიორატიულ სამუშაოთა განვითარება ურწყავი მიწების მოსარწყავად. ომამდე მელიორატიული ფართობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 112,2 ათას ჰექტარს, მენშევიკური მთავრობის დროს ეს რაოდენობა დაეცა 95,8 ათას ჰექტარამდე, 1931 წელს კი ის უდრის 191.0 ათას ჰექტარს, რაც იძლევა ზრდას, ომის წინადროსთან შედარებით, 71 პროცენტით, ხოლო მენშევიკურ პერიოდთან შედარებით —100 პროცენტით.

სულ საქართველოში წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიხარჯა 19,947 ათასი მანეთი.

2) 1931 წლისათვის მთავრდება: 1. ალაზნის არხის მშენებლობა, რომელმაც უნდა მორწყოს ალაზნის ველის უმეტესი ნაწილი, ზომით საერთოდ 44 ათასი ჰექტარი; საერთო ღირებულება — 9.618 ათასი მანეთი; 2. ტირიფონის არხი, რომელიც მორწყავს საერთოდ 26,3 ათას ჰექტარს; საერთო ღირებულება —4.865 ათასი მანეთი; 3. სოფმაშველის სისტემა, საერთო ზომით 25.000 ჰექტარი. ღირებულება — 4.865 ათასი მანეთი. მუშაობა დამთავრდება ხუთწლედის დამლევისათვის; 4. სწარმოებს ქალდიდის აგარაკის დაშრობა, რაც მოგვცემს 18.117 ჰექტარ ვარგის ფართობს.

გარდა ამისა, სწარმოებს საგამომკვლეო მუშაობა სამგორის ველის მოსარწყავად, რომლის ფართობიც 81 ათას ჰექტარს უდრის, ქართლის 56 ათასი ჰექტარის მორწყვა და შირაქის ველის 57 ათასი ჰექტარისათვის წყლის მიწოდება.

ყველა აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობას მისცემს უდიდეს ფართობს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის გაშლისათვის და სპეციალური ტექნიკური კულტურების განსავითარებლად.

17. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძლიერი განვითარება და რეკონსტრუქცია თავის დასაყრდენს ჰპოვებს ელექტროფიკაციის ფართო განვითარებაში.

„კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ჩვენი ქვეყ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

ნის ელექტროფიკაცია". წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა დარჩება წვრილ გლეხურ ქვეყნად, და საჭიროა, რომ ჩვენ ეს ნათლად შევიგნოთ. მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, როცა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის ტეხნიკურ ბაზად გადაიქცევა თანამედროვე მსხვილი მრეწველობა, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ" (ლენინი).

მეფის წყობილების დროს არ მოიპოვებოდა არავითარი ენერგეტიული ბაზა. მენშევიკურმა ხელისუფლებამაც ვერ შექმნა ენერგეტიული ბაზა საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის.

გარდატეხა ელექტრომშენებლობაში დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა შემუშავებულ იქნა ელექტრომშენებლობის ფართო პროგრამა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საერთო ამოცანებთან და მოთხოვნებთან შეფარდებით. 1922 წლიდან 1931 წლამდე აგებულ იქნა:

1. ზემოავჭალის, აბაშის, ბორჯომის, შოვის, ონის, ახალციხისა და სხვა ელექტროსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 20.940 ცხენის ძალას.

გარდა აღნიშნულ ელექტროსადგურებისა, 1931 წელს გაფართოებული და საბოლოოდ დამთავრებული იქნება შემდეგი ელექტროსადგურები:

1. ზემოავჭალის — გაფართოვდება და მოგვცემს დამატებით 36.000 ცხ. ძალას.
2. რიონჰესი მოგვცემს 69.000 ცხ. ძალას.
3. ალაზნის მოგვცემს 7.000 ც. ძალ. სულ 112.000 ცხ. ძალას.

ამგვარად, 1931 წლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ათი წლის შესრულების დროისათვის საქართველოს ექნება 13 ელექტროსადგური 132.940 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით, ნაცვლად 11.000 ცხენის ძალისა, რაც იყო 1921 წელს.

მიუხედავად ელექტროსადგურების მშენებლობის ძლიერი განვითარებისა 10 წლის განმავლობაში, ელექტროსადგურების არსებული ქსელი ელექტრო-ენერგიით სავსებით ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებას, რაც ესაჭიროება ძლიერი ზრდის გზაზე დამდგარ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ჩვენი ქვეყნის კულტურულ - ეკონომიური ზრდა უფრო აღიდებს ელექტრო - ენერგიის საჭიროებას. ელექტრონი შეიჭრა მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრებაში. ამ გადიდებულმა მოთხოვნამ გამოიწვია ახალი მძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობის პროგრამის შემდგომი განვითარების საჭიროება და შესაძლებლობა.

შენდება და განზრახულია აგებულ იქნას: აჭარისწყლის ელექტროსადგური, თაფარავანის ელექტროსადგური, ხრამის, სამგორის, ალპანისა და სხვ., რომელნიც მოგვცემენ 526 ათას ცხ. ძალას.

ელექტროსადგურების მშენებლობის ფართო გაშლა - განვითარება საშუალებას მოგვცემს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შევუქმნათ ენერგეტიული ბაზა და მით უზრუნველვყოთ მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარება.

18. საქართველოს კოოპერაცია, საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიების — მენშევიკების მტკიცების წინააღმდეგ, სოციალისტური მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე სდგას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამომხმარებლო კოოპერაცია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება კოოპერაციის განვითარება და აღორძინება.

1930 წლისათვის სულ გვქონდა 171 მსხვილი მრავალდუქნიანი კოოპერატივი 2.697 განმანაწილებელი წერტით, რაც, 1924 წელთან შედარებით, იძლევა ზრდას 185 პროცენტით.

კოოპერაციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა იმავე პერიოდში 106.100 კაციდან გაიზარდა 846.600 კაცამდე, ე.ი. 697 პროცენტით. კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობის პროცენტი 8-დან 56,1-დე გაიზარდა.

საპაიო თანხა 189.000 მანეთიდან ავიდა 9.059.500 მან.-მდე, ე.ი. 4.370 პროცენტით გაიზარდა. საშუალო საპაიო გამოსაღები 1 მ. 78 კაპეიკიდან გაიზარდა 10 მან. 70 კაპეიკამდე, რაც მოწმობს მოსახლეობის მჭიდრო მატერიალურ კავშირს კოოპერაციასთან.

კოოპერაციამ საქონლის ბრუნვიდან თითქმის საბოლოოდ განდევნა კერძო სექტორი და საქონლის ბრუნვა გაადიდა 21.509.000 მანეთიდან (1924 წელს) 185.000.000 მანეთამდე (1930 წ.), ე.ი. 760,1 პროცენტით.

იზრდება და მაგრდება კოოპერაციის ფინანსიური ბაზა. საკუთარი სახსრები გაიზარდა 1.074.800 მანეთიდან 17.129.200 მანეთამდე, ე. ი. 1.493,7 პროცენტით; ნასესხები სახსრები — 339,7 პროცენტით.

სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობების რაოდენობა 107-დან (1924 წელს) გაიზარდა 391-მდე (1929 წ.) ანუ 265,4 პროცენტით.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა 106.335-დან (1926 წ.) გაიზარდა 286.935-მდე (1930 წ.) რაც გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 64,6 პროცენტს უდრის.

საქონლის ბრუნვა 20.758.900 მანეთიდან გაიზარდა 54.315.500 მანეთამდე, ე. ი. 161,6 პროცენტით.

საპაიო თანხები 1928 წელს 246,3 პროცენტით გაიზარდა.

კოოპერაციაში ჩაბმულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რიცხვი 1931 წელს ვარაუდით უნდა მიაღწიოს 44.527 კაცამდე, ნაცვლად 23.915 კაცისა, 1930 წელს, ე.ი. კოოპერაციაში შეკავშირებულ შინამრეწველთა და ხელოსნთა რიცხვის გადიდება ნავარაუდევია 86,1 პროცენტით. 1931 წელს კოოპერაციაში შეკავშირებულ უნდა იქნას შინამრეწველთა და ხელოსანთა საერთო რიცხვის 57 პროცენტი, ნაცვლად 1930 წლის 30 პროცენტისა.

კოოპერაციაში ჩაბმული შინამრეწველთა და ხელოსანთა პროდუქცია 1931 წელს ნავარაუდევია 99,5 მილიონი მან. რაოდენობით, ე. ი. იძლევა საერთო პროდუქციის ზრდას 157 პროცენტით.

სოციალისტური სექტორის (სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია) სიმძლავრის ზრდამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ შემცირდა კერძო ვაჭრის როლი ჩვენი ქვეყნის საერთო საქონლის ბრუნვაში.

1928-29 წელს საბითუმო და საცალო ბრუნვა უდრიდა:

სახელმწიფო	349.841,9 ათას მ.	664.477,4 ათას მან.
კოოპერატიული	314.635,5 ათას მ.	
კერძო	116.686,8 ათას მ.	
სულ	781.164,2 ათას მ.	116.686,8 ათას მან.
1929-30 წელს:		
სახელმწიფო	447,400 ათას მ.	1.022.100 ათას მ.
კოოპერატიული	574.700 ათას მ.	
კერძო	80.700 ათას. მ.	80.700 ათას მ.
სულ	1.102.100 ათას მ.	

კოოპერაცია, რომელიც თავის მუშაობაში ებრძვის ვაჭრულ მისწრაფებას და ოპორტუნიზმს, ამჟღავნებს ამ ოპორტუნიზმის პრაქტიკულ მატარებლებს, რაზმავს მუშათა ფართო მასებს კოოპერაციის გარშემო და ეწევა ფართო კულტურულ - საგანათლებო მუშაობას — ხდება სახალხო მეურნეობის სოციალისტური განვითარების ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად.

19. მოსახლეობის კულტურულმა ჩამორჩენილობამ, რაც მემკვიდრეობად მივიღეთ მეფის და მენშევიკურ რეჟიმისაგან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე პერიოდში წამოაყენა საკითხი მუშების და მთელი მშრომელი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების შესახებ.

ჩვენი განვითარების რეკონსტრუქციული პერიოდი, სახალხო მეურნეობის სწრაფად ზრდა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ძველ სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების შათა კლასის საქმისადმი და მეურნეობის ცალკე დარგებში მავნებლობის აღმოჩენა, — ყველაფერი ეს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად აყენებს ჩვენს წინაშე პროლეტარულ სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადების პრობლემას სოციალისტური მშენებლობის გადიდებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

პარტიის დირექტივამ, რომელიც მოითხოვს კვალიფიციური კადრების მომზადებას უმოკლეს ვადაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის, თავისი გამოხატულება ჰპოვა უმაღლესი სკოლის რეფორმაში.

რეფორმის განხორციელების შედეგად ჩვენ მივიღეთ სპეციალიზაცია პედაგოგიური, საბჭოთა მშენებლობისა და უფლების, საექიმო, საფინანსო-კოოპერატიული, სამშენებლო, სასოფლო - სამეურნეო და სამხატვრო დარგების მიხედვით.

1924-25 წელს უმაღლეს სასწავლებლების მსმენელთა საერთო რიცხვი უდრიდა 8.038 კაცს. 1929-30 წელს უმაღლეს სასწავლებლების მსმენელთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 10.984 კაცამდე. ამგვარად, 6 წლის განმავლობაში მსმენელთა რიცხვი თითქმის 36 პროცენტით გაიზარდა.

ფართოვდება დაბალი და საშუალო სასწავლებლების სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელი.

1920-21 წელს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულება სულ იყო 2 (საბავშო ბაღი), ხოლო 1929-30 წელს სკოლებთან არსებობდა 444 საბავშო ბაღი 12.830 მოსწავლით და 259 დამოუკიდებელი საბავშო ბაღი 13.495 მოსწავლით.

1920-21 წელს იყო (უაჭარისტანოდ) 1.745 დაბალი პირველ-დაწყებითი და პირველი საფეხურის შრომის სკოლა, სადაც სწავლობდა 136.282 მოწაფე; 1929-30 წელს იყო 2.539 დაბალი პირველდაწყებითი და პირველი საფეხურის შრომის სკოლა 238.282 მოწაფით.

პირველდაწყებითი მაღალი ტიპის სკოლა, შრომის სკოლა, შვიდწლედის და გლეხური ახალგაზრდობის სკოლა იყო:

1920-21 წელს — 179 სკოლა 24.691 მოწაფით (უაჭარისტანოთ).

1929-30 წელს — 458 სკოლა 59.858 მოწაფით.

მუშათა კლასის დიდმა ლტოლვამ სპეციალური პროფესიონალური განათლებისაკენ თავისი გამოხატულება ჰპოვა ცოდნის თითქმის ყველა დარგის საშუალო პროფესიონალურ სასწავლებელთა ქსელის ფართო გაშლაში. პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალურ-ტეხნიკური, სატრანსპორტო, სოციალ-ეკონომიური, სამკურნალო, სამხატვრო, სამუსიკო, შინა-სამრეწველო, სახელოსნო და სამხედრო სასწავლებელი იყო:

1920-21 წელ—8 და მათში 929 მოსწავლე(აფხაზეთის და აჭარისტანის გამოკლებით).

1929-30 წელს—89 და მათში 11.169 მოსწავლე.

20 მუშების მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მოწყობილია მუშფაკები, რომლებიც მენშევიკების დროს სულ არ არსებობდნენ. 1929-30 წელს მთელ საქართველოში არსებობდა 5 მუშფაკი, სადაც სწავლობდა 2.337 კაცი—მუშა, მოჯამაგირე და ულარიბესი გლეხი. ამჟამად 8 მუშფაკია. პროფტეხნიკური განათლების სისტემაში მოქცეულია 32.173 მუშა, ხოლო დაუსწრებელი პროფტეხნიკური განათლება ვრცელდება 2.505 კაცზე.

იშლება მუშაობა საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების შემოსაღებად. 1928-29 და 30 წლების ვარაუდები, ფაქტიური ცნობების მიხედვით, შესრულებულია. საყოველთაო სწავლებაში ჩაბმულია: თბილისში—8-11 წლის ბავშვების 99,6 პროცენტი, ფოთში—98,3 პროც., ოზურგეთში—92,2. საყოველთაო სწავლების განხორციელება ხდება საქართველოს 35 რაიონში. 15 იანვრისათვის სკოლების მიერ საყოველთაო სწავლში ჩაბმული იყო 239.000 ბავშვი. 50 რაიონში.

გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1926 წლიდან 1930 წლამდე წერა-კითხვა შეისწავლა 357.990 კაცმა ე. ი. წერა-კითხვის მცოდნე (5 წლის ჰასაკზე ზევით) საქართველოში 1931 წელს უდრის 51 პროცენტს, 1926 წელს კი უდრიდა 43,1 პროცენტს. 1930-31 წელს დამთავრდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. წერა-კითხვას შეისწავლის 220.000 კაცი, მცირე ცოდნას შეიძენს 88.600 კაცი. წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს პროფკავშირების წევრთა შორის. წ.-კითხვის უცოდინარნი და მცირე მცოდნენი 1921 წელს შეადგენდნენ 49 პროცენტს, 1930 წელს კი ეს პროცენტი 2,6-მდე დავიდა.

1930-31 წლის დამლევისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთლიანად განხორციელდება.

21. მუშათა კლასის საარსებო დონის ამაღლება, სამუშაო დღის შემცირება და მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების გადიდებამ წამოაყენა პოლიტიკურ - საგანმანათლებლო მუშაობისა და მუშათა დასვენების ფართოთ გაშლის ამოცანა. ეს ამოცანა გადაიჭრა მუშათა კლუბების, წითელი კუთხეების, თეატრების და მთელი რიგი პოლიტიკურ - საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელის მოწყობით. მასების კულტურულ მოთხოვნილებებს სამსახურს უწევენ ბიბლიოთეკებიც; მარტო პროფკავშირებს თბილისში ბიბლიოთეკებში აქვთ 186.978 წიგნი, ხოლო სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში 700.000 წიგნია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა და კულტურულმა განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სპეციალური ქართული სამეცნიერო, პოპულიარული და საბავშვო ლიტერატურის შექმნაში. 1922 წლამდე საქართველოში წიგნის მეურნეობა არ არსებობდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება საგამომცემლო საქმის მოგვარება. იწყება ბეჭდვა ლენინის თხზულებათა სრული კრებულის, მარქსის ცალკე წიგნების (1920 წელს გამოვიდა ქართულ ენაზე მარქსის „კაპიტალი"-ს პირველი ტომი), ენგელსის, სტალინის და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა კლასიკოსების ნაწარმოებებისა.

1920 წ. გამოიცა 266 წიგნი 270.000 ცალის ტირაჟით.

1928-29 წ. გამოიცა 1.142 წიგნი 2.949.790 ცალის ტირაჟით.

მოსახლეობის თვითეულ სულზე თითო წიგნი მოდის.

საბჭოთა საქართველოს კულტურულ- -პოლიტიკური განვითარების განსაკუთრებით აშკარა მაჩვენებელია პრესის მდგომარეობა. 3 რესპუბლიკანურ გაზეთს მრავალათასიანი ტირაჟი აქვს, აქედან „კომუნისტი"-ს ტირაჟმა 70.000 ცალს გადააჭარბა, სას.-სამ. გაზეთის „კოლექტივიზაცია"-ს ტირაჟმა — 100.000 ცალს.

22. საქართველოს ფინანსები გამოხატავენ იმ ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფად განვითარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ფინანსიური მეურნეობა, რომელიც აგებულია კლასობრივ პრინციპზე და ანგარიშს უწევს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო — კულტურული განვითარების სწრაფ ტემპებს, ხელს უწყობს ჩვენი მეურნეობის მთელი სოციალისტური სექტორის განმტკიცებას და ზრდას, ხელს უწყობს ღარიბი და საშუალო გლეხობის გადასვლის მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე.

სახსრების მთავარი მასა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით ხმარდებოდა სწორედ მშრომელი მასების ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებას და დაკმაყოფილებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გამოყენებულ იქნა (პროცენტობით):

ხარჯები	1924-25 წ.	1929-30 წ.
1. კულტურულ- სოციალური	11,1	39,0
2. სამეურნეო-საწარმოო	52,4	22,1
3. სახსრები, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცა კულტურულ და სამეურნეო მშენებლობისთვის, და ფონდები	29,1	36,0
4. ადმინისტრატიული	7,4	29
სულ	100	100

ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით (პროცენტებში):

ხარჯები	1924-25 წ.	1929-30 წ.
1. კულტურულ-სოციალური	33,9	31,2
2. სამეურნეო-საწარმოო	43,1	45,4
3. მშენებლობანი საბანკო კრედიტების ხარჯზე და სპეცფონდები: საგზაო, საამორტიზაციო და სხვ.	5,1	14.5
4 ადმინისტრატიული	17,9	18,9
სულ	100	100

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტის საერთო მოცულობა უდრიდა (ათას მანეთობით):

	1924-25 წელს	1929-30 წ.
სახელმწიფო	13.679,6	54.044,5
ადგილობრივი	22.356,0	77.887,0

ამ თანხებით არ ამოიწურება კაპიტალური ხარჯები საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტები: ფედერატიული და საკავშირო ყოველწლიურად ითვალისწინებენ უდიდეს ასიგნობებს საბჭოთა საქართველოს მრეწველობისთვის, სოფლის მეურნეობისთვის, წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის, ელექტროფიკაციისათვის და სხვა საჭიროებისათვის.

ამასთან ერთად ამავე საჭიროებაზე ყოველწლიურად იხარჯება მნიშვნელოვანი თანხები კოოპერაციის, პროფკავშირების, სოცდაზღვევის, სახელმწიფო დაზღვევის და სხვ. ხაზით.

საბჭოთა საქართველოს ფინანსები, რომლებიც აგებულია კლასობრივ პრინციპებზე, გამოხატავენ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას — საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ყველა ეროვნულ უმცირესობათა სრულ თანასწორუფლებიანობას.

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ცალკე ბიუჯეტების ზრდა 1929-30 წელს, 1924-25 წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით:

აფხაზეთის ს.ს.რესპ.	306,9 პროც.
აჭარისტანის ს.ს. რესპ.	271,4 პროც.
სამხრეთ - ოსეთის ავტონ. ოლქი	430,2 პროც.
საკუთრივ საქართველოს	211,4 პროც.
საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის	319,1 პროც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეხლანდელ ავტონომიურ რესპუბლიკებს თითქმის არავითარი მრეწველობა არ ჰქონდათ და არ ჰყავდათ მუშათა კლასი. ამჟამად ამ რაიონებში სწრაფად ვითარდება მრეწველობა. არსებული სამრეწველო კერების განსავითარებლად და ახლების მოსაწყობად 1931 წელს გათვალისწინებულია ასიგნობები: აჭარისტანისათვის — 2.860 ათასი მანეთი, აფხაზეთისათვის — 8.024 ათასი მან. ტყვარჩელმშენის ჩათვლით), სამხრეთ ოსეთისათვის — 1.202.000 მან. ჩამორჩენილი და ავტონომიური რაიონების ინდუსტრიალიზაციასთან ერთად ამ რაიონებში ვითარდება პოლიტიკურ - საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებათა ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის განმავლობაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფინანსებმა სავსებით აღმოფხვრეს მეფის რეჟიმის მემკვიდრეობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას და საჭიროებას.

ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის ხდება ქალაქის პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის პირველ ხარისხოვან, გადაუდებელ საჭიროებათა, ქალაქის და სოფლის ცხოვრების, ყოფა - ცხოვრების და სხვ. თავისებურობათა მტკიცედ აღრიცხვისა და გათვალისწინების საფუძველზე. ახალი ადმინისტრატიულ - ტერიტორიალური დარაიონების ჩატარებამ საბჭოთა საქართველოში და ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის განმტკიცებამ უფრო მეტი გეგმაშეზომილება შეიტანა სახსრების განაწილებაში ქალაქსა და სოფელს შორის.

თუ ომამდე ადგილობრივი სახსრების 77 პროცენტი ქალაქის საჭიროებებს ხმარდებოდა და მხოლოდ 23 პროცენტი სოფელს, ამჟამად საბჭოთა საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან ქალაქს ხმარდება 34,6 პროცენტით, ხოლო სოფელს — 65,4 პროც.

საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკის რეალური შედეგები, სახელდობრ საერთო უდიდესი ცვლილებანი რესპუბლიკის ეკონომიკის და მოსახლეობის კულტურული განვითარების სფეროში, ფინანსიური ხუთწლედის შესრულების არსებული მაჩვენებლები, ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა ენტუზიაზმი და მათ მიერ სოციალისტური მშენებლობისათვის მტკიცედ მხარის დაჭერა, — ყველაფერი ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ ფინანსიურ ფრონტზე ახალი უდიდესი გამარჯვებები იქნება მიღწეული.

23. მშრომელ მასების აქტივობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ მოეწყო მთელი რიგი ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომელთა მუშაობაც ვითარდება ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა მიმართულებით.

1) 1931 წლისათვის საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმს ჰყავს 300 ათასზე მეტი წევრი, ისინი შეადგენენ წითელი არმიის რეზერვს.

თავდაცვა - ავიაქიმი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს მოსახლეობის გასამხედროებისათვის, აძლიერებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარს, ამზადებს სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მშენებელთა ახალ კადრებს.

2) საქართველოს რემედასი 1931 წლისათვის აერთიანებს 1.911.675 წევრს. ყოველ წლიურად ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტპატიმართა დასახმარებლად რემედასი იძლევა 140.000 მარკას. 1930 წელს საქართველოს რემედასმა საბჭოთა კავშირის რემედასის ცენტრალურ კომიტეტს გადაუგზავნა კაპიტალის ტყვეების დასახმარებლად 52.000 მანეთი; შეფობაზე აყვანილ საპატიმროებს უშუალოდ გადუგზავნა 2.865 მანეთი; პოლიტემიგრანტთა სახლის ასაგებად გადასდო 20.000 მანეთი.

საქართველოს რემედასი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებს მასების ინტერნაციონალურად აღზრდისათვის.

3) საშეფო საზოგადოება 1931 წლისათვის აერთიანებს 55.462 წევრს. საქართველოს საშეფო საზოგადოებანი გაიქცნენ უდიდეს პოლიტიკურ ფაქტორებად, რომელთა დახმარებითაც კომპარტია სოფლად ახორციელებს უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვისათვის კულაკობასთან საბრძოლველად.

4) წითელი ჯვარი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავზე აერთიანებს 77 ათას კაცს. საზოგადოება გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის სანიტარული პირობების გაუმჯობესებისათვის.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა მშრომელ ებრაელებს სრული შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. 1931 წლისათვის მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება აერთიანებს 8000 მშრომელ ებრაელს. მოეწყო ებრაელთა ათი კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანებულია 1.600 სული ებრაელი მოსახლე.

წერა - კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის დიდ მუშაობას აწარმოებს საზოგადოება „წერა - კითხვა", რომელიც აერთიანებს 75.000 წევრს. საზოგადოებამ 1929-30 წელს თავისი ძალებით მოახდინა 40.000 კაცის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ფართოდ იშლება ანტირელიგიური მუშაობა. საქართველოს უღმერთოთა კავშირი 1930 წელს აერთიანებს 75.000 წევრს, ხელმძღვანელობას უწევს ანტირელიგიურ უნივერსიტეტს და სცემს მთელ რიგ პოპულიარულ ანტირელიგიურ წიგნებს და ჟურნალებს.

24. მენშევიკური მთავრობის კონტრ - რევოლიუციონური პოლიტიკის საფუძველზე შენდებოდა სამხედრო ძალთა ორგანიზაციის სისტემა.

რეგულიარულ მენშევიკურ ჯართან ერთად არსებობდენ სახალხო გვარდიელები — მენშევიკების და ქირავებული სატრაპები. მენშევიკური არმიისათვის დამახასიათებელი იყო სრული გახრწნა, სახაზინო ფულების ფლანგვა, უსისტემობა ძალადობა.

მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შექმნეს წითელი არმიის მძლავრი ნაწილები, სამაგალითოდ დააყენეს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა მასში საქართველოს მშრომელნი სისტემატიურ მუშაობას აწარმოებენ წითელი არმიის ბრძოლის უნარის და ძლიერების გადიდებისათვის.

წითელი არმია, რომელიც შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან, წარმოადგენს პროლეტარიატის კლასობრივ არმიას, დისციპლინიან, უაღრესად შეგნებულ კოლექტივს, საბჭოთა ხელისუფლების მძლავრ დასაყრდენს და რევოლიუციის მონაპოვართა და სოციალისტური მშენებლობის ერთგულ დარაჯს.

25. საქართველოს ლენინური კომკავშირი, რომელიც პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში 110 ათასიან ორგანიზაციად იქცა, წარმოადგენს პარტიის პირველ თანაშემწეს სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. საქართველოს კომკავშირი ყოველთვის მკაცრად ალაშქრებდა ყველა ჯურის ოპორტუნისტების ცდების წინააღმდეგ, რომ დაეპირისპირებიათ კომკავშირი პარტიისათვის, და ზრდიდა მშრომელ ახალგაზრდობას ძველი ბოლშევიკური გვარდიის ტრადიციებზე.

კომკავშირი, რომელსაც სათავეში უდგას მუშა, მოჯამაგირე, კოლმეურნე და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის შემჭიდროებითი ინიციატივას და საწარმოო ენტუზიაზმს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმოადგეს სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეს, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის, ინიციატორს, მოწინავე რაზმს კულტურული რევოლიუციის ფრონტზე, მებრძოლს ახალი სოციალისტური კადრების აღზრდისათვის.

საქართველოს კომკავშირი აქტიური მონაწილეა სოციალისტურ საფუძველზე ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა, კომკავშირი ერთგული დარაჯია ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა, იგი ყოველდღე ამაგრებს წითელი არმიისა და ფლოტის რიგებს, რომელთაც ავსებს მუშა, მოჯამაგირე და კოლმეურნე ახალგაზრდებით.

ლენინური კომკავშირი მესამე თაობას კომუნისტურად ზრდის. საქართველოს პიონერ-ორგანიზაციაში ითვლება მუშებისა და გლეხების 175 ათასი ბავშვი.

საბჭოთა საქართველო, კომუნისტური პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, თავისი არსებობის ათი წლის თავს ხვდება უდიდესი მიღწევებით. ლენინური პრინციპების ერთგული პარტია განუწყვეტლად იზრდებოდა და იბრძმედებოდა პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტია, ქართული უკლონიზმის განადგურების შემდეგ, იბრძოდა ა.-კ. ფედერაციის შექმნისათვის, რომელიც ამაგრებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ სიძლიერეს და ჰქმნის პირობებს ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობისათვის სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე. ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, იმ ტროცკიზმის, რომელიც ცდილობდა პარტიის გადაცდენას ლენინური გზიდან, საქართველოს კომპარტია დარჩა თავის ბოლშევიკურ პოზიციებზე, გადაჭრით შეუტია კლასობრივი მტრის აგენტურას და ამავე დროს ამაგრებდა თავის რიგებს ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცებით. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სოციალიზმის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამჭრელი გაშლილი შეტევის პერიოდში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და კულაკობის გააფთრებული წინააღმდეგობის პერიოდში, კომპარტია ეწევა განუწყვეტელ ბრძოლას მემარჯვენე გადახრის, როგორც კლასობრივი მტრის იდეოლოგიისა და მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ჩვენი განვითარების ამ ეტაპზე, პარტიის მიერ განადგურებული მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ თეორიასა და პრაქტიკაში. საქართველოს მუშათა კლასი, რომელმაც უდიდესი აღფრთოვანებით შექმნა შრომის ახალი სოციალისტური ფორმები — სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, ბოლომდე მიმყოლი ბრიგადები და სხვ., — მუშაობს სოციალიზმის მშენებლობისათვის და უფრო და უფრო ამჭიდროებს თავის რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც აძლევს მოწინავე მუშებს, საუკეთესო დამკვრელებს, სოციალიზმის საუკეთესო მშენებლებს. პარტიის ზრდა ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა უმთავრესად მუშების, გლეხებისა და მოჯამაგირეების ხარჯზე. 1925 წლის 1 იანვრისათვის პარტიაში ითვლებოდა წევრი და კანდიდატი — 16.364, აქედან მუშა — 7.288 ანუ 44,5 პროცენტი. 1930 წლის 1 აპრილისათვის იყო პარტიის წევრი და კანდიდატი 33.963, აქედან მუშა — 17.914 ანუ 53,1 პროცენტი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე ნამდვილად შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ საბჭოთა აპარატის წმენდას და ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, შესძლეს მშრომელი მასების აქტივობის გადატანა ძირითადი სამეურნეო ამოცანების შესრულებაზე, შესძლეს ნამდვილი კავშირისა და მონოლიტობის შექმნა მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრის წინააღმდეგ პრაქტიკაში. კომუნისტური პარტია უფრო და უფრო იპყრობს უფართოესი მშრომელი მასების ნდობას, იმ მასების, რომლებიც საბოლოოდ განთავისუფლდნენ მენშევიკების, მუშათა კლასის ამ საზიზღარი გამყიდველების და სხვა შოვინისტური პარტიების (ნაც.-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვ.) ყოველგვარი გავლენისაგან და იმედიანად და სწრაფად მიჰყავს მას ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა ამიერ - კავკასიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა შრომითი კავშირს!

გაუმარჯოს საკავშ. კ.პ. (ბ) და მის ბელადს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს კომინტერნს მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლ შტაბს!

საქ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება.

ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცკას სამდივნოს დადგენილება

ქვედა პარტორგანოების გადარჩევის კამპანიამ საქართველოში უნდა ჩაიაროს იმ ამოცანების რეალიზაციის ლოზუნგით, რომლებიც ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციას დაუსახა საკ. კ.პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტმა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში. გადარჩევის კამპანიამ, ბოლშევიკური თვითკრიტიკის უფრო მეტად გაშლის საფუძველზე, პარტიის გენერალური ხაზისა და პრაქტიკაში მისი განუხრელად გატარების ირგვლივ უნდა შეამჭიდროოს მთელი პარტიული ორგანიზაცია და ფართო მშრომელი მასები, უფრო მეტად უნდა გააძლიეროს ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევების წინააღმდეგ — მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ, „მემარცხენე" ტროცკისტული რეციდივების წინააღმდეგ, მემარჯვენე-„მომემარცხენო" ოპორტუნისტებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც გადარჩევას ატარებენ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, უფრო მეტად უნდა გააძლიერონ ბრძოლა სოციალიზმის კლასობრივი მტრების წინააღმდეგ — კულაკების, მენშევიკების, ტროცკისტების, მავნებლების და ყველა ჯურის ნაციონალისტების წინააღმდეგ. ქვედა საფეხურის უჯრედებმა და საქართველოს ყველა პარტორგანიზაციებმა უნდა განდევნონ პარტიიდან ოპორტუნისტები და, გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით, გააძლიერონ მუშა დამკვრელების, სას.-სამ. მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხების და კოლმეურნეების ჩაბმა პარტიაში და ამ საფუძველზე უფრო მაღლა უნდა ასწიონ თავიანთი ბრძოლის უნარი პარტიის გენერალური ხაზის გადაჭრილი განხორციელების საქმეში.

ამისდა მიხედვით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცკას სამდივნო ადგენს:

1. საანგარიშო - საარჩევნო კამპანია, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ორგანიზაციებში დაიწყოს 15 თებერვალს და დამთავრეს 1-ლი აპრილისთვის, ამასთან მოსამზადებელი მუშაობა უნდა დაიწყოს 15 თებერვალს და დამთავრდეს 5 მარტისთვის; საანგარიშო - საარჩევნო კრებები ჩატარებულ იქნას 5 მარტიდან 1-ლ აპრილამდე.

2. მოსამზადებელი მუშაობა დაწყებულ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის იმ დადგენილების დამუშავებით, რომელიც შეეხება ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევას. აღნიშნული დადგენილების დამუშავება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სპეციფიურ ამოცანებს, რომელნიც დასმულნი არიან საწარმოო, სასოფლო, სატრანსპორტო და სხვ. უჯრედების წინაშე. კერძოდ, საწარმოო უჯრედებში საკავშირო კომიტეტის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილების დამუშავება უნდა დაუკავშირდეს მრეწველობის მუშაკთა კონფერენციის შედეგებს, სასოფლო და საკოლმეურნეო უჯრედებში კი ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვას კონტრაქტაციის შესახებ და ს.კ.პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობისა და ამოცანების და გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისათვის მზადების მსვლელობის შესახებ. სატრანსპორტო უჯრედებში ს.კ.პ. (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილების დამუშავება უნდა დაუკავშირდეს ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიმართვას ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ.

3. უჯრედებში საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილების ამ თვალსაზრისით დამუშავებასთან ერთად უნდა შეიქმნას საუჯრედო შემმოწმებელი კომისიები, რომელთაც უნდა დაევალოთ ბრიგადების გამოყოფა მუშაობის ცალკე დარგებში და პარტიის წევრების და კანდიდატების მაქსიმალურად ჩაბმა აღნიშნულ ბრიგადებში. ინსტრუქციების მისაცემად რაიონებში მოწვეულ ქნას შემმოწმებელ კომისიების თათბირები.

4. გადარჩევა უნდა დაიწყოს ქვედა საფეხურებიდან (პარტორგანიზატორები, საამქრო უჯრედები, და სხვ.), პარტორგანიზატორების საანგარიშო მოხსენებანი უნდა დაისვას პარტუჯრედებში განსახილველად გეგმიან დავალებების შესრულებისა და სიმძიმის ცენტრის საამქროებში, ბრიგადებში, ჯგუფებში, და სხვ. გადატანის თვალსაზრისით.

5. უჯრედის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა დაისვას შემდეგი საკითხები:

1) უჯრედის ბიუროს ანგარიში;

2) თანამოხსენება—ა) საწარმოო უჯრედებში—სამეურნეო მუშაკისა ხუთწლედის მე-3 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მსვლელობის შესახებ;

ბ) სოფლის უჯრედებში—თესვის სამეულისა გაზაფხულის თესვისთვის მზადების მსვლელობის შესახებ;

გ) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უჯრედებში—გაზაფხულის თესვისათვის მზადების მსვლელობის შესახებ;

ვ) ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

6. მსხვილ პარტკოლექტივებში რაიკომების შეხედულებისამებრ ჩატარდეს კონფერენციები. ნორმები დააწესონ თვით რაიკომებმა. დღის წესრიგი მიღებულ იქნას ისეთივე, როგორიც უჯრედებისათვის. პარტკოლექტივებთან შემმოწმებელი კომისიები არ უნდა შეიქმნას.

7. ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევის ჩატარებას უნდა დაუკავშირდეს უჯრედთა მუშაობის გარდაქმნა და სოფლის უჯრედების რეორგანიზაცია საწარმოო პრინციპის მიხედვით (უჯრედები კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან).

8. დაევალოს პარტიის საოლქო კომიტეტებს, ქალაქის კომიტეტებს და რაიკომებს მიამაგრონ უჯრედებს საანგარიშო - საარჩევნო კამპანიისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად საოლქო კომიტეტების, ქალაქის კომიტეტების და რაიკომების ბიუროების და პლენუმების წევრები.

9. ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევის ჩასატარებლად რაიონებზე მიმაგრებულ იქნენ შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგები:

1. რამიშვილი — სამტრედიის, ვანის და ხონის რაიონებში.
2. იმედაძე — ქუთაისის, ბაღდადის და ტყიბულის რაიონებზე.
3. გ. სტურუა—ფოთის, აბაშის, სენაკის, და მარტვილის რაიონებზე.
4. შაბანოვი — ახალციხის, ტოლოშის და ადიგენის რაიონებზე.
5. კალაშიანი — ახალქალაქის და ბოგდანოვკას რაიონებზე.
6. გ. შენგელია — ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებზე.
7. ს. ჯათარიძე — გორის, სტალინისის და კასპის რაიონებზე.
8. ნალბანდიანი—ბორჯომის რაიონზე.
9. კორსაველი — გურჯაანის, სიღნაღის და შირაქის რაიონებზე.
10. ს. საყვარელიძე — თელავის, ყვარელის და ლაგოდეხის რაიონებზე.
11. ბედლაძე — ჭიათურის, ზესტაფონის, ჩხარის და ხარაგოულის რაიონებზე.
12. ა. ჩხატიანი — ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ქვემო სვანეთის რაიონებზე.
13. ვ. ჩაკვატაძე — ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის და ხობის რაიონებზე.
14. კიზირია — ერწო-თიანეთის რაიონზე.
15. თ. ადამიძე — მცხეთის და გარე-კახეთის რაიონებზე.
16. გ. სილაძე — ყარაიას რაიონზე.
17. ს. [illegible] — ალბულაღ-მანგლისის რაიონზე.

10. დაევალოთ ცენტრალური კომიტეტისაგან მიმაგრებულთ და საოლქო კომიტეტების, ქალაქის კომიტეტების და რაიკომების მდივნებს, დეკადობით მოაწოდონ ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

11. კამპანიის მომზადება და მსვლელობა ფართოდ გაშუქებულ იქნას პრესაში.

12. 18 თებერვალს მოწვეულ იქნას თბილისის უჯრედთა ბიუროების საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც დაისვას საკითხი პარტიის ამოცანებისა და ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევის შესახებ.

სომხეთის საბჭოების ყრილობა

ერევანი, 14 თებერვალი. დღეს 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სრულიად სომხეთის საბჭოების მე-7 ყრილობა. ყრილობას ხსნის ცაკის თავმჯდომარე ამხ. დაშტიანი, რომელიც ესალმება საბჭოს წევრებს და, სხვათა შორის, ამბობს:

— ჩვენი ყრილობა მუშაობას იწყებს იმ დროს, როდესაც წარმატებით დამთავრდა ხუთწლედის მეორე წელი და გადავედით მესამე გადამწყვეტ წელში.

— ამ რამდენიმე ხნის წინად ვიდღესასწაულეთ საბჭოთა სომხეთის ათი წლის თავი. 10 წელი ისტორიისათვის ძალიან ცოტა ხანაა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ვითარდებოდა ისტორიისათვის არაჩვეულებრივი, არნახული ტემპებით.

— დღეს ჩვენ ჯამი უნდა გავუკეთოთ მე-6 ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე განვლილ დროის ნამუშევარს, რათა გავიგოთ თუ რა გაკეთდა ჩვენში, საბჭოთა სომხეთის სინამდვილეში. ის წარმატებები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა სომხეთს, მოწმობენ, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი მედგრად და ერთსულოვნად არის ჩაბმული ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აყვავებისა და აღორძინების საქმეში და დაუღალავი ენერგიითა და თავდავიწყებით აშენებს სოციალიზმს.

ამხ. დაშტოიანის შესავალი სიტყვის შემდეგ ყრილობა ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ტელმან, კრუპსკაია, გორკი, კიროვი, კასიორი, რუძუტაკი; კუიბიშევი; ქართველიშვილი, ორახელაშვილი.

საპატიო პრეზიდიუმის არჩევას მთელი ყრილობა ხანგრძლივი ტაშის ცემით, ოვაციებითა და ფეხზე ადგომით ესალმება. ისმის ინტერნაციონალი.

საკ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. იაკოვლევი.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან მთელ რიგ სამრეწველო რაიონების მუშათა დელეგაციები. ლენინაკანის დეპოს მუშებმა ყრილობას გადასცეს პატაკი და ჩააბარეს ორი ორთქლმავალი.

სომხეთის მსრ. დივიზიის სახელით ყრილობას ესალმება წითელარმიელი ამხ. სტეფანიანი. საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. ერზინკიანი.

საზეიმო სხდომის შემდეგ ყრილობა გადადის საქმიან მუშაობაზე. ა. კ. მთავრობის მოქმედების ანგარიშით გამოვიდა ამხ. ფირუმოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცკას პლენუმი

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანები

ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება*)

ამხანაგებო! პარტიამ წამოაყენა სამი მთავარი პრობლემა: მრეწველობის ნედლეულის ძირითადი ბაზის—ტექნიკური კულტურების გავრცელება-გაფართოება; სამრეწველო მესაქონლეობის აღორძინება-განვითარება მუშათა მომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად და საზოგადო კულტურების ნათესების სივრცის გაფართოება.

საკითხი იბადება—რა გზით უნდა გადავჭრათ ეს სამი ძირითადი ამოცანა. ამხ. სტალინი ამბობს, რომ „ამ ამოცანების გადაჭრისათვის ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ იმ გზით, რომლითაც მივდიოდით მარცვლეული პრობლემის გადაწყვეტის დროს, ე. ი. საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების გზით, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი პოლიტიკის მთავარ დასაყრდენს“.

აქედან ჩვენი მთავარი ამოცანაა მესაქონლეობის ტექნიკური კულტურების და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ფართოთ მშენებლობა; ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობების სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებით; ჩვენ უნდა შევძლოთ ტექნიკური კულტურების ნათესების გაფართოება მარცვლეული კულტურების ხარჯზე; უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტექნიკური კულტურის რაიონები იაფი ხორბლეულის პროდუქტების საკმაო რაოდენობით.

ტექნიკური კულტურების გავრცელება

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების დროს ჩვენ ყველა ეს საკითხები უნდა გადავწყვიტოთ შემდეგი გზით: პირველი—საგაზაფხულო ნათესების გადიდება 759.400 ჰექტარამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ 1930 წელთან შედარებით საგაზაფხულო ნათესებს ჩვენ გავადიდებთ 18 პროცენტით.

ვის ხარჯზე გაიზრდება ეს კულტურა?

აღნიშნული კულტურების ნათესები უმთავრესად გაიზრდება ახალი მიწებით, რომელსაც ჩვენ მივიღებთ ჭაობების ამოშრობის, ახალი არხების გაყვანით და სხვ. (25.100 ჰექტარი), და შევამცირებთ დასასვენებელ მიწების რაოდენობას ისე, რომ დასასვენებელი მიწების რაოდენობა, ხანგამიწებთან შეადგენდეს 22 პროცენტს— 29 პროცენტის ნაცვლად. ჩვენ ხშირად გვესმის პროტესტები ადგილებიდან, რომ თითქოს მიწსახკომმა მეტად დიდი ფართობი მისცა საგაზაფხულო ნათესებს.

ეს პროტესტი არ არის სწორი, იმიტომ, რომ რესპუბლიკაში საგრძნობლად უნდა გაიზარდოს საგაზაფხულო ნათესები, რაც ბუნებრივად გამოიწვევს საგაზაფხულო ნათესების გადიდებას რაიონებშიაც.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს ტექნიკური კულტურებით დაკავებულ უნდა იქნას 129.700 ჰექტ. ეს იმას ნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით ტექნიკური კულტურების ნათესების ფართობი გადიდდება 200 პროც.

ბოსტნების, ბაზრების და კარტოფილის ნათესების სივრცე უნდა გაიზარდოს 43 ათას ჰექტარამდე, რაც ნიშნავს 95 პროც. ზრდას. ხორბლეული კულტურების სივრცე განსაზღვრულ უნდა იქნას 541.900 ჰექტარით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობი შემცირდება 5 პროც.

ამნაირად, 1931 წელში ჩვენ პრაქტიკულად ვატარებთ ტექნიკური კულტურების საგრძნობლად გადიდებას და მარცვლეული კულტურების შევიწროებას. სიმინდის კულტურა, გასულ წელთან შედარებით შემცირებული იქნება 8,5 პროც.

ამხანაგებო! უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ ამხანაგებმა სხვანაირად გაიგეს მარცვლეული კულტურების შევიწროების პრობლემა. ზოგიერთ ამხანაგებს შევიწროვების ამოცანა ისე წარმოუდგენიათ, რომ ლოზუნგი მარცვლეული კულტურების შევიწროვება თითქოს ნიშნავდეს ამ კულტურის ზომაზე მეტ შემცირებას. მარცვლეულის კულტურების შევიწროება ნიშნავს მისი ტექნიკური კულტურებით შეცვლას, რაც ვერ გაიგეს ზოგიერთ ამხანაგებმა.

ხეხილის ახალ ნარგავებმა 1931 წელში უნდა დაიკავოს 5.500 ჰექტარი. მომზადებულ უნდა იქნას ნიადაგი ჩაისათვის 20 ათასი ჰექტარზე, აქედან 1931 წელში ჩაი უნდა დაითესოს 16.700 ჰექტარზე.

აი ჩვენი კონკრეტული ამოცანა ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების საქმეში, მებოსტნეობის გადიდების საქმეში.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ განსაზოგადოებული სექტორის გაფართოებით.

საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები უნდა გავაფართოვოთ

როგორია ჩვენი ამოცანები 1931 წელში, სოციალისტური სექტორის საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების—გაფართოების საქმეში? საბჭოთა მეურნეობებში საერთო ფართობი უნდა შეადგენდეს 254 ათას ჰექტარს,—100,500 ჰექტარის ნაცვლად. როგორც ვხედავთ, საბჭოთა მეურნეობების მიწების ფართობი საგრძნობლად გაიზრდება. გარდა ამისა ჩვენ უნდა შევძლოთ გლეხურ მეურნეობების 30 პროცენტამდე კოლმეურნეობებში ჩაბმა და ნათესების საერთო ხვედრითი წონა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, საგაზაფხულო თესვის დროს უნდა ავიყვანოთ 36 პროცენტამდე. აქედან 32 პროცენტი მოდის კოლმეურნეობებზე.

ზოგიერთ რაიონებში, მაგ. ოზურგეთში, ადგილი აქვს მუშა-ხელის და არა საწარმოო-საშუალებათა იაზოგადოებას. ასეთ კოლმეურნეობებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა და გადაიქცნენ ნამდვილ კოლმეურნეობად. ჩვენ გვაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის ისეთი რაიონები სადაც განსაზოგადოებულია მიწების მხოლოდ 20 პროცენტი. ცხადია, რომ ასეთი „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები“ შემდეგში არ უნდა გვქონდეს.

თუ საგაზაფხულო ნათესების ხვედრითი წონა იქნება 32 პროცენტი, თვითეულ კოლმეურნეს დატვირთვა იქნება 1,8 პროცენტით, ინდივიდუალური მეურნის კი 1,6 პროც. ჩვენ უნდა ავიღოთ კურსი იმაზე, რომ საწარმოო დატვირთვა კოლმეურნეს მეტი ქონდეს, ვინემ ინდივიდუალურ მეურნეს.

თუ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ნათესების ხვედრითი წონა, როგორც ეს ზემოდ აღვნიშნეთ აყვანილი იქნება 36 პროცენტამდე, მაშინ საბჭოთა მეურნეობებმა ტექნიკური კულტურების ნათესები უნდა აიყვანონ 11 პროც., კოლმეურნეობებმა 49 პროცენტამდე, და მთელ განსაზოგადოებულ სექტორმა კი 60 პროცენტამდე.

ამნაირად, 1930 წლის კოლმეურნეობათა სექტორის ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა თუ უდრიდა 24 პროცენტს, 1931 წელში კოლმეურნეობათა სექტორის ხვედრითი წონა იქნება 49 პროცენტი, ინდივიდუალური მეურნეობის კი—40 პროცენტი, თუ 1930 წელში კოლმეურნეობებში ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა ყველა ნათესების უდრიდა 8 პროც. მარცვლეულის კი—86 პროცენტი, 1931 წელში კოლმეურნეობათა სექტორში ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა იქნება 26 პროცენტი, მარცვლეულის კი—61 პროცენტი.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნიკური კულტურების გეგმის შესრულების საქმეში ჩვენ მივდივართ განსაზოგადოებული სექტორის გაფართოების გზით. განსაზოგადოებულ სექტორში ტექნიკური კულტურები გაიზრდება 60 პროცენტი 30 პროცენტის ნაცვლად.

ამნაირად კოლმეურნეობებში ტექნიკური კულტურები საგრძნობლად შეავიწროებენ ხორბლეულის კულტურებს და ეს ასეც უნდა მოხდეს.

მესაქონლეობის განვითარების მორიგი ამოცანები

მესაქონლეობის განვითარებაში დროა გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები. დღემდე ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ ზოოტექნიკურ სადგურს აქვს მიღწევები, მაგრამ პრაქტიკულად კი ცოტას ვაკეთებდით.. მესაქონლეობა ამ უკანასკნელ წლებში არამც თუ განვითარდა ,არამედ ნაწილობრივ გაუარესდა კიდეც.

როგორ უნდა გადავჭრათ მესაქონლეობის განვითარების პრობლემა?

მე-16 პარტყრილობამ ამ საკითხზე ამომწურავი დირექტივა მოგვცა გასული წლის გაზაფხულზე, წარმატებისაგან თავბრუდამხვევ“ დროს დაშვებული იყო უხეში შეცდომები. გლეხები ანადგურებდნენ შინაურ ცხოველებს. კულაკები იყენებდნენ რა თავიანთ სასარგებლოდ ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებს აგიტაციას ეწეოდნენ ღარიბ და საშუალო გლეხობაში საქონლის განადგურებისათვის. ჩვენ ხელთ არ გვაქვს ზუსტი ცნობები მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის შემცირების შესახებ, მაგრამ, რაც გვაქვს, ისიც ნათლად მოწმობს, რომ მსხვილი და წვრილფეხა საქონელი 1929 წელთან შედარებით შემცირდა.

როგორი კონკრეტული ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე 1931 წელში, და განსაკუთრებით საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, მესაქონლეობის განვითარების საქმეში?

მესაქონლეობა უმთავრესად უნდა განვითარდეს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების ხაზით. ასეთია ჩვენი პარტიის პროგრამა. მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა საქონელი აყვანილი უნდა იქნას 28.700 სულამდე,—5 ათასი სულის მაგივრად; წვრილფეხა საქონლიდან—ღორი 35.600 სულამდე, ცხვარი—101.500 სულამდე და სხვა.

ორიოდე სიტყვა მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნის შესახებ. ყველასათვის ცნობილია საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილება მესაქონლეობის განვითარების შესახებ. ამ დადგენილებათა საფუძველზე ჩვენ ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების შექმნისათვის. ამჟამად არსებული მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებში ყველაფერი თავის რიგზე არ არის. განსაკუთრებით ჩამორჩებიან „სკოტოვოდი“ და „სვინოვოდი“. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გაერთიანებული არიან საქ. მიწსახკომის ტრესტში.

უნდა აღინიშნოს, რომ მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი ზამთრის საკვებით. შემდეგში ჩვენი ამოცანა მდგომარეობს—მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობაზე გადასვლაში. დროა თავი დავანებოთ ამ საქმეში კუსტარულ მუშაობას, რომლისაც დღემდე მივმართავდით ე. ი. 100—200 სულისაგან ვაწყობდით საბჭოთა მეურნეობებს. მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობას რაიონებში და რესპუბლიკაშიაც კი ვერ შევძლებთ. მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების შექმნა შეუძლია მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც არიან საკავშირო გაერთიანებები,—„სკოტოვოდი“, „ოვცევოდი“ და „სვინოვოდი“.

გარდა ამისა ჩვენ უნდა შევძლოთ ქალაქ გარეთ მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით. ქალაქის გარეთ უნდა მოვაწყოთ მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობა ისე, რომ უზრუნველვყოთ თბილისის მუშები საჭირო პროდუქტებით. ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯები გადაიდგა.— სოფ. ხოლანაულში მოწყობილ იქნა მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობა. შემდეგში უნდა დავეხმაროთ ამ მეურნეობას რათა მან წარმატებით შეასრულოს სამუშაო გეგმა.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობა ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ ისინი გადაიქცნენ მსხვილ სასაქონლო მეცხოველეობის ორგანიზატორებად თავის სამოქმედო რაიონში. რაიონებში მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებმა სათანადო გავლენა მოახდინონ წვრილ გლეხურ მეურნეობაზე.

მესაქონლეობის კოლმეურნეობები

გადავდივარ შემდეგ საკითხზე—მესაქონლეობის კოლმეურნეობებზე. აქ გულახდილად უნდა ითქვას, რომ მესაქონლეობის კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობის საკითხი არაფრად არ ვარგა. აქ მე არ შემიძლია მოვიყვანო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მსხვილ და წვრილფეხა საქონელია გაერთიანებული განსაზოგადოებულ სექტორში. ამაში ყველანი დამნაშავენი ვართ.

მესაქონლეობის კოლმეურნეობათა ფართოდ გაშლის საქმეში 1931 წელს ჩვენს წინაშე მრავალი გადასაწყვეტი ამოცანები დგანან. ჩვენ უნდა შევძლოთ მესაქონლეობის კოლმეურნეობების ორგანიზაციის ფართოდ გაშლა და განმტკიცება.

შინაური საქონლის დამზადებამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, მთავარი როლი უნდა შეასრულოს განსაზოგადოებულ სექტორის განვითარებაში.

რაც შეეხება მესაქონლეობის კოლექტივიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ მესაქონლეობის კოლექტივიზაცია, ბევრად ჩამორჩება ტექნიკური კულტურების კოლექტივიზაციას.

როგორია ამ მხრივ ჩვენი გეგმა 1931 წლისათვის?

1931 წელში საკვები კულტურების ნათესების სივრცე უნდა გაიზარდოს 44.700 ჰექტარამდე გასულ წელთან შედარებით. საკვები კულტურების ნათესების სივრცე გაიზრდება 290 პროცენტით. აქედან საბჭოთა მეურნეობებში 16 პროც., კოლმეურნეობებში 34 პროც., როგორც ხედავთ საკვები კულტურის ნათესების 50 პროცენტი მოვა განსაზოგადოებულ სექტორზე.

გეგმით დასახული გვაქვს 175.000 ტონა საკვების დასილოსება. დასილოსებულ საკვების მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია; დასილოსების მნიშვნელობის შესახებ მე აქ არ მიხდება ლაპარაკი. მხოლოდ საჭიროა პრაქტიკულად განვახორციელოთ საკვების დასილოსება.

გარდა ამისა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა ბუნებრივი საძოვრების და სათიბების გადიდების შესახებ.

როგორ უნდა გადავწყვიტოთ ამოცანა მესაქონლეობისა და ტექნიკურ კულტურების შესახებ.

ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობათა საფუძველზე. განსაზოგადოებულ სექტორის საფუძველზე.

ამრიგად, ჩვენ ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, რომ ის კონკრეტული გეგმები, რომლისაც ჩვენ ვსახავთ ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის განვითარების საქმეში 1931 წელში, შეიძლება განვახორციელოთ და შევასრულოთ მხოლოდ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობის პროგრამის შესრულებით. თუ ჩვენ ვერ შევასრულებთ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის გეგმას, აქედან ცხადია, რომ ვერ შევასრულებთ ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის განვითარების გეგმას. აი ასე დგას საკითხი, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

ყურადღება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს. საქართველოში ამჟამად გვაქვს 3 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და ერთი სატრაქტორო კოლონა.

როგორ მუშაობენ ეს სამანქანო სატრაქტორო სადგურები, წარმოადგენენ თუ არა ისინი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საშუალებას.

უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანის შესრულების სიმაღლეზე ჩვენში სატრაქტორო-სადგურები ჯერ კიდევ ვერ ამაღლდნენ. ჩვენ ისე უნდა გარდავქმნათ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა იარაღ-მანქანების უბრალო გასაქირავებელ პუნქტებს, არამედ იყვნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ორგანიზატორები.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის მოუწყობლობაში ბრალს მარტო ამ სადგურების დირექციებს ვერ დავსდებთ. სათანადო ხელმძღვანელობა ამ სადგურების მუშაობას არ უწევს არც ტრაქტორცენტრი და არც რაიონები. უმთავრესად ამით უნდა აიხსნას ის ჩამორჩენა და არეულობა, რომელიც სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში გვაქვს.

ამჟამად ჩვენ ყველა კოლმეურნეობებში გვაქვს 308 ტრაქტორი. ტრაქტორების ახალი პარტია, რომელიც შემოტანილი იქნება გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის პერიოდში, უმთავრესად გადაეცემა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს ასე, რომ კოლმეურნეობები არ უნდა დაიმედდნენ იმით, რომ ისინი ახალ ტრაქტორებს მიიღებენ უშუალოდ. უკანასკნელად შემჩნეულია, რომ ზოგან ადგილებზე სათანადოდ ვერ აფასებენ ცოცხალი გამწევი ძალის როლს ჩვენს სოფლის მეურნეობაში; მე არ ვიცი ეს, რომელი გადახრაა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს მავნებლობაა და ის უნდა აღიკვეთოს. მუშა-საქონლის როლის შეუფასებლობა კულაკური გავლენის აშკარა შედეგია; თუ ჩვენ ველოდებით ტრაქტორების მიღებას და არაფერი გავაკეთეთ მუშა-საქონლის ფართოდ გამოყენებისათვის,—ეს იმას ნიშნავს, რომ ავყვეთ კულაკურ პროვოკაციებს. არის ისეთი სოფლები, სადაც თესვის და მოსავლის აღების პერიოდში ელოდებიან ტრაქტორებს და არ სურთ მუშა-საქონლის გამოყენება სასწრაფო სამუშაოთა შესასრულებლად.

არის ისეთი მდგომარეობაც, როდესაც ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გაზვიადებულ და არარეალურ დაპირებებს აძლევენ ადგილებს. „კოლმეურნეობა მოაწყვეთ და ტრაქტორებს „გცემთ“—პირდებიან ისინი ღარიბ და საშუალო გლეხებს. ასეთი დაპირების მიცემა არ ვარგა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის განმავლობაში ტრაქტორებს მიიღებენ მხოლოდ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები. ტრაქტორები თავს მოიყრის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და ეს სადგურები გაუწევენ ტრაქტორებით სამსახურს კოლმეურნეობებს.

გარდა ტრაქტორებისა იზრდება დანარჩენი სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემოზიდვა. ასე მაგალითად სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოზიდვა წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

შემოზიდული ყველა ნაირი იარაღ-მანქანები:

1924-25 წელს	1.790 ცალი.
1925-26 „	2.900 „
1926-27 „	2.400 „
1927-28 „	4.928 „
1928-29 „	15.000 „
1929-30 „	35.700 „
1931 „	53.300 „

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ, როგორი გიგანტიური ტემპებით იზრდება ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემოზიდვა. მარტო მიმდინარე წელს საქართველოში გარდა მექანიკური გამწევი ძალისა—შემოზიდული იქნება 2 მილიონი მანეთის იარაღ-მანქანები, ამ რაოდენობიდან განსაზოგადოებული სექტორს დაეთმობა იარაღ-მანქანების 67 პროცენტი. გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის და ფინანსების გეგმა (როგორც კრედიტები, აგრეთვე საბიუჯეტო და ადგილობრივი საშუალებანი) დამტკიცებული ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს მიერ უდრის 82.129 ათას მანეთს.

შეიძლება ამ გეგმაში რამე ცვლილებები შევიდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით გეგმა ასეთია და მის მიხედვით უნდა წავმართოთ ჩვენი მუშაობა.

ზემოაღნიშნული კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: ტექნიკურ კულტურებზე გაიცემა 58 პროცენტი, მარტო ჩაის მეურნეობები მიიღებენ 49 პროცენტს. 13 პროცენტი მიეცემა მესაქონლეობას; ამგვარად კრედიტების დიდი ნაწილი ხმარდება ტექნიკურ კულტურების განვითარებას. მთელი ეს თანხები სექტორების მიხედვით ნაწილდება ასე: კოლმეურნეობათა სექტორს მიეცემა 87 პროცენტი და ინდივიდუალურ სექტორს 13 პროცენტი.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით ღარიბ საშუალო გლეხების და კოლმეურნეების რესურსების მობილიზაციას. უნდა შევიგნოთ ისეთი წესი, რომ კრედიტი პირველ რიგში მიეცეთ რაიონებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საჭიროებისათვის წარმატებით ჩაატარებენ ადგილობრივ რესურსების და საშუალებების მობილიზაციას.

გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაცია

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის გატარების დარგში მეტად ცუდი მდგომარეობა გვაქვს.

ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ თამბაქოს გამოკლებით კონტრაქტაციის პირობები დღემდე არ არის გამომუშავებული.

გარდა ამისა დღემდე არ არის მასიური მუშაობა გაშლილი კონტრაქტაციის ირგვლივ. ახლახან გამოქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს და ცეკას დადგენილება გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ, ეს დადგენილება ღარიბ, საშუალო გლეხებში და კოლმეურნეთა ფართო მასებში არ არის პოპულარიზაციაქმნილი. საჭირო არაა თავის მართლება იმით, რომ პირობები გამოურკვეველია, და კონტრაქტაციას ამისათვის ვერ ვატარებთ. მიუხედავად დეტალური პირობების გამოურკვევლობისა კონტრაქტაციის ირგვლივ მასიური მუშაობა უნდა გაგვეშალა, მაგრამ ეს არ გვიწარმოებია.

გასული წლების პრაქტიკიდან ვიცით, რომ ჩვენში კონტრაქტაცია ტარდებოდა ბიუროკრატიული წესით. არ იყო გაშლილი მასიურ-პოლიტიკური მუშაობა და სხვ.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. საჭიროა ფართო მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა კონტრაქტაციის გეგმის მთლიანად შესრულების უზრუნველსაყოფად.

თესვისათვის მზადების შესახებ

უპირველესად ყოვლისა გეგმის რაიონებამდე დაყვანის შესახებ, მიწსახკომის მიერ თესვის გეგმები რაიონებამდე დაყვანილი იყო ჯერ კიდევ 1930 წლის ნოემბერში. ამ გეგმებში მიცემული და განაწილებული იყო ის საკონტროლო ციფრები, რომელიც თავის დროზე დაამტკიცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოებმა.

ადგილებიდან ბევრჯერ ჩივიან იმის შესახებ, რომ საკონტროლო ციფრები ხშირად იცვლება ეს ხდება იმისათვის, რომ იცვლება დავალებები ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ. ამისათვის საჭიროა არა საჩივრები და პროტესტები, არამედ მუშაობის გარდაქმნა კამპანიის მიმდინარეობის პროცესშივე და დავალებების მთლიანად შესრულების უზრუნველყოფა.

სწორად გავანაწილეთ თუ არა ჩვენ სხვადასხვა კულტურები რაიონების მიხედვით? უნდა აღვნიშნო, რომ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირეოდენ გამონაკლისებს, საერთოდ, ჩვენ საკონტროლო ციფრები სწორად გავანაწილეთ. ყოველ შემთხვევაში დღემდე არც ერთ რაიონს არ წარმოუდგენია რაიმე საბუთი და მოტივი იმის შესახებ, რომ ეს განაწილება არარეალურია.

იყო შემთხვევები, როდესაც ტექნიკური კულტურების ზოგიერთი რაიონები ეწინააღმდეგებოდნენ ტექნიკური კულტურათა ნათესების გაფართოებას და მესაქონლეთა რაიონი ეწინააღმდეგებოდა საქონლის საკვები ბალახის ნათესი არეს გადიდებას. ასეთი გზით სიარული ჩვენ არ შეგვიძლია, რადგანაც ის ჩვენ საშუალებას არ მოგვცემს შეასრულოთ გეგმა.

ზოგიერთი რაიონები აგზავნიან შუამდგომლობებს და ოქმებს იმის შესახებ, რომ მათ შეუმცირონ საკონტროლო დავალებები და სხვ. ასეთი რაიონებია, მაგალითად: ლანჩხუთი, გარე-კახეთი, ჩხოროწყუ, აფხაზეთი და სხვები. ამჟამად ეს რაიონები დარწმუნდნენ, რომ დავალება სწორადაა განაწილებული, ზოგიერთმა წამოაყენა კიდეც შემხვედრი გეგმები. ამჟამად საჭიროა ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ ეს გეგმები შესრულებული იქნას. აფხაზეთი ეწინააღმდეგებოდა სოიას და კენაფის დათესვას, მაგრამ ჩვენ მათ უთხარით, თქვენ სოია და კენაფი უნდა დათესოთ და ისინიც ასრულებენ ამ დავალებას.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ გაზაფხულის კამპანიისათვის მზადების დარგში? ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ თესვის გეგმა 15 იანვრამდე დაგვეყვანა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კომლამდე. 10 თებერვლისათვის კოლმეურნეობამდე თესვის გეგმის მიყვანის დავალება შესრულებულია 67 პროც. და ინდივიდუალურ მეურნეობამდე—38 პროცენტით. ამგვარად ეს დავალება ჩვენ დღემდე ვერ შევასრულეთ.

ზოგიერთ რაიონებში (ვანი) ღარიბი და საშუალო გლეხობამდე გეგმების მიყვანის პრაქტიკაში დაუშვეს უხეში შეცდომები, რაც დაუყოვნებლივ უნდა იქნას გასწორებული. ღარიბ და საშუალო გლეხობის მიმართ ადმინისტრატიული ძალდატანებას ადგილი არ უნდა ექნეს. ამ საქმეში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ღარიბი, საშუალო გლეხობის და კოლმეურნეთა აქტიური ჩაბმა და საზოგადოებრივი თვითმოქმედებულების განწყობილების განმტკიცება.

სათესლე ფონდები 15 იანვრისათვის უნდა შეგროვილიყო 75 პროცენტამდე, მხოლოდ თებერვლისათვის შეგროვილია 76 პროცენტი. დამზღვევი სათესლე ფონდების შეგროვება, რომელიც 15 იანვრამდე 100 პროცენტით უნდა დამთავრებულიყო—შესრულებულია მხოლოდ 25 პროცენტით.

ტრაქტორების შეკეთება იმავე ვადისთვის უნდა შესრულებულიყო 75 პროცენტით, 10 იანვრისათვის კი შესრულებულია 59 პროცენტით.

აი, ამხანაგებო, ძირითადი მაჩვენებლები სას.-სამ. კამპანიისათვის მზადების, მდგომარეობის. ამ მაჩვენებლების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ სამზადისი თესვისათვის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

განსაკუთრებული ჩამორჩენა გვაქვს ბამბის თესვისათვის მზადების დარგში. არ არის საკმაო ზომები მიღებული იმისათვის, რომ სარწყავი სისტემა უზრუნველყოს ზამთრის და ზაფხულის მორწყვა.

ძლიერ ჩამორჩენილი მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე ჩაის თესვის პროგრამის შესრულების დარგში. „საქ ჩაიში“ მოკალათებულმა ოპორტუნისტებმა ჩაშალეს ჩაის თესვის გეგმა.

მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე საგარეუბნო მეურნეობების მშენებლობაში. ნაკლები ზომებია მიღებული საქ. კ.პ. (ბ) ცკას იმ დადგენილების განხორციელებისათვის, რომელიც გვავალებს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საგარეუბნო მეურნეობების მშენებლობისათვის.

ამგვარად თესვისათვის მზადება ჩვენში სუსტად მიმდინარეობს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო გამოვასწოროთ ჩამორჩენა და მოვახდინოთ გარდატეხა სას.-სამ. კამპანიის გეგმის ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

სათესლე მასალით ჩვენ მთლიანად არა ვართ უზრუნველყოფილნი, გვაკლია ზეთოვანი კულტურების და განსაკუთრებით სოიას თესლი. სოიას და არახისის თესლი უმთავრესად უნდა დაგროვდეს ადგილებზე. ამ თესლის ადგილობრივი დამზადებისგანაა დამოკიდებული გეგმის შესრულება. კენაფის თესლი ნაწილობრივ მზადდება ადგილობრივ და ნაწილობრივ კი შემოტანილი უნდა იქნას.

ბოსტნეულის თესლის მდგომარეობა ყველაზე უფრო ცუდად არის. ამ დარგში საჭიროა თესლის დიდი რაოდენობით შემოზიდვა, მაგრამ ამავე დროს უნდა მივიღოთ ყველა ზომები ბოსტნეულის თესლის დასამზადებლად ადგილებზე. ასევე გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო კარტოფილის და ბალახეულის თესლის დასამზადებლად.

სასოფლო მეურნეობის მშენებლობის ორგანიზაცია

შემდეგი საკითხია სოფლის მეურნეობის მშენებლობის ორგანიზაცია, ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის განვითარებასთან დაკავშირებით 1931 წელში, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ფართოდ უნდა გაიშალოს უდიდესი მშენებლობა სოფლის მეურნეობაში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის მშენებლობისათვის იხარჯება 25 მილიონი მანეთი, როგორც ვხედავთ, მარტო ამ მშენებლობაში დიდძალი თანხა იბანდება, მაგრამ ჩვენ უზრუნველყოფილი არა ვართ საამშენებლო მასალით. ამიტომ საჭიროა ადგილობრივი რესურსების მობილიზაცია საამშენებლო მასალისათვის. ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები აქედანვე შეუდგნენ ადგილობრივ საამშენებლო მასალების დამზადებას.

გარდა ამისა, ჩვენს წინაშე დგას საკითხი—თუ ვინ უხელმძღვანელებს სასოფლო მეურნეობის მშენებლობას?

დღემდე ამ საქმეს აკეთებდა „სოფლის კავშირი“, ე. ი. სასოფლო მეურნეობის კოოპერაცია, რომელსაც ჰქონდა ინდუსტრიალიზაციის განყოფილება. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დაყოფილია სხვადასხვა გაერთიანებად. ის უჯრედები, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის მშენებლობას, საგრძნობლად ჩამორჩენ. კოლმეურნეობათა ცენტრს კი არა აქვს უჯრედები, რომლების საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა სოფლის მეურნეობის მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაწევა, ასეთი უჯრედები არა აქვს საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატსაც. ამნაირად, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხი მთავარი და მწვავე საკითხთაგანია.

ამიერ-კავკასიაში არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სოფლის მეურნეობის მშენებლობას, მაგრამ ეს ორგანიზაცია—„ზაკსელსტროი“ — ხელმძღვანელობას უწევს მსხვილ მშენებლობას — საბჭოთა მეურნეობებს, სატრაქტორო სადგურებს და სხვ. ამის და მიხედვით სოფლის მეურნეობის მშენებლობისათვის უნდა შევქმნათ მსგავსი ორგანიზაცია „საქსოფლმშენი“. მიწსახკომის ეს წინადადება უნდა განიხილოს პლენუმმა და შესაფერი დადგენილება მიიღოს.

ხშირად არის ასეთი შემთხვევა: ჩვენ ფულს ვაძლევთ კოლმეურნეობებს საბძლის და სხვა შენობების ასაგებად. კოლმეურნეობას აქვს საამშენებლო მასალა, მაგრამ არ იცის—თუ როგორ უნდა ააგოს ის. ჩვენ სათანადო შესაძლებლობა უნდა გვქონდეს ადგილებზე გავგზავნოთ ტექნიკოსები მაინც.

კადრების საკითხი

უზრუნველყოფილი არიან თუ არა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები კვალიფიკაციური კადრებით?

გარკვევით უნდა ვსთქვათ, რომ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო კადრებით.

მაგრამ შეიძლება თუ არა ასე დავსვათ საკითხი, რომ ჯერ მოვამზადოთ კადრები და შემდეგ დავიწყოთ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა?

საკითხის ასე დასმა შეუძლებელია. თუ ჩვენ არ დავთესეთ ბამბა, კენაფი, სოია, თამბაქო და სხვა კულტურები, უამისოდ ვერ აღვზრდით კადრებს, რადგან კადრები იზრდებიან არა მარტო სკოლის კედლებში, არამედ კადრები სათანადო კვალიფიკაციას საწარმოებში ღებულობენ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონებს ჯერ კიდევ არა ყავთ აგრონომები. მაგ. ლანჩხუთის რაიონს არა ყავს აგრონომი, ასეთივე მდგომარეობაა ჩოხატაურში და სხვა რაიონებში, რაც ახლო მომავლისათვის უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

გვაქვს თუ არა ჩვენ შესაძლებლობა ამ უახლოეს დროში გავგზავნოთ რაიონებში თითო აგრონომი მაინც?

ამის შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს. რაიონების მინიმალურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შევძლებთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის გამოშვებით. გამოშვებული სტუდენტები უკვე განაწილებული არიან რაიონების მიხედვით, მაგრამ ისინი ადგილობრივ ჯერ კიდევ არ გამოცხადებულან, რადგან ისინი მობილიზაციით გაგზავნილი არიან კოლმეურნეობებში საგაზაფხულო-საგადარჩევო კამპანიების ჩასატარებლად. დღემდე ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა მოგვეწყვიტა ისინი ამ სოფლებიდან, მაგრამ ამ უახლოეს დროში საჭირო იქნება მათი გამოძახება და რაიონებში გაგზავნა.

აქ მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილები ვერ აფასებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

გარდა ამისა, ჩვენ განზრახული გვაქვს ადგილობრივი მუშაკების მომზადება—გადასამზადებელი კურსების მოწყობა. ჩვენს გეგმაში გათვალისწინებულია მარტო გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დროს კურსები გაიაროს 18 ათასმა კაცმა.

10 თებერვლისათვის ასეთი კურსები გაიარა 4500 კაცმა.

1931 წელში ჩვენ მუშა-ხელის ნაკლებობა გვექნება ბამბის, ჩაის, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების რაიონებში. შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე ამჟამად ახალი ამოცანები იშლება. შრომის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს მუშა-ხელით წარმოების მომარაგების საქმეს, შემდეგში შრომის კომისარიატმა მუშა-ხელით უნდა მოამარაგოს სოფლის მეურნეობაც. ქალების შრომის მაქსიმალური გამოყენება ძალზე შეამცირებს მუშა-ხელის ნაკლებობას ტექნიკურ კულტურების რაიონებში.

არიან ამხანაგები, რომლებიც ცდილობენ თავს იმართლონ, რომ ესა თუ ის დავალება, რომელიც მათ აქვთ მიცემული არ შეიძლება შესრულებულ იქნეს იმიტომ, რომ არ ყავთ მუშა-ხელი.

ამის დამტკიცება არავის არ შეუძლია, ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ტექნიკური კულტურების განვითარება აფერხებდეს მუშა-ხელის ნაკლებობას. ზოგიერთი ამხანაგები ასე აყენებენ საკითხს, რომ მათ რაიონებს არ შეუძლიათ ტექნიკური კულტურების განვითარების გეგმის შესრულება.

მასიური საწარმოო მუშაობა

უკანასკნელი საკითხი—ეს არის მასიურ-საწარმოო მუშაობა გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიაში. ამის შესახებ ბევრი ითქვა ამხ. მამულიას მოხსენების გარშემო. თავისთავად გასაგებია, რომ ყველა იმ ამოცანების სწორად გადაწყვეტა და შესრულება, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო-მასიური მუშაობის ფართოდ გაშლით და მისი უმაღლეს საფეხურზე აყვანით. ჩვენს წინაშე მდგარი პოლიტიკური ამოცანების შესრულება შესაძლებელია ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს შორის მუშაობის გაძლიერებით საბჭოთა და პარტიული მუშაობის გარდაქმნით.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა საბჭოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ, იმ ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან. ესენი არიან კოოპერატიული, საკოლმეურნეო და სხვა სექციები სასოფლო საბჭოებთან. უნდა ითქვას, რომ ადგილებზე ყველა ის დავალებები, რომელთაც აძლევენ სასოფლო საბჭოებს ხელმძღვანელი ორგანოები არ სრულდება. აქ ბევრმა ილაპარაკა კოლმეურნეობათა ცენტრის შესახებ. ამხ. მამულიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს გამოსულმა ამხანაგებმა, როცა ეხებოდნენ კოლმეურნეობათა ცენტრს, აღნიშნავდნენ, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მე ვფიქრობ, რომ არც მიწსახკომს შეუძლია თამყოს კარგი ხელმძღვანელობით.

ამხანაგებო, განსაკუთრებული ამოცანად უნდა დავსვათ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტების მიწადგანყოფილებების ორგანიზაცია. ასეთი განყოფილება რაიონებში თითქმის არც კი არსებობს. საჭიროა რაიაღმასკომების მიწადგანყოფილებების სწორი ორგანიზაცია. მე ვამბობ, რომ მიწადმოქმედების განყოფილებების სტრუქტურა აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებს, რომლითაც ჩვენ მათ ვუყენებთ. ამ განყოფილებებს შეავთ გეგმები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ რაიონულ კოლმეურნეობათა კავშირს, რაიონის კოოპერატიულ კავშირს და სხვ. ამიტომ ეს საკითხი ფართოდ უნდა დავსვათ და უახლოეს დროისათვის გადავწყვიტოთ.

უნდა ითქვას, რომ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ორგანიზაციის საქმეში ჩვენმა პრესამ დიდი როლი ითამაშა. მაგრამ არ შეიძლება იმისი თქმა, რომ დღემდე პრესამ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწია გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიას. ხშირად პრესა კმაყოფილდება მარტო ფაქტების აღნიშვნით და ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას მუშაობის ორგანიზაციას. ამის შესახებ მე მოვიყვან ორ მაგალითს, საიდანაც დავინახავთ, თუ როგორ ხელმძღვანელობს ჩვენი პრესა სასოფლო-სამეურნეო კამპანიას. გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-მ მთელი გვერდი დაუთმო იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგანან ჩაის კულტურის განვითარების დარგში. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ჩაის თესვის გეგმა გადაჭარბებით სრულდება, რომ ტრაქტორები დაუსვენებლივ მუშაობენ დღით და ღამით. რამდენიმე დღის შემდეგ კი იმავე გაზეთში დაბეჭდილი იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება იმის შესახებ, რომ ჩაის საშემოდგომო თესვის გეგმა ჩაიშალა. მეორე მაგალითი— გაზეთი „კომუნისტი“ ერთ-ერთ რაიონის შესახებ სწერდა, რომ იქ ყველაფერი თავის რიგზეა, რომ მუშაობა ფართოდ იშლება, მაგრამ არის ერთი ორგანო—საქართველოს მიწსახკომი,—რომელიც ხელს უშლის ამ მუშაობას—ხშირად სცვლის დავალებებს და გეგმებსო, მაგრამ თუ რატომ სცვლიდა მიწსახკომი გეგმას, ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ.

ამხ. შ. მათიკაშვილი

ამხ. სტალინმა მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე გამოსვლის დროს წამოაყენა ამოცანა წარმოების მმართველობის შესწავლის შესახებ. ამხ. სტალინი ლაპარაკობდა, რომ მშენებლობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თვითონ დავეუფლოთ ტექნიკა და თვით საქმის ბატონ-პატრონი გავხდეთ. ამიტომ ჩვენი ამოცანაა—დავეუფლოთ ტექნიკას, სწორად წავმართოთ სოფლის მეურნეობის განვითარება და გარდავქმნათ სოფლის მეურნეობა სოციალისტურ საფუძველზე.

უფრო მეტი ენერგიით ძალთა მეტი დაძაბვით, კომუნისტებმა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორებმა, რომლებიც მუშაობენ სასოფლო მეურნეობაში, უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ დაიპყრონ ტექნიკა სოფლის მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობისათვის.

აი მოკლედ ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგანან ჩვენს წინაშე საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

თუ ჩვენ შევასრულებთ ამ ამოცანებს, მაშინ გვექნება უფლება თავისთავს ვუწოდოთ კარგი ბოლშევიკები, და თუ ჩვენ ამ ამოცანებს ვერ შევასრულებთ, უფლება არ გვექნება ვსთქვათ, რომ კარგი ბოლშევიკები ვართ. (ტაში).

---

*) მოკლე ანგარიში.

კამათი ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო

ამხ. მარქაროვი
(თელავის რაიონი)

სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შედგენას ჩვენ თავის დროზე შეუდექით. თუ გასულ წელს თელავის რაიონში გაზაფხულის ნათესი ფართობი უდრიდა 12 ათას ჰექტარზე ცოტა მეტს, ამჟამად ჩვენ გვაქვს 16 ათას ჰექტარზე მეტი, რაც 25 პროცენტის ზრდას უდრის. თელავის რაიონი უნდა მეღვინეობის მეხილეობისა და მესაქონლეობის რაიონს. მევენახეობის დარგში გეგმით ძალზე მცირე გადიდება არის გათვალისწინებული. სათანადო გამოანგარიშებით რაიონში არსებული 40 ათასი ჰექტარიდან 12—20 ათასი თავისი კლიმატიური პირობებით გამოსადეგია მეღვინეობის განვითარებისათვის, ხოლო მიმდინარე წელს მიწსახკომის გეგმით მევენახეობის ფართობი უნდა გადიდდეს 100 ჰექტარით. მართალია შემდეგში ჩვენ ეს გეგმა გავადიდეთ 320 ჰექტარამდე, მაგრამ ამ გეგმის განხორციელება დამოკიდებულია საჭირო სახსრებით უზრუნველყოფაზე. ტექნიკური კულტურების დარგშიც ჩვენ გეგმას შევასრულებთ და კიდეცაც გადავაჭარბებთ მას.

თუმცა მიწსახკომმა გასულ წელთან შედარებით სიმინდის სათესი ფართობი გაადიდა, მაგრამ ეს გამოწვეულია მესაქონლეობის განვითარების მიზნით, ვინაიდან ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს რაიონში სიმინდი ითესება განსაკუთრებით საქონლის გამოსაკვებად და ძალზე მცირე გამონაკლისით ხდება მისი პურის ნაცვლად გამოყენება.

რაიონზე გასული წლის 170 ჰექტარის ნაცვლად მოცემულია 1200 ჰექტარზე კარტოფილის დათესვა. ამ დავალების შესრულებას ჩვენ სიამოვნებით ვკისრულობთ, მაგრამ აქ ძირითადი საკითხი არის სათესლე მასალით მომარაგება. 1200 ჰექტარის დასათესად წინასწარი გამოანგარიშებით საჭირო იქნება 5-6 ათასი ფუთი კარტოფილი, რაიონში ჩვენ შევძლებთ 1.100 ფუთი სათესლე კარტოფილის შეგროვებას, დანარჩენი სათესლე მასალა კი უნდა შემოიზიდოს. აქედან იქმნება საფრთხე, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ გლეხობისათვის კარტოფილის დასათესად სათესლე მასალის მიწოდებას და გლეხობა თავისუფალ მიწებს გამოუყენებელს სიმინდის დასთესავს.

უნდა შევეხო მესაქონლეობის საკითხზე. ავიღოთ მეცხვარეობა, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღრიცხვის მიხედვით თელავის რაიონში აღრიცხულია 180 ათასი სული ცხვარი. ამჟამად პირუტყვის დამზადების და დასამზადებელი გეგმების კულაკურ მეურნეობამდე დაყვანის საფუძველზე, ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ 40 ათასი სული ცხვარის ნაცვლად, რომელიც ჩვენი გამოანგარიშებით უნდა ყოლოდათ კულაკებს და მოკულაკო ელემენტებს, სინამდვილეში მათ აღმოაჩნდათ 18-20 ათასი სული. დანარჩენი რაოდენობა განადგურებულ იქნა. ამიტომ მომავალში მესაქონლეობა უნდა განვითარდეს განსაზოგადოებულ სექტორის საფუძველზე. ამ საკითხში ჩვენ ვიგვიანებთ და ვანადგურებთ ისეთ ძვირფას საქონელს, როგორიცაა ცხვარი. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხის მოგვარება სასწრაფოდ არის საჭირო. ჩვენ უნდა შევეცადოთ აგრეთვე პროდუქტიული და მეწველი საქონლის განვითარებას, რომლის ფართოდ განვითარების შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენ შევარჩიეთ 5 უბანი, რომელთაც ყოველგვარი პირობები ხელს უწყობენ მესაქონლეობის განვითარებისათვის. ესენია ახმეტის, ვარდისუბნის, ფშავის და სხვა რაიონები.

მუშა-საქონლის მხრივ ჩვენ გასულ წელს ისეთი მდგომარეობა შევქმენით, რომ ბევრ კოლექტივში გამწევი ძალის უქონლობის გამო, ვერ შევძელით საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულება. ასეთივე მდგომარეობაა ამჟამადაც. ჩვენ დაგვაკლდება დაახლოებით 1000-მდე სული მუშასაქონელი, რაც ქმნის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულების საფრთხეს. საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვეპყრობით ჩვენ ინდივიდუალურ მეურნეობას. გამწევი ძალის მიმართ გასულ წელს შეიქნა.... აჟიოტაჟი, როდესაც კულაკები 80 მანეთად აქირავებდნენ გამწევ ძალას ღარიბ გლეხობაზე და ეწეოდნენ მათ ექსპლოატაციას. წელს ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ ექნება. ჩვენ უნდავაიძულოთ კულაკები, რომ მათ მოხნან ღარიბ გლეხთა მიწები.

ამხ. ტყეშელაშვილი

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მესაქონლეობის განვითარებას. ჩვენს რაიონში გარდა მესაქონლეობისა—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რაიონი მესაქონლეობის რაიონია, ჯერ იგი სათანადო დონეზე მაინც არაა დაყენებული; ჩვენს რაიონში ზოგიერთმა კულაკებმა მოისდომეს თავიანთი საქონლის განადგურება, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეთ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით შრომის განაწილების დროს ხელმძღვანელობენ დახარჯული შრომის მიხედვით, რაც მესაქონლეობის კოლმეურნეობაში არ მოხერხდა, მაგ.: 200-300 ან 400 სულ საქონელს, კოლმეურნეობების ყველა წევრი ვერ გაჰყვება. საჭიროა 5-6 კაცი. ამ მხრივ არა გვაქვს მესაქონლეობის არტელის წესდება. ეს საკითხი საჩქაროდ უნდა მოწესრიგდეს.

როგორც ვიცით, მე-16 პარტყრილობის დადგენილების თანახმად, ჩვენ უნდა შევქმნათ, სადაც ეს შესაძლებელია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობები. ჩვენ ეს დირექტივა შევასრულეთ. ყველა სოფლის საბჭოსთან ჩამოვაყალიბეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპ. ამხანაგობა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმის ხელმძღვანელები ადგილებზე არ მოგვეპოვება. ჩვენი რაიონში კადრების მხრივ სიმცირეა, საჭიროა მოეწყოს კურსები, რომ ადგილობრივი ამხანაგები მოვამზადოთ. რაიონი განიცდის საკვებ მასალის ნაკლებობას.

საჭიროა—ყურადღება და ხელმძღვანელობა მესაქონლეობის რაიონებისადმი. ზემდგომ ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა.

ამხ. ბეშიძე
(ონის რაიონი)

ჩვენი პარტიის მიერ დასმული არის საკითხი მესაქონლეობის განვითარების შესახებ. ამხ. მათიკაშვილიც თავის მოხსენებაში ვრცლად შეეხო ამ საკითხს, მაგრამ როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჯერ-ჯერობით მესაქონლეობის განვითარების დარგში დადგენილებები უფრო მეტი გვაქვს, ვინემ სინამდვილეშია გატარებული. მე, როგორც იმ რაიონის წარმომადგენელი, სადაც შეიძლება მხოლოდ მესაქონლეობის განვითარება, ვაცხადებ, რომ რაიონში ამ მიმართულებით ცოტაა გაკეთებული. ვინაიდან ონის რაიონი მესაქონლეობის რაიონია, მას უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება, ჩვენ გვყავს მოსახლეობა გაერთიანებული მესაქონლეთა კოოპერატიულ ამხანაგობაში. მართალია, პარტიის ხაზი შეიცავს იმას, რომ უმთავრესი მუშაობა უნდა სწარმოებდეს თვით მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, მაგრამ უდაოა, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე მესაქონლეობის რეკონსტრუქციას ადგილობრივი საშუალებებით ჩვენ ვერ შევძლებთ.

როგორია ეს დახმარება? სრულიად უმნიშვნელო. ონის რაიონზე მესაქონლეობისათვის გადადებულია 7000 მანეთის კრედიტი პროდუქტიული საქონლისათვის ბინების ასაშენებლად. ჩვენ ვიცით, რაიონები, რომლებიც არ წარმოადგენენ მესაქონლეობის რაიონს და გაცილებით მეტი კრედიტი აქვთ მიცემული.

ორიოდე სიტყვა მეღორეობის შესახებ. მართალია ჩვენი რაიონი დიდ პერსპექტივებს არ იძლევა მეღორეობის განვითარებისათვის, მაგრამ მეღორეობა რაიონში მაინც მნიშვნელოვნად ვითარდება. საკონტროლო ციფრების მიხედვით ვამზადებთ 5000 ღორს, სათანადო ორგანოების წინაშე აღძრულია შუამდგომლობა,რომ ონის რაიონში შეიქმნას მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა, ამისათვის პირობები არსებობს, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა ნელი ტემპით მიმდინარეობს. საჭიროა ამ საკითხით მეტი დაინტერესება და პრაქტიკული მუშაობა, თორემ მარტო ლაპარაკით არაფერი არ გამოვა.

ძალზე სუსტია ხელმძღვანელობა მერძევეთა კავშირის მიერ ადგილობრივ კავშირზე. იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ რაიმე გარკვეული დირექტივა მოვიდეს კოოპერატიულ კავშირზე. ცოცხალი ხელმძღვანელობა სრულიად არ სჩანს.

უნდა შევეხო საქონლის ბინებით უზრუნველყოფის საკითხს. მართალია ჩვენს რაიონში მოიპოვება ბინების ასაგებად ხე-ტყე, მაგრამ არა გვაქვს ლურსმანი, ცემენტი და სხვ.. ამ მხრივ ძალზე სუსტია მიწსახკომის ხელმძღვანელობა.

მოუგვარებელია რაიონისათვის სას.-სამ. მანქანა-იარაღების მიწოდების საკითხიც. არის შემთხვევები, როდესაც რაიონს მანქანა-იარაღებს აწოდებენ თესვის დამთავრების შემდეგ. საჭიროა გეგმით გათვალისწინებული მანქანა-იარაღების რაიონებისათვის თავის დროზე მიწოდება.

ამხ. არაქელოვი

ჩვენ მოვისმინეთ ამხ. მათიკაშვილის მოხსენება გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ, მე ვფიქრობ, რომ პლენუმზე არ აღმოჩნდება ისეთი ამხანაგი, რომელსაც ამ გეგმის შესრულებაში ეჭვი შეეპაროს. გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის გეგმა მთლიანად რეალურია, ბოლშევიკური და შესაძლებელია მისი შესრულება. მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, რომ ჩვენ არ უნდა დავეყრდნოთ თვითმიმდინარეობას და გავაძლიეროთ სოფლის მშრომელ მასების აქტივობა.

კერძოდ ჩვენს რაიონზე ნაცვლად გასული წლის 1300 ჰექტარისა, მოცემულია — 17000 ჰექტარი. ე. ი. ზრდა უდრის 30 პროცენტამდე. თუმცა ეს პროცენტი დიდია, მაგრამ მე მას სავსებით რეალურად ვთვლი.

მთავარი საკითხი სათესლე მასალით უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მდგომარეობა ძალზე ცუდია, ვინაიდან ჩვენი კოლმეურნეობები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი სათესლე მასალით, განსაკუთრებით ხორბლეულით და კარტოფილით.

ცალკე ორიოდე სიტყვა ბალახის თესვის შესახებ. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა დავთესოთ ბალახი 1000 ჰექტარზე, ნაცვლად გასული წლის 400 ჰექტარისა. ეს სავსებით სწორია, ვინაიდან ჩვენი რაიონი ითვლება მესაქონლეობის რაიონად და გასაგებია, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მესაქონლეობის საკვები ბაზის გაძლიერებისათვის. მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით, ვიქნებით თუ არა უზრუნველყოფილი ამ კულტურის სათანადო თესლეულით. ამჟამად ისეთ საკითხებს ჩვენ ვაყენებთ ღარიბი და საშუალო გლეხობა და კოლმეურნეები და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამის უნდა დაუფიქრდეთ და თავის დროზე მივიღოთ ზომები თესლეულით უზრუნველსაყოფად.

შემდეგი საკითხია გამწევი ძალა. მართალია ჩვენ გვეყოლება ხარების კოლონები, მაგრამ ამჟამად საკითხი სდგას ტრაქტორის შესახებ. მე არა ვარ წინააღმდეგი რომ ტრაქტორები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს უნდა გადაეცეს. მაგრამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა თავის მხრივ უნდა ემსახურონ კოლმეურნეობებს, ხოლო ამას ვერ შეძლებენ ის რაიონები, რომლებიც სატრაქტორო სადგურებიდან დაშორებით იმყოფებიან. ამიტომ უნდა დაისვას საკითხი, რომ ისეთ რაიონებს, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ვერ გაუწევენ დახმარებას, მიეცეთ ტრაქტორები.

ამხ. მათიკაშვილი თავის მოხსენებაში ვრცლად შეეხო კადრების საკითხს. მე მხედველობაში მაქვს აგრონომები, მიწისმზომელები, და სხვ.. ამ მიმართულებით ჩვენ ძალზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს. რაიონში ჩვენ გვყავდა მხოლოდ ერთი აგრონომი, და ისიც საბჭოთა მეურნეობაში გადაიყვანეს. მართალია ჩვენ გადმოგვიგზავნეს ახალი აგრონომი, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით არა აქვს შესწავლილი რაიონის პირობები და მხოლოდ ამჟამად იწყებს მუშაობაში გარკვევას. გარდა ამისა ერთმა აგრონომმა შეუძლებელია სამსახური გაუწიოს 40.000 სულით დასახლებულ რაიონს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთების საკითხზე ამხ. მათიკაშვილი ცოტა შეჩერდა. მანქანების შეკეთების მხრივ ჩვენი მდგომარეობა ძალზე ცუდია. იარაღები გვაქვს, მაგრამ შეკეთებისათვის მასალები არ მოგვეპოვება. მიწადმოქმედების კომისარიატმა სათანადო ორგანოების წინაშე უნდა დასვას საკითხი მასალებით მომარაგების შესახებ, რომ მით უზრუნველვყოთ მანქანა-იარაღების თავის დროზე შეკეთება. გასულ წელს რაიონში მუშაობდა 2 შემკეთებელი ბრიგადა, წელს კი გამოგზავნეს მხოლოდ ერთი, რაც საკმაო არ არის.

მე სავსებით ვეთანხმები ამხ. მათიკაშვილს, რომ მიწადმოქმედების განყოფილებები ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ვინაიდან ჩვენ არ გვყავს ისეთი მუშაკები, რომლებიც შესძლებენ ამ განყოფილებებში მუშაობას და უხელმძღვანელებენ რაიონში სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციას.

უკანასკნელი საკითხია ცალკე ორგანიზაციების მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო მეურნეობის კამპანიაში. არ არის საკმაო მარტო მიწსახკომი და მიწადმოქმედების განყოფილებების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიაზე, ამ კამპანიაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ცეკავშირმა და სხვა ორგანიზაციებმაც. ამ მიმართულებით მათ უნდა მიეცეთ სათანადო მითითებები რომ ისინი დაეხმარონ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით შესრულების საქმეში.

ამხ. ათოევი
(ახალქალაქის რაიონი)

ჩვენი რაიონი მიჩნეულია ხორბლეულის და მესაქონლეობის რაიონად, მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენ დღემდე არა გვაქვს გარკვეული კლასიფიკაცია. გეგმის მიხედვით ჩვენ უნდა დავთესოთ 29.000 ჰექტარი, აქედან 6.000 ჰექ.-ზე ბალახეულობა. ამ გეგმას ჩვენ შევასრულებთ, მაგრამ რაიონში მწვავედ სდგას საკითხი სათესლე მასალის მხრივ.

ამხ. მათიკაშვილმა აქ განაცხადა, რომ ჩვენი რაიონი გამოცხადებულია მესაქონლეობის რაიონად, ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ აუცილებელია საქონლის განახლება და შევსება. ამ გარემოებას მიწადმოქმედების კომისარიატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ამხ. მათიკაშვილმა წამოაყენა საკითხი კადრების მომზადების შესახებ, ეს საკითხი სავსებით სწორად დაყენებაა, ვინაიდან ჩვენს წინაშე სდგას დიდი ამოცანები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში და ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა კადრები. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისეთი კადრები, რომლებიც ნამდვილად გამოგვადგებიან სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

ძლიერ სერიოზულად განსაკუთრებით ახალქალაქისა და ბოგდანოვის რაიონებისათვის, სდგას საბალახოების საკითხი. ჩვენს რაიონში საგრძნობი რაოდენობით მოდენიან ცხვარს კახეთიდან, ჩვენი საბალახოები ამჟამად ძალზე გადატვირთვის გამო ისეთ მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია მოკლე ხანში ისინი სრულიად გამოუსადეგარი შეიქმნენ. ერთ ჰექტარზე მოდის 10 ცხვარი, ხოლო არსებული წესებით ერთ ჰექტარზე ნორმით გათვალისწინებულია 4 ცხვრის ძოვება.

რამდენიმე სიტყვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის შესახებ. ახალქალაქის რაიონს უნდა მიექცეს ყურადღება სასოფლო-სამეურნეო მანქანაიარაღების მომარაგების მხრივ. ჩვენ უნდა დავთესოთ 29.000 ჰექტარი. მათ შორის 6.000 ჰექტარზე ბალახი, ჩვენს გვერდით იმყოფება ბოგდანოვის რაიონი, სადაც თივა დიდ როლს თამაშობს და სატრაქტორო კოლონას შეუძლია სამსახური გაუწიოს, როგორც ჩვენს რაიონს, ისე ბოგდანოვის რაიონსაც.

ამხ. ჩხარტიშვილი
(წალენჯიხის რაიონი)

ამხ. მათიკაშვილი შეეხო სხვადასხვა კულტურების საკონტრაქტაციო პირობებს. მე უნდა აღვნიშნო, რომ ეს საკონტრაქტაციო პირობები მებამბეობის კულტურის დარგში ძალზე შეუშლის ხელს გეგმის თავის დროზე შესრულებას. ამიტომ, რომ ხელს არ გვიშლიდეს, გლეხობა უნდა გამოვეყვანეთ მინდვრად სამუშაოდ. ამჟამად ჩვენ გლეხები გვეკითხებიან კონტრაქტაციის პირობების შესახებ. ისინი გვეთხოვენ გამოვარკვიოთ, დარჩება ძველი პირობები მებამბეობის მიმართ, თუ ახალი იქნება.

შემდეგი საკითხია პირუტყვის დამზადება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენს რაიონში მესაქონლეობის განვითარებისათვის. ის საკონტროლო ციფრები, რომელიც მოცემულია პირუტყვის დამზადების დარგში, წარმატებით სრულდება. მაგრამ კითხვა ეხება საქონლის კოლმეურნეობისათვის გადაცემის საკითხს. ამ დღეებში ჩვენ შევიტყეთ მითითება, რომ მეწველი და პროდუქტიული საქონელი გადაეცემა კოლმეურნეობებისათვის, მაგრამ თუ რა პირობებში უნდა გადაგვეცეს ის ჩვენ არ ვიცოდით. მხოლოდ სამი დღის წინად მივიღეთ „სოიუზმიასო“-დან დაწვრილებითი მითითება და მოთხოვნილება საქონლის ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურების შესახებ. საქონლის ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურებას ჩვენ ვერ შევძლებთ, ვინაიდან ჩვენი კოლმეურნეობები არ არიან ძლიერნი და ამიტომ საჭიროა ამ საკითხის სათანადო ორგანოებში დასმა, რომ ეს პროცენტი შემცირებული იქნას.

მიწადმოქმედების კომისარიატმა ამას წინად გახსნა სარემონტო სახელოსნო, გამოგვიგზავნა სათანადო მუშაკები, მაგრამ მანქანა-იარაღებისათვის არ გვაქვს სათადარიგო ნაწილები. სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ამჟამად 3 ტრაქტორი გაჩერებულია. მიწსახკომმა უნდა მიიღოს ზომები ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შესაძენად. საკონტროლო ციფრები, რომელიც ჩვენს რაიონზეა მოცემული, სავსებით რეალურია და მას ჩვენი რაიონი მთელი ასი პროცენტით შეასრულებს.

ამხ. უზირია
(წალენჯიხის რაიონი)

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა ზოგიერთი ნაწილში ჩემის აზრით შესწორებას მოითხოვს. მაგ. ავიღოთ სოიას საკითხი, ჩვენს რაიონში სოიას წმინდა ნათესისათვის გათვალისწინებულია 1000 ჰექტარი, სიმინდში გარეული კი 2000 ჰექტარზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამის შესრულებას თესლის სიმცირის გამო ვერ შევძლებთ. რაც შეეხება ლობიოს ნათესს, ორი-სამი წელია ლობიოს თესვას ყურადღება არ ექცევა. ლობიო კი როგორც ვიცით ჩვენი გლეხობისათვის მთავარი საზრდოა. ამიტომ საჭიროა ლობიოს ნათესის ფართობის გადიდება, რაც გეგმაში სრულიად არ არის გათვალისწინებული. შემდეგ არახისის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ შარშან ჩვენ გვქონდა ორნახევარ ჰექტარზე დათესილი არახისი, მაგრამ ჩვენი რაიონის ნიადაგი არახისისათვის არ გამოდგა შესაფერისი, ამიტომ არახისის მოშენებას ჩვენს რაიონში თავი უნდა დავანებოთ.

ამხ. მამულიამ თავის მოხსენებაში მოგვცა გეზი, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ჩვენი სოფლის მეურნეობა. ჯერ კიდევ დეკემბერში კონფერენციამ დასვა საკითხი რაიონში მეღვინეობისა და მეხილეობის განვითარების შესახებ.

მევენახეობის განვითარება ჩვენს რაიონში სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამის შესახებ გეგმაში არ არის გათვალისწინებული, რაიონზე მოცემულია მხოლოდ 5 ჰექტარი. რაიონში შეიძლება აგრეთვე მებაღეობის განვითარებაც, მაგრამ გეგმაში არც ესაა გათვალისწინებული. ჩვენი რაიონი უმთავრესად მესაქონლეობის რაიონს წარმოადგენს. მარტო მესაქონლეობიდან შემოსავალი რაიონის მთელი შემოსავლის 50 პროცენტს უდრის. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში უმთავრესად წალენჯიხის რაიონში გეგმაში არავითარი პერსპექტივა არ არის დასახული. ეხლავე უნდა მივიღოთ ზომები ჯიშიანი საქონლის გასაშენებლად და რაიონში მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სასილოსო მშენებლობას. ამ მხრივ გასული წლის გამოცდილებამ კარგი შედეგები მოგვცა.

ჩვენში მემინდვრეობის დარგს ჯერ კიდევ არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება და არ არის გათვალისწინებული სადედე მინდვრების გამოყოფა. სადედე მინდვრები მიზანშეწონილად უნდა იქნას გამოყოფილი. ზუგდიდის რაიონში გამოყოფილია სადედე ნაკვეთი ჩაისათვის, მაგრამ უფრო უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს ნაკვეთი სხვა ადგილას გამოყოფილიყო.

ჩვენი რაიონი ჩაის კულტურისათვის დიდი გამოსადეგია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ „საქართველოს ჩაი“-ს მიერ ხელმძღვანელობა რაიონზე ძალზე სუსტია.

ჩვენ არ გვყავს რაიონში არც ერთი აგრონომი. რამდენიმეჯერ გამოუგზავნეთ მიწსახკომს მიმართვა აგრონომის შესახებ, მაგრამ მიწსახკომმა არ დაგვაკმაყოფილა. თუ ჩვენ აგრონომი არ გვეყოლა, საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულება გაგვიძნელდება.

პლენუმის დღიური

გუშინ დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. მათიკაშვილის მოხსენება, რის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელიც გაგრძელდა საღამოს. კამათის დასასრულს ვრცელი სიტყვით გამოვიდა ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლავრენტი ქართველიშვილი, რომელსაც პლენუმი ხანგრძლივი ტაშით შეეგება, სიტყვის დასასრულს პლენუმმა ოვაციები გაუმართა ორატორს. ამხ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა. დღეს დილას იმუშავებენ კომისიები, პლენუმის უკანასკნელი სხდომა — თორმეტ საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი

კამათის დასასრული ამხ. ს. მამულიას მოხსენების გარშემო

ამხ. მ. ტოროშელიძე

(კოლმეურნცენტრი)

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას იმ რეზოლუციის პროექტში, რომელიც თქვენ წარმოგედგინათ, მოსმენილ მოხსენების გარშემო და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის რეზოლუციაში საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში, აღნიშნულია მიღწევები საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. მართლაც უნდა დაისვას საკითხი, როგორ შევასრულეთ ჩვენ საქართველოში კოლექტიურ მეურნეობათა 20,8 პროცენტი მას შემდეგ, რაც წარსულ გაზაფხულზე დაშვებულ შეცდომების შედეგად ადგილი ჰქონდა ყურადღების შესუსტებას საკოლმეურნეო მშენებლობისადმი. ის ფაქტი, რომ მიუხედავად ამისა ჩვენ შევასრულეთ კოლექტიურ მეურნეობათა პროცენტის 20,8 დონეზე შენარჩუნება, მოწმობს, რომ გლეხობის მოწინავე ნაწილმა ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის სახით პირი იბრუნა კოლექტიურ მეურნეობისაკენ. ეს ფაქტი მოწმობს გლეხობაში იმის შეგნების განმტკიცებას, რომ აღარ შეიძლება ძველებურად, მამაპაპურად ცხოვრება. 20,8 პროცენტი ეს დიდი ციფრია, დიდი მიღწევაა. ის გვიჩვენებს გლეხობის განწყობილებას.

მაგრამ ამხანაგებო, ამასთანავე უნდა დავსძინო შემდეგი: კარგი იქნებოდა, რომ 20,8 პროცენტი შეეთარდებოდეს კოლექტივიზაციის სხვა მაჩვენებლებს ჩვენში. სამწუხაროდ ეს ყოველთვის ასე არაა.

თქვენ იცით, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მოახდინა კოლმეურნეობათა გამოკვლევა. ამ გამოკვლევამ გამოარკვია შემდეგი: ერთ რაიონში, მაგალითად, კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 70 პროცენტი. ამავე დროს მიწის გაერთიანება აქ უდრის 20 პროცენტს. წალენჯიხაში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 38 პრ. ხოლო გაერთიანებულ მიწის რაოდენობა უდრის 23 პროცენტს. რაც შეეხება მუშა საქონელს, აქაც ასეთივე სურათია. ამნაირივე მდგომარეობა გვაქვს ინვენტარის გაერთიანების მხრივაც.

მინდა შევჩერდე აგრეთვე ჩვენს ზოგიერთ საკონტროლო დავალებებზე, რომლებიც ეძლევა კოლექტიურ მეურნეობებს და რომლებიც ხშირად აგებულია არასწორ ცნობებზე. მაგალითად, გურიაში (ოზურგეთის რაიონში) ჩვენ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული უნდა გვყავდეს 7 ათასი კომლი, ნამდვილად კი გაერთიანებულია 6.100. საქმეა 900 კომლი შევიდეს კოლმეურნეობებში და გეგმა გურიაში განხორციელებული იქნება. და აი საკონტროლო ციფრის მიხედვით გურიის კოლექტიურ მეურნეობებს ევალებათ 14 ათასი ჰექტარის დათესვა, ნამდვილად კი მათ შეუძლიათ მხოლოდ 5 ათას ჰექტარზე რამდენიმე მეტის დათესვა. ასეთივე სურათი გვაქვს ზოგიერთ სხვა რაიონებშიაც.

არ შეიძლება ამხანაგებო ხუმრობა ციფრებით, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ გვაქვს გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია 20.8 პროცენტით, ეს პროცენტი უნდა იყოს ყოველმხრივი, მაგრამ ეს ასე არ არის. (ხმა ადგილიდან—რა არის მიზეზი?).

მიზეზი ის არის, რომ ბევრგან სათანადოთ გაერთიანებული არაა საქონელი, მიწა და ინვენტარი, ამით აიხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ხასიათის რაიონების კოლექტივიზაციის პროცენტი სხვადასხვაგვარია.

კოლექტიურ მეურნეობათა ნაკლს ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ კოლმეურნეობები ერთგვარ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. მათ არ სურთ ახალი წევრების მიღება თავის რიგებში. ამგვარ განწყობილებას ჩვენ ვერ შევურიგდებით. კოლექტიურ მეურნეობა თავისი საუკეთესო მუშაობით ნიმუშის მიმცემი იყვეს სხვებისათვის და ყოველდღიურად ხელს უწყობდეს საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებას.

კამათში გამოსული ამხანაგები კოლმეურნცენტრს უსაყვედურებდნენ ცუდ ხელმძღვანელობას, მაგრამ მე მიკვირს, რატომ არაფერს ამბობდნენ ეს ამხანაგები, რომ ჩვენ მათ ვაძლევთ ფულს. ამავე დროს ეს ხომ ფაქტია. ადგილებზე საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით უდიდესი სამუშაოებია ჩასატარებელი, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვაწარმოებთ, რადგან არ გაგვაჩნია საჭირო სახსრები. კარგი იქნებოდა, რომ ამაზე ელაპარაკნა კამათში გამოსულ ამხანაგებს. ჩვენ უფულობის გამო რაიონშიაც ვერ წავსულვართ, როცა ამას საჭიროება ითხოვს, ცეკაში და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაშიაც არა ერთხელ დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი საფინანსო ორგანოები არ იძლევიან საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ფულით მომარაგების გეგმას. მიღებულ იქნა დადგენილება დამნაშავეების დასასჯელად, მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობა არ შეცვლილა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკოლმეურნეო მშენებლობისადმი პარტიულებისა და კომკავშირლების დამოკიდებულების საკითხი. ლოზუნგი იმის შესახებ, რომ თვითეული კომუნისტი და კომკავშირელი უთუოდ უნდა იყვეს კოლმეურნეობის წევრი, რასაკვირველია სწორია და აუცილებელია. მაგრამ ამ ლოზუნგის განხორციელების დროს ჩვენ არ უნდა მივმართოთ მარტო ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებს, არამედ ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ კომუნისტებსა და კომკავშირლებს ეს აუცილებელი მოვალეობა მტკიცედ შეასრულონ. არის შემთხვევები, როდესაც კომუნისტის ოჯახის წევრები: მშობლები, ცოლი და სხვა ნათესავები ეწინააღმდეგებიან, არ იძლევიან შესაძლებლობას შევიდეს კოლექტიურ მეურნეობაში, მიუხედავად იმისა, რომ თვით კომუნისტს ან კომკავშირელს სურს გახდეს კოლმეურნეობის წევრი. ასეთ შემთხვევაში არ კმარა მარტო საკითხის ადმინისტრატიულად გადაწყვეტა, არამედ უნდა დავეხმაროთ კომუნისტსა და კომკავშირელს ან მთელი თავისი ოჯახით შევიდეს კოლექტიურ მეურნეობაში ან თვითონ გახდეს კოლმეურნეობის წევრი.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხს. თუ ეს ამოცანა არ გადაიჭრა, სხვა ზომები მიმართული კოლმეურნეობის განმტკიცებისაკენ ნაყოფს ვერ გამოიღებს. გლეხი მუშაობას არ გაურბის, მაგრამ, როცა ის ხედავს, რომ არ სწარმოებს მისი შრომის აღრიცხვა, რომ მეზობლები არ მუშაობენ, თვითონაც უგულოდება გული საქმეზე. ამიტომ მორიგი უდიდესი ამოცანაა დავეუფლოთ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ტექნიკას. ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის მოთმენა, როდესაც კოლმეურნეობებს არ გააჩნიათ საანგარიშო სამეურნეო მუშაკები და შრომის აღრიცხვა ზეპირად სწარმოებს.

დღეს, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში მუშაობა საპატიო საქმით არის მიჩნეული. ჩვენ შევქმენით კოლმეურნეობის დარგის მცოდნეთა და მოყვარულთა შექმნა. თუ წინად კოლმეურნეობებში სამუშაოდ წასვლა სასჯელად მიაჩნდათ, ეხლა ის სასიქადულო საქმეთ არის მიჩნეული.

ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი იმის გარშემო, შესაძლებელია თუ არა მიღებულ იქნას კოლექტიურ მეურნეობაში შეძლებული გლეხი. ამაზე ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ის შეძლებული გლეხი, რომელიც პატიოსნად ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს უნდა იქნას მიღებულ კოლექტიურ მეურნეობაში და გამოვიყენოთ მისი შრომა და გამოცდილება კოლმეურნეობების სასარგებლოდ.

სოფლად დიდი გადაჯგუფებანი ხდება. ჩვენს წინაშე ისახება მრავალი / მორიგი უდიდესი ამოცანები. ამ ამოცანათა გადაჭრის პირობას წარმოადგენს ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლა. უნდა დაუზოგავად დავკრათ კულაკს, მოკულაკო ელემენტებს და ყველა მათ აგენტებს.

ამხ. კეკელია

მე მინდა შევეხო პარტიულ მასიურ მუშაობის გარდაქმნის საკითხებს კოლექტიურ მეურნეობებში. პირველ ყოვლისა ღარიბთა ჯგუფების შესახებ. ზოგიერთები უარყოფენ ღარიბთა ჯგუფების არსებობას და მათ აუცილებლობას. ეს უდიდესი შეცდომაა. ჩვენ სერიოზულად ვიმუშავებთ ამ საქმეზე და ვმუშაობთ ეხლაც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მუშაობას არა აქვს სისტემატიური ხასიათი. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

როგორი უნდა იყვეს ღარიბთა შორის მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებში. ბევრი ამ საკითხზე შემდეგ ნაირ პასუხს აძლევს: საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ფორმა სასოფლო-სამეურნეო არტელიაო, ღარიბ გლეხთა ჯგუფები კი უნდა არსებობდნენ პირველი საფეხურის გაერთიანებებში. აქედან ის დასკვნა გამოყავთ, რომ არტელებში არ უნდა მოხდეს ღარიბთა ჯგუფების დარაზმვა. მართალია, პარტიის ყრილობამ აუცილებლად სცნო ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნა კოლმეურნეობათა დაბალ საფეხურებში. მაგრამ ამხ. მამულიას მოხსენების თეზისებში და საქ. კ.პ. (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის იმ რეზოლუციაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა გაზეთებში, ნათქვამია, რომ ჩვენს პირობებში ღარიბთა ჯგუფები შესაძლებელია არსებობდნენ არტელებშიაც. ეს იმიტომ ამხანაგებო, რომ ჩვენებური არტელები განსხვავდებიან ჩვეულებრივი სახის სასოფლო-სამეურნეო არტელებისაგან. არტელი საქართველოში ხშირად არც ნამდვილად სასოფლო-სამეურნეო არტელია და არც მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. ის ასე ვთქვათ არტელის მიჯნასთან სდგას. ასეთ მდგომარეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელში კლასობრივი ბრძოლა მკაფიო გამოხატულებას პოულობს. აქედან აშკარაა ღარიბ გლეხთა ჯგუფების დაარსების აუცილებლობა სასოფლო-სამეურნეო არტელებშიაც.

ხშირად ადგილი აქვს უხეშ პრინციპიალურ შეცდომებს საკოლმეურნეო მშენებლობაში. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს რეზოლუცია, რომელიც მიიღო ამხ. ზოსიმე ჩხაიძის მოხსენების გარშემო წყალთა მეურნეობის ამიერ-კავკასიის სამმართველოს პარტიულმა უჯრედმა. ეს რეზოლუცია დამტკიცებულია ბიუროს მიერაც. აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში არაა კულაკი, რომ იქ კლასობრივი ბრძოლის ელემენტებიც კი არ მოიპოვება, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ჩვენ შევდივართ უკლასო საზოგადოებაში.

ეს სრული სისულელეა. ამ რეზოლუციაში მოცემულია ყოველი სახის გადახრა. ასეთ უხამს პრინციპიალურ შეცდომებს საკოლმეურნეო მშენებლობაში უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ჩვენ პრაქტიკულად მივყავით ხელი ღარიბ გლეხურ ჯგუფებს შორის მუშაობას. იმისათვის, რომ ეს საქმე შესაფერ სიმაღლეზე იქნას დაყენებული, აუცილებელია გააძლიეროს თავიანთი ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობებში პარტიულმა უჯრედმა. სამწუხაროდ ეს ბევრგან ასე არ არის. ზოგიერთ რაიონებში ზოგიერთი უჯრედები ჩამორჩებიან ჩვენი მშენებლობის ტემპებს. ეს მაშინ, როცა პარტიული უჯრედების წინაშე მთელი თავისი სიმწვავით სდგას საკითხი იმის შესახებ, რომ პარტიული უჯრედები გახდნენ ყველა პროცესების ხელმძღვანელნი სოფლად. ისინი ოპერატიულად უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ პროცესებს. აქედან რა თქმა უნდა ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ თითქოს პარტუჯრედებმა უნდა აწარმოონ წვრილმანი მზრუნველობა ყველა საკითხებზე.

ხშირად გვეკითხებიან, როგორი უნდა იყოს კოლმეურნეობებში პარტორგანიზაციის სქემაო. მე მგონია ეს კითხვა გარკვეულია. არსებობს საერთო-საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია, ცეხური ორგანიზაცია, პარტჯგუფი და პარტორგი, ასეთია საკოლმეურნეო ორგანიზაციების სქემა. ამჟამად ათ კოლექტიურ მეურნეობაზე საშუალოდ ერთი პარტიული უჯრედი მოდის, ეს ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობაა. ასეთივე სურათი გვაქვს საბჭოთა მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში. ეს მაშინ, როცა ყველა ეს ჩამოთვლილი დარგები პარტმუშაობის დასაყრდენ ბაზათ არიან მიჩნეული სოფლად.

რა უნდა ვქნათ ახალი უჯრედების შესაქმნელად და განსამტკიცებლად სოფლად. საჭიროა პარტორგანიზაციების ზრდაზე მზრუნველობა. არც ის ვარგა, როგორც გურიაში მოხდა. აქ კოლმეურნეობის გამგეობის არჩევნების დროს პარტიაში მიიღეს 400 კაციო. ასე ხელაღებით შეყვანა პარტიაში ახალი წევრებისა მიუღებელია. მაგრამ აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანაა მთელი ძალღონით გავაძლიეროთ პარტიაში მოჯამაგირეების და / სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშების მიღება.

შეცდომების გასწორება

„კომუნისტში" გამოქვეყნებულ ამხ. ს. მამულიას მოხსენების ანგარიშში საჭიროა გასწორებულ იქნეს შემდეგი შეცდომები (დაშვებული თარგმნის დროს ან კორექტორული ხასიათის).

„კომუნისტი" № 37, 13 თებერვალი.

პირველი გვერდი, თავი: „არი" „რეკონსტრუქცია, პირველი სვეტი, მეათე აბზაცი:

სწერია: „სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ღრმა პროცესი თან ახლავს სამრეწველო პროლეტარიატის მძლავრ განვითარებას". უნდა იყოს: „სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ღრმა პროცესი თან ახლავს სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრ განვითარებას".

მესამე სვეტი, მეექვსე აბზაცი:

სწერია: „ეს მიღწევები საკმარისი არ არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სახალხო-სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით, რომელიც დამყარებულია არა მარტო დაგროვებული სიმინდის, არამედ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის და მის ცალკე რაიონების ბუნებრივ პირობებში ჩამარხულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებაზე". უნდა იყოს: ეს მიღწევები საკმარისი არ არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სახალხო გეგმის თვალსაზრისით, რომელიც დამყარებულია არა მარტო დაგროვებული სიმდიდრის, არამედ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის და მის ცალკე რაიონების ბუნებრივ პირობებში ჩამარხულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებაზე".

მეოთხე სვეტი, მესამე აბზაცი:

სწერია: „ეს დიდი შეცდომაა და ამიტომ დაუშვებელი იქნებოდა". უნდა იყოს: „ეს დიდი და დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა".

მეექვსე სვეტი, მეცხრე აბზაცი:

სწერია: „მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი მოგვაქვს იქ..."

„უნდა იყოს: „ეს არის იმიტომ, რომ სიმინდი მოგვაქვს იქ..."

მერვე სვეტი, პირველი აბზაცი:

სწერია: „თვალთმაქცობასთან, მემარჯვენე-„მემემარცხენეო" ბლოკთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან ბრძოლით ჩვენ განვახორციელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური და აგრარულ-საწარმოო რეკონსტრუქციის გრანდიოზულ გეგმას", უნდა იყოს: „თვალთმაქცთა მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან ბრძოლით ჩვენ განვახორციელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური და აგრარულ-საწარმოო რეკონსტრუქციის გრანდიოზულ გეგმას".

მერვე სვეტი, მეორე აბზაცის ბოლო:

სწერია: „არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული, რომ ნედლეულის პრობლემის გადაჭრა ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქტიული მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა, კერძოდ მეცხვარეობისა და მეაბრეშუმეობის პრობლემა, რომლის დროსაც არ უნდა იქნეს გაშვებული შედეგი მარცვლეულის და რძის პრობლემების გადაჭრა". უნდა იყოს: „არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ნედლეულის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქტიული მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა, კერძოდ, მეცხვარეობისა და მეაბრეშუმეობის პრობლემა, აგრეთვე, ამ მუშაობის დროს არ უნდა იქნეს გაშვებული მხედველობიდან ხორცისა და რძის პრობლემის გადაჭრა".

მეორე გვერდზე, გაგრძელება, მესამე სვეტი, პირველი აბზაცი:

სწერია: „ამ რაიონებში, სადაც სავსებით უნდა ავიღოთ გეზი ტექნიკური კულტურების შემდგომ განვითარებაზე, ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ მესაქონლეობა".

უნდა იყოს: „ამ რაიონებში, სადაც სავსებით უნდა ავიღოთ გეზი ტექნიკური კულტურების შემდგომ განვითარებაზე, ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ მესაქონლეობა".

მესამე სვეტი, მეორე აბზაცი.

სწერია: განვითარება და შემდგომი დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში სპეციალური და ტექნიკური კულტურებისა უნდა ხდებოდეს რაციონალური პროდუქტიული მეცხოველეობის მოწყობასთან შეთავსებით". უნდა იყოს: რაციონალურ პროდუქტიულ მეცხოველეობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეფარდებული უნდა იქნეს სპეციალურ და ტექნიკურ კულტურების განვითარებასა და შემონერგვის ამოცანასთან".

თავი: საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგები; სვეტი მეორე, მეორე აბზაცის ბოლო:

სწერია: „თუ ამას კიდევ მივუმატებთ იმ მიწის ფართობებს, რაც ეკუთვნის ჩვენს კოლმეურნეობებს საქართველოში, მივიღებთ მთელ სოციალისტურ სექტორში გაერთიანებული და სათესი ფართობისა და ნარგავების —18,7 პროცენტს". უნდა იყოს: „თუ ამას კიდევ მივუმატებთ იმ მიწის ფართობს, რაც ეკუთვნის ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს საქართველოში მივიღებთ მთელ სოციალისტურ სექტორში გაერთიანებული და სათესი ფართობისა და ნარგავების — 18,7 პროცენტს".

„კომუნისტი" № 38.

მოხსენების გაგრძელება, გვერდი პირველი, თავი: საკოლმეურნეო მშენებლობის ეფექტები საქართველოში, სვეტი პირველი, პირველი აბზაცი:

სწერია: „ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა უზრუნველვყოთ ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით თავიდან ბოლომდე, რომ ხუთი წლის დამლევისათვის მთელს საქართველოში დავამთავროთ მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია". უნდა იყოს: „ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა უზრუნველვყოთ ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით თავიდან ბოლომდე, რომ ხუთწლედის დამლევისათვის მთელს საქართველოში დავამყაროთ მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია".

თავი: სას. სამ. არტელი—საქ. კოლმეურნეობათა ძირითადი ფორმა; სვეტი მეშვიდე, მეხუთე აბზაცი:

ციტატაში სწერია: „მემინდვრეობის რაიონების არც მექანიზაციის დონე, არც მექანიკური მამოძრავებლობის მოხმარების მრავალ საწარმოო პროცესის წარმოების შესაძლებლობა ტექნიკური მცენარეების კულტურების დარგში (ბამბა, თამბაქო)", უნდა იყოს: „მემინდვრეობის რაიონების არც მექანიზაციის დონე, არც მექანიკური მამოძრავებლებით მრავალ საწარმოო პროცესის წარმოების შესაძლებლობა ტექნიკური მცენარეების კულტურების დარგში (ბამბა, თამბაქო)".

თავი: მოვაწყოთ ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხთა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ, სვეტი მერვე, მეოთხე აბზაცის დასაწყისი:

სწერია: „კოლმეურნეობებში გლეხობის ახალი ჩაბმის მეორე ფორმას წარმოადგენს შემკრებ ჯგუფები და ხელშემწყობი კომისიები". უნდა იყოს: „კოლმეურნეობებში გლეხობის ჩაბმის ახალ, მეორე ფორმას წარმოადგენს კოლმეურნეობებში ჩაბმული ჯგუფები და ხელის შემწყობი კომისიები". და ქვევით სწერია „შემკრებ ჯგუფებში". უნდა იყოს: „კოლმეურნეობებში ჩაბმულ ჯგუფებში".

მესამე გვერდზე თავი: მუშაობა მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხებს შორის ყურადღების ცენტრში სვეტი მეორე: პირველი აბზაცი:

სწერია: „საქ. პირობებში, სადაც ჩვენ ჯერ კოლექტივიზაციის მხოლოდ 20 პროცენტი გვაქვს, ლაპარაკიც ზედმეტია იმაზედ, რომ ჩვენს დასაყრდენს..." უნდა იყოს: „საქ. პირობებში, სადაც ჩვენ ჯერ კოლექტივიზაციის მხოლოდ 30 პროც. გვაქვს, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენს დასაყრდენს..."

თავი: განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის მთავარი უბნები—უნდა იყოს: განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის დასაყრდენი პუნქტები.

თავი: დაუნდობელი ბრძოლა კულაკობას..., მეშვიდე სვეტი პირველი აბზაცი:

სწერია: „...საკოლმეურნეო ნედლეულის დამამზადებელ რაიონად"... უნდა იყოს „სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებელ რაიონად".

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ განმარტებას:

„კომუნისტი"-ს 14 თებერვლის ნომერში მოთავსებულ ჩემი სიტყვის მოკლე ანგარიშში (კამათი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმზე) ამხ. ს. მამულიას მიერ გაკეთებულ მოხსენების გარშემო დაშვებულია უხეში შეცდომა. სწერია: „ჩვენი ორგანიზაციების მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მათ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და საკმარისად ვერ მობრუნდნენ სამეურნეო ამოცანებისაკენ".

ნამდვილად მე ვსთქვი, რომ „უდიდეს მიღწევებთან ერთად გვაქვს შემთხვევები, როდესაც კომკავშირის ორგანიზაციის ცალკე რგოლებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და აქამდე ვერ შემობრუნდნენ პირით სამეურნეო ამოცანებისაკენ".

მ. ჩუბინიძე.

საბჭოთა ხე-ტყის ექსპორტის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლითაც ჩრდილოეთის მხარესა და ზირიანთა მხარეში იყენებენ პატიმართა შრომას. ამიტომ საბაჟოს ბიურო ამიერიდან არ მიიღებს ამ ოთხ რაიონიდან მოსულ ხე-ტყეს და ხის მასას, აგრეთვე არ დაუშვებს არავითარ საქონელს, რომელიც დამზადებული იქნება, სადაც არ უნდა იყოს ეს, ამ რაიონების ხე-ტყისა და ხის მასისაგან, თუ იმპორტიორი არ წარმოადგენს იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ პატიმართა შრომა არ ყოფილა გამოყენებული საქონლის დამზადებაში.

ეს ფინანსთა მინისტრის პირველი ბრძანებაა, რომელიც გამოცემულ იქნა 1930 წლის 24 ნოემბრის წესების თანახმად. (ადს).

კაპიტალისტური მონათმფლობელობა

ლონდონი, 13 თებერვალი. კოლონიების სამინისტროსთან მოწვეულმა კონფერენციამ იძულებითი შრომის გამოყენების საკითხის შესახებ უარი სთქვა მიმხრობოდა წარსულ წელს ჟენევაში ხელმოწერილ საერთაშორისო კონფერენციას იძულებითი შრომის შესახებ, თუმცა ამ კონფერენციამ ფაქტიურად უნდა მოასწრაფოს მხოლოდ იძულებითი შრომის გამოყენება და არა მოსპოს იგი.

კოლონიების სამინისტროს წარმომადგენელი არწმუნებდა კონფერენციას, რომ კონვენციით დაშვებულია მრავალი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, განსაკუთრებით სამხედრო და კომუნალურ სამუშაოებისათვის, რაც ფაქტიურად არარად ხდის იძულებითი შრომის მოსპობას. მაგრამ აფრიკის კოლონიების წარმომადგენლები ამ გარანტიებითაც არ დაკმაყოფილდნენ და მათ ჩაშალეს წინადადება კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება მეტად საყურადღებოა კაპიტალისტურ მონათმფლობელთა იმ განზრახვათ დაკავშირებით, რომელიც მათ ასტეხეს საბჭოთა კავშირში არსებული სოციალისტური შრომის წინააღმდეგ. (ადს).

დღეს, თებერვლის 15, საღამოს 6 საათზე,
სახელმწიფო ოპერის თეატრში
გაიხსნება
საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა
დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ა/კ. სფსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში— მომხ. ამხ. გ. ყურულიშვილი
2. საქ. სსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში მომხ. ამხ. ფ. მახარაძე
3. მოხსენება საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ — მომხ. ამხ. მათიკაშვილი
4. მოხსენება 1931 წ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ— მომხ. ამხ. გოგია
5. მოხსენება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ— მომხ. ამხ. გ. დევდარიანი
6. საქართველოს სსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ — მომხ. ამხ. ს. თოდრია
7. არჩევნები.

შესვლა სადელეგატო და მოსაწვევი ბარათებით ცაკის, საქ.კ.პ.(ბ) საოლქო კომიტეტის, ა/კ. საოლქო საკონტროლო კომისიის, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით.

16 თებერვლიდან დილიდან ყრილობის სხდომები გადატანილი იქნება მთავრობის სასახლის წითელ დარბაზში.

სს ცაკის მდივანი: ს. თოდრია

16 თებერვალს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში,
საღამოს სრულ 6 საათზე
გაიხსნება საშეფო საზოგადოების ქალაქის რაიონის
მე-6 კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. თბილისის საშეფო საზოგადოების საბჭოს მოხსენება; 2. საშეფო საზოგადოების ქალაქის რაიონის საბჭოს ანგარიში 3. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4. სარაიონო საშეფო საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა, 5. დელეგატების არჩევა საქართველოს საშეფო ორგანიზაციების 1-ლი ყრილობაზე.

საორგანიზაციო კომისია.

ზალესკი პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ვარშავა, 13 თებერვალი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი, რომელმაც აღნიშნა, რომ „პოლონეთის საფრანგეთთან შეთანხმება და რუმინეთთან შეთანხმების განცხადება წარმოადგენს პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველს. ზალესკიმ ხაზი გაუსვა, რომ ეს ორი შეთანხმება ხელს უწყობს ამ ორთავე ქვეყნის უფრო მეტ თანამშრომლობას და საერთაშორისო სარბიელზე უშუალო შედეგებს იძლევა".

„საფრანგეთთან შეთანხმება განაგრძობს მინისტრი ვრცელდება ჩვენი საგარეო პოლიტიკის სხვა დარგებზეც,—პოლიტიკის, რომელიც ემყარება ხელშეკრულებებისადმი პატივისცემას და ურთიერთ გაგებას".

მიცემულ შეკითხვაზე საპასუხოდ მინისტრმა დაადასტურა თავისი წინანდელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ პოლონეთი, როგორც ყოველთვის, ახლაც ცდილობს საბჭოთა კავშირთან საუკეთესო ურთიერთობა დაამყაროს. ზალესკიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ბოლო დროს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან ნორმალურად ვითარდება.

მინისტრმა მთელი კატეგორიულობით განაცხადა, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია პრესაში გამოქვეყნებული ცნობები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ. (ადს).

გაფიცვა გრძელდება

ბერლინი, 13 თებერვალი. ჰამბურგის ნავთსადგურის გაფიცულ მუშების კრებამ დაადგინა განაგრძოს გაფიცვა და გააძლიეროს ბრძოლა შტრეიკბრეხერობის წინააღმდეგ. იქმნება მეზღვაურთა, ნავთსადგურის მუშათა და წყალზე მომუშავეთა წითელი პროფკავშირი. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ წყალთა ტრანსპორტის მუშების რეფორმისტული პროფკავშირი გადაიქცა შტრეიკბრეხერულ ორგანიზაციად, რომელშიც პროფბიუროკრატები არიან გაბატონებულნი. ძლიერდება პოლიციური ტერორი მუშების წინააღმდეგ. კომკავშირის ჰამბურგის ორგანიზაციის მდივანი უკვე რამოდენიმე დღეა, რაც დააპატიმრეს. მას აბრალებენ „სახელმწიფო" ღალატს" (ადს).

ტარდიეს ანტი-საბჭოთა ზრახვები

პარიზი, 13 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მიწათმოქმედების მინისტრმა ტარდიემ სენატში გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მიიღოს ზომები საფრანგეთის ხე-ტყის მრეწველების დასაცავად ეგრეთწოდებული საბჭოთა დემპინგისაგან. ტარდიემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია მიღებულ იქნას ზომები საზღვრების დასახურავად საბჭოთა ხე-ტყის იმპორტისა და კონტინგენტების გადასათვალიერებლად. ამ ზომებთან ერთად საფრანგეთის მთავრობა შესაძლებლად სთვლის მიიღოს ეკონომიური (გამოტოვებულია) (ადს)

დაუყონებლივ მოვაწესრიგოთ სარწყავი სისტემა

გურჯაანის რაიონში ადგილი აქვს სარწყავი არხების თვითნებურად გამოყენებას.—მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა „ალაზანი"-სათვის წყლის მიწოდებას საფრთხე მოელის.—ბორჩალოს რაიონში გადაჭარბებით შეასრულეს ზამთრის მორწყვის გეგმა.

შემკეთებელი სახელოსნოების უთავბოლო მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს

თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს

(გურჯაანის რაიონი)

სარწყავი არხების დაცვას დაზიანებისაგან დიდი მნიშვნელობა აქვს—მით უმეტეს მებამბეობის რაიონებში, რადგან წყალმა უნდა უზრუნველჰყოს ბამბის მოსავლის გაორკეცება და ნაყოფიერების გაზრდა.

გურჯაანის რაიონის საბამბე მიწების შუაგულზე გადაჭიმულია ალაზნის არხი, საიდანაც გაყვანილია წვრილი არხები ბამბიან მიწების სარწყავად.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საბამბე მიწების სარწყავი წვრილი არხები და ზოგან კი მსხვილი არხებიც ცუდ მდგომარეობაშია: მიწით ამოვსებულია, საქონლის ჩარეკვით ნაპირები ჩანგრეულია. ზოგან შეძლებული გლეხები თვითნებურად იტაცებენ და ინაწილებენ წვრილ სარწყავ არხებს.

სამილიორაციო ამხანაგობის გურჯაანის განყოფილებამ ეს მდგომარეობა ადრევე შეამოწმა. მან ჯერ კიდევ გასულ წელს დამნაშავე გლეხები: ზარდიაშვილი, თარალაშვილი, თევდორაშვილი, პეტრიაშვილი, ბელიაშვილი; გორხელაშვილი (შეძლებული გლეხებია), რომელთაც ალაზნის არხის წყლით საბამბე მიწების რწყვის დროს მოიპარეს წყალი, ამოავსეს გაჭრილი არხები და თავიანთი საჭიროებისათვის გაიყვანეს ახლები—პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი. მილიციამ აწარმოვა აღნიშნული საქმის კვლევა-ძიება და წაყენებული ბრალდებები დადასტურდა. სასამართლომ კი ეს საქმეები წვრილმანად ჩასთვალა და დაადო რეზოლუცია: — „დაუბრუნდეს სამილიორაციო ამხანაგობას ქვემდებარეობისამებრ".

ამის გარდა მილიცია იძიებს კიდევ 120 გლეხის საქმეს, რომელთაც წყლით სარგებლობის დარგში დაარღვიეს სავალდებულო წესები.

ამ მხრივ ჯერ არავინ დასჯილა, რაც უნდა მიეწეროს გურჯაანის უბნის სახალხო სასამართლოს ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

უკვე დაიწყო სარწყავი არხების შეკეთების და გაწმენდის ერთთვიური საბამბე ადგილებში.

საჭიროა: წვრილი სარწყავი არხების მიმთვისებელ პირების გასამართლება მოეწყოს თებერვლის თვეში ადგილებზე. გაწმენდილი და ახლად გაჭრილი სარწყავი არხები სასტიკად იქნას დაცული დაზიანებისაგან, რათა ბამბის კულტურის რწყვა ჩატარდეს ნორმალურ პირობებში.

მოვლინებული

როგორ ემზადებიან ბამბის თესვისათვის

(გურჯაანი)

რესპუბლიკანური გეგმის მიხედვით, გურჯაანის რაიონში უნდა დაითესოს ბამბა—700 ჰექტარზე; აქედან კოლმეურნეობებში—500 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობაში კი—200 ჰექტარი.

გურჯაანის რაიაღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ შეადგინა შემხვედრი გეგმა—850 ჰექტარზე. ამ ნაკვეთზე მიწადმოწყობა მთლიანად უკვე ჩატარებულია. თვითეულმა კოლმეურნეობამ, თვითეულმა ღარიბ და საშუალო გლეხურ ინდივიდუალურ მეურნემ უკვე იცის, თუ სად და რამდენი ბამბა უნდა დაითესოს.

ბამბის დასათესად მიწების გამოყოფის დროს, გურჯაანის რაიონში ჩამოყალიბდა—84 მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა. I. კარდანახში 200 ჰექტარზე ბამბას დასთესავენ ჯგუფური განაერთები. ბამბის თესვის საქმეს ს. კარდანახის შრომელი მოსახლეობა განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეხვდა. ბამბის დასათესად ჯგუფურ განაერთებს მიეცათ საუკეთესო მიწები.

პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელნიც მიმაგრებულები იყვნენ ადგილებზე, უკვე ჩაატარეს მოსახლეობას შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მთესველთა რეგისტრაცია უკვე ჩატარებულია; გეგმები უკვე დაყვანილია სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და თვითეულ გლეხის კარამდე.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება 1931 წ. ბამბის [illegible] ნათესების კონტრაქტაციის შესახებ რომელიც ეხება ბამბის დარგს, არ არის განმარტებული მასებს შორის.

წელს ბამბა დაითესება მწკრივად. ამისათვის ამ დაწყებულია ადრეულად ხვნა; ცუდი ამინდები ხელს უშლის მუშაობას. 400 ჰექტარი უნდა ადრეულად მოიხნას, 300 ჰექტარი კი (უკანა მხარე) მოიხნება თოვლის წინ. სასუქით რაიონი არ არის უზრუნველყოფილი, მხოლოდ 50 ჰექტარზე შეიტანენ სასუქს. ბამბის თესვის დროს მიწა მოირწყვება პირველად.

ბამბის დასათესად თესლი უკვე მიიღო რაიონმა. ბამბის წმინდავად სათესი მანქანებით არ არიან უზრუნველყოფილნი. მიღებულია მხოლოდ ერთი მწკრივიანი სათესი მანქანები.

გურჯაანში გაიხსნა სასოფლო-სამ. იარაღის მანქანების შემკეთებელი პატარა სახელოსნო, რომელიც სრულიად არ არის მომარაგებული ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით. მანქანა-იარაღების შეკეთება ვერ აწარმოებს გეგმიანად. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ბამბის სათესი არეს მოსახნავად და დასათესად, მანქანა-იარაღების არსებული რიცხვი რაიონში მცირეა. საჭიროა ბამბის თესვის დროს ლაგოდეხის რაიონიდან გადმოსროლილი იქნეს რამდენიმე ტრაქტორი, რადგანაც მათ ჯერ არ დასჭირდებათ.

მუშა-საქონელი **საკვები ბალახით არ არის უზრუნველყოფილი.** საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 1931 წ. 31 იანვრის დადგენილებაში ვკითხულობთ: „მომარაგების სახალხო კომისარიატმა და „სოიუზხლებ"-მა უზრუნველჰყონ საკვების საჭირო რაოდენობით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობის ის მუშა-საქონელი, რომელიც ბამბის ფართობებზე მუშაობს. ამავე მიზნით მომარაგების სახალხო კომისარიატმა ხუთი დღის ვადაში გამოარკვიოს მოთხოვნილება საქონლის საკვებზე და ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით სათანადო დავალება მისცეს „სოიუზხლებ"-ს.

ეს დადგენილება „სოიუზხლებ"-ის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი. მუშა-საქონელი, რომელიც გამოყენებული იქნება ბამბის თესვისათვის, საკვები ბალახით უზრუნველყოფილი უნდა იქნას. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გურჯაანის რაიონულ ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა.

საქართველოს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა ადგილებს მისცა დავალება მუშა-საქონლის მობილიზაციის შესახებ. ეს დავალება გურჯაანის რაიონში შესრულებულია აქვთ, მაგრამ მუშა-საქონელი დღემდის გამოუყენებელია. საქართველოს მიწსახკომს არ გამოუგზავნია ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა მიიცეს ქირა იმ ღარიბ-საშუალო გლეხს, რომლის საქონელიც გამოყენებული უნდა იქნას ბამბის თესვის დროს. ეს მდგომარეობა აბრკოლებს საბამბე მიწების მოხვნას. საჭიროა მიწსახკომმა ადგილებს საჩქაროდ განუმარტოს, თუ რამდენი უნდა მიიცეს ქირა მუშა-საქონლის მეპატრონე ღარიბ-საშუალო გლეხებს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

საზამთრო მორწყვის გეგმა შესრულებულია

(ბორჩალო)

მიმდინარე წლის მებამბეობის სეზონის წარმატებით ჩატარების მიზნით ბორჩალოს რაიონში გეგმით გათვალისწინებული იყო ზამთრის არატის ჩატარება 300 ჰექტარის სივრცეზე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს შემხვედრი გეგმა, რომელიც ზამთრის არატის ჩატარება 300 ჰექტარის ითვალისწინებდა.

დიდი თოვლისა და ყინვების გამო არატის ჩატარება იანვარში შეუძლებელი შეიქნა. ფაქტიურად მორწყვა 31 იანვარს დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა სოფლის საბჭომ (სოფ. სარვანისა და გიაურ-არხის საბჭოები) სათანადო აქტივობა ვერ გამოიჩინეს არატის ჩატარებაში და გლეხობა დროზე არ გამოიყვანეს სამუშაოდ. სოფ. სარვანში წინასწარ არ იყო ჩატარებული ახსნა განმარტება არატის მნიშვნელობის შესახებ. აქაური გლეხობა ამის გამო სათანადო შეგნებით ვერ შეხვდა ამ ღონისძიებას და უმიზნოთ და ზედმეტად სთვლიდა მას. ადგილობრივი საბჭოს მუშაკებიც თითქმის ასევე იყვნენ განწყობილი.

გარდა ამისა, არატის დროზე დამთავრებას ხელი შეუშალა ხრამ-არხის სათავის დაზიანებამ, რის გამოც ამ არხში წყალი შეწყვეტილი იყო 3-დან 8 თებერვლამდე.

მიუხედავად ყველა ამ დამაბრკოლებელი მიზეზებისა 11 თებერვლისათვის არატი ჩატარებული იყო 308,5 ჰექტარზე, რაც მოცემული გეგმის (არა შემხვედრი გეგმით) 102,8 პროცენტს შეადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ არატის დამთავრებამდე შემხვედრი გეგმის დანამატი თუ მთლიანად არა 50—60 პროცენტით მაინც შესრულდეს.

მიუხედავად ამისა საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ ადგილობრივი საბჭოები და სხვ. ორგანიზაციები მეტი სიფხიზლით მოეკიდონ სარწყავი წყლის საკითხს, ვინაიდან სარწყავი წყლის საკითხისადმი ოდნავი დაუდევრობაც კი საფრთხეს შეუქმნის ბამბის კამპანიას.

გაზ. „კომუნისტი"-ს დამკვრელი ბრიგადა.

წესრიგში მოვიყვანოთ სარწყავი სისტემა

(გურჯაანი)

გურჯაანის რაიონის წინა მხარე, სადაც ბამბა ითესება, გაყოფილია ორ უბნად. ალაზნის მთავარ არხიდან გასულ წელს პირველ უბანში გაყვანილი იქნა პატარა დამამარე არხები მხოლოდ მეორე უბანში კი არა.

ამჟამად მიმდინარეობს პირველი უბნის სარწყავი არხების წმენდა. მეორე უბანში კი დაწყებულია ახალი სარწყავი არხების გაყვანა. თანახმად საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებისა, სარწყავი არხების შეკეთების დამთავრება უნდა მოხდეს პირველ მარტისათვის. თუ ამინდმა შეუწყო ხელი გურჯაანის რაიონი სარწყავი არხების გაწმენდას დროზე დაამთავრებს.

მეორე უბანში ახალი სარწყავი არხების გასაყვანად წინასწარი მუშაობა უკვე შესრულებულია. მეორე უბანს დასჭირდება 500 მუშა, ხოლო პირველი უბნის სარწყავი არხების გაწმენდას კი დასჭირდება 300 მუშა.

უნდა ითქვას, რომ პირველ უბანში, სადაც არხი გასულ წელს იყო გაყვანილი, ბამბის ნათესები ვერ იქნება მთლიანად მორწყული. ალაზნის მთავარ არხიდან წყალ-გამშვები აუზები ერთმანეთს ძალიან დაშორებულები არიან; აუზების რაოდენობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ბამბის ნათესების მთლიანად მორწყვა.

მაგალითად, სოფ. შრომაში არ არის წყალის გამშვები აუზი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებს აუზის მოწყობისათვის თანხები უკვე გადებული აქვთ. აუზების მოუწყობლობამ და მათგან პატარა სარწყავი არხების არ გაყვანამ საფრთხე უმზადებს ზოგიერთ ადგილებში ბამბის ნათესებს.

ეხლავე უნდა იქნას მიღებული ყველა საჭირო ზომები, რათა არსებულ სარწყავი არხების გაწმენდასთან და ნაპირების გამაგრებასთან ერთად მოეწყოს დამატებითი აუზები.

გურჯაანის რაიონის უკანა მხარეში — ყანდაურის მიდამოებში, სადაც წელს დაითესება ბამბა 300 ჰექტარამდე, გაყვანილია პატარა უსისტემო სარწყავი არხები. ამჟამად მიმდინარეობს ამ არხების გაწმენდა. არხები იწმინდება აგრეთვე იორ-მუღანლოში.

გურჯაანის რაიონის უკანა მხარეში, რომ არსებული სარწყავი არხები გაგრძელებული იქნას, არის სრული შესაძლებლობა იმისა, რომ აქ ბამბის დასათესად გამოიყოფა კიდევ 100 ჰექტარი მიწა.

გურჯაანის რაიაღმასკომმა „უკანა მხარეში" არხების გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა აღძრა წყალთა სამმართველოს წინაშე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უსისტემო არხები ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს ბამბის ნათესი არის მოსარწყავად. საჭიროა მათი წესიერად მოწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად კახეთში ცუდი ამინდებია, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, აგრო-რწმუნებულებმა, მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგებმა, კოლმეურნეობებმა და ღარიბ-საშუალო გლეხებმა, რომელნიც ჩაბმულნი არიან არხების გაწმენდის საქმეში, მაქსიმალური ენერგიის დაძაბვით და სრული შეგნებით დროზე უნდა დაამთავრონ სარწყავი არხების გაწმენდა, ჯებირების და ნაპირების გამაგრება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბამბის მოსავლიანობის საგრძნობლად გადიდებას.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

თავადი მუხრანსკი კოლმეურნეობის საქმეს განაგებს

(სოფ. ძალისი, მცხეთის რაიონი)

სოფელ ძალისის ღარიბი და საშუალო გლეხების უმრავლესობა გაერთიანებულია კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა საერთოდ მტკიცე და ჯანსაღია, მაგრამ კოლმეურნეობის წევრები ჩივიან იმაზე, რომ მათ არ ჰყავთ ღირსეული ხელმძღვანელები.

ძალისის კოლმეურნეობის საქმეებს განაგებს ადგილობრივი ყოფილი თავადი მიტო მუხრანსკი. ეს ის თავადია, რომელიც მათრახით, ცეცხლით და მახვილით აწიოკებდა გლეხებს მეფის დროს.

აღნიშნული მუხრანსკი კოლმეურნეობის წევრებს აკლებს ნამუშევარ დღეებს და არასწორ შრომადღეებს თვითნებურად აკუთვნებს იმას, ვინც მას კარგ ძღვენს მიართმევს.

კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე კოლმეურნე ქალმა ბაბო ფალიაშვილმა განაცხადა:—„ჩემმა დედამ მუხრანსკის ძღვენი მიართვა და, ამის გამო მან რამოდენიმე დღის ზედმეტი ნამუშევარი გამოგვიწერაო". ასეთი ფაქტები მრავალია.

მუხრანსკის ცოლი / კოლმეურნეებს ემუქრება: ახლა თქვენს ნებაზე პარპაშობთ, მაგრამ მოვა დრო და ისევ ჩემს მახეში გაგაბამთო".

მოვითხოვთ ყოფილი თავადის დაუყოვნებლივ გაძევებას კოლმეურნეობის გამგეობიდან.

ნაპერწკალი.

არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს

პირი ვიბრუნოთ ტექნიკისაკენ! ჩვენ თვითონ გავხდეთ სპეციალისტებად

სამტრედიის დეპოში მუშათა საქმიან წინადადების განხორციელებას არავითარი ყურადღება არ ექცევა

ტექნიკის საკითხების შესწავლა—დაკვრითი სადღეისო ამოცანაა

როგორი ძირითადი კონკრეტული მოთხოვნილებებია ამჟამად დასმული სამეურნეო მუშაკის, ქარხნის დირექტორის წინაშე?

იმისათვის, რომ წარმატებით იქნეს შესრულებული საკონტროლო ციფრების დავალებანი, აუცილებელია სამეურნეო მუშაკმა კონკრეტულად დაამუშაოს ისინი, დაჰყოს ცალ-ცალკე ნაწილებათ და გაავრცელოს ცალკე ქარხანას. არამედ თვითეულ საამქროს და აგრეგატს უნდა ჰქონდეს თავისი დაწვრილებითი გეგმა, რომელიც წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს ყველა საჭირო შეკეთებას, მათ ხანგრძლივობას და ცალკე აგრეგატების და მანქანების გამოყენების კოეფიციენტებს. თვითღირებულების შემცირება დანაწილებული უნდა იქნას ყველა ელემენტებზე და წარმოების ცალკე ნაწილებს შორის. წინასწარ შემუშავებული უნდა იყოს სათბობ მასალის, ნედლეულის ხარჯვის ნორმები არა მარტო მთელი მუშათა მასისათვის, არამედ თვითეულ ცალკე ბრიგადისათვის. სათბობი მასალის ეკონომია სასწორით უნდა იყოს აღრიცხული და მას კარგად უნდა იცნობდნენ როგორც ქარხნის დირექტორი, ისე ცალკე მუშები.

საქართველოს სამრეწველო წარმოებების დირექტორების სამეურნეო მოღვაწეობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ზოგჯერ განზე სდგანან სწორედ ასეთ კონკრეტულ დავალებებისაგან. კონკრეტული დავალებების სისწორით გაგება და შეთვისება—ეს არის სწორედ ტექნიკის საკითხებთან ახლოს მისვლა. გაიარეთ თბილისის ქარხნებსა და წარმოებებში და დაინახავთ, რომ საკითხებს, რომლებიც ეხება წარმოების საერთო მუშაობას დირექტორი, რასაკვირველია, იცნობს, მაგრამ თუ საჭიროა მათი დეტალიზაცია „მიმართეთ მთავარ ინჟინერს". ის დიდი ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში თბილისის მთელ რიგ წარმოებებში (ქარხანა თემქა, ავეჯეულობის ფაბრიკა და სხვ.) აიხსნება უმთავრესად იმით, რომ დირექცია საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული წარმოების ყოველდღიურ საკითხისაგან. მრავალი სამეურნეო მუშაკი ფიქრობს, რომ „წარმოების ხელმძღვანელობისათვის საკმარისია საამქროების და ქარხნის ყოველდღიური შემოვლა, მოხსენების გაკეთება და სხვ. ყველაფერი ეს რასაკვირველია. ხელმძღვანელობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი.

ზოგჯერ არავითარი ყურადღება არ ექცევა წარმოების რაციონალიზაციას, გამომგონებლობის და დანაკარგებთან ბრძოლის საკითხებს, ე. ი. წმინდა ტექნიკურ საკითხებს. მუშები მრავლად აყენებენ საქმიან წინადადებებს, მაგრამ ეს წინადადებები უმეტეს შემთხვევაში არ ტარდება ცხოვრებაში, დირექტორები არ სთვლიან თავის მოვალეობათ თვალყური ადევნონ მათ რეალიზაციას, ისინი ფიქრობენ, რომ ეს უმთავრესად საწარმოო თათბირის და გამომგონებელ ბიუროს საქმეა.

რასაკვირველია, მრავალი ძვირფასი წინადადება და გამოგონება იქნა განხორციელებული და ხორციელდება / მთელ რიგ წარმოებებში, მაგრამ კიდევ უფრო მეტი რაოდენობა, „ინდუსტრიალიზაციის ნამდვილი ოქროს მარაგი" ჯერ კიდევ უძრავად დევს.

გასული წლის მესამე კვარტალიდან დაიწყო ფართო ბრძოლა დანაკარგებთან. ეს ბრძოლა, ეჭვს გარეშეა, დიდ ეკონომიას მისცემდა წარმოებებს, მაგრამ დღემდე გამოურკვეველია თუ რა ეკონომიური ეფექტი იქნა მიღწეული ამ ბრძოლის შედეგად. დირექტორი, რომ უფრო ახლოს იდგეს ტექნიკის საკითხებთან, მას, რასაკვირველია, ეცოდინებოდა თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ბრძოლას და რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებას.

ერთმმართველობის და წარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ისინი გავლენას ახდენენ დავალებების წარმატებით შესრულებაზე. აუცილებელია სამეურნეო მუშაკების, წარმოების დირექტორების მობრუნება ტექნიკისაკენ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ერთმმართველობის საკითხის წარმატებით გადაჭრა. **„სანამ ჩვენს შორის, ბოლშევიკებს, არ იქნება საკმაო რიცხვი ადამიანებისა, რომელნიც კარგად იცნობენ ტექნ., ეკონომიკას, ფინანსების საკითხებს, მანამ ჩვენ არ გვექნება ნამდვილი ერთმმართველობა".** (სტალინი).

ვ. ქ.

მუშათა საქმიან წინადადებებს ყურადღებას არ აქცევენ

(სამტრედია)

სამტრედიის რკინის გზის დეპოში 1931 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა დაყვანილია [illegible], ცეხამდე და თვითეულ მუშამდე. საწარმოო-საფინანსო გეგმას მუშებმა უპასუხეს შემხვედრი გეგმით. სამტრედიის დეპოში მიმდინარეობს ორთქლმავლების მიმდინარე შეკეთება. შემხვედრი გეგმით ახლად გამოშვებული ორთქლმავლების გარბენა უდრის 28.441 კილომეტრს, კაც-საათები 100 კილომეტრზე 11,7-ს, მუშა-ხელი [illegible] 8—54 კაპიკს.

დეპოში სულ შემოტანილია 23 საქმიანი წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობს 1931 წლის საწ.-საფ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს მუშათა საქმიანი წინადადების ცხოვრებაში გატარებას.

ცალკე ცეხებში გამოკრულია საწ.-საფ. გეგმების მოცემული საკონტროლო ციფრები. აღსანიშნავია, რომ ორთქლმავლების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესების ირგვლივ არ არიან დარაზმული მუშები და ადმინისტრატიული ორგანოები, წვრილი შეკეთების ხარისხი ძალიან ცუდია. ეს კი ზრდის ორთქლმავლების განმეორებითი შეკეთების პროცენტს. არ არის დამუშავებული ლენინგრადის ქარხნის „ელექტრო-აპარატის" მუშების მოწოდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შესახებ, აქ საკითხს ყურადღებას არავინ აქცევს. წარმოება არ არის მომარაგებული მასალებით, მოუგვარებელია მუშათა მომარაგების საქმე, ადგილი აქვს საწარმოო იარაღების სიმცირეს, აგრეთვე არის კვალიფიციური მექანიკოსების ნაკლებობა, არ არის მოგვარებული ბინების საკითხი და სხვა. ღამით დეპოში არ არის საკმაო სინათლე, რაც ხელს უშლის მუშაობას.

სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად წარმოებაში ჩამოყალიბდა ცხრა დამკვრელი ბრიგადა.

ორთქლმავლების მიმდინარე შეკეთების ცეხმა სოც. შეჯიბრებაში გამოიწვია ვაგონების პარკის ცეხი. სამტრედიის რკ. გზის დეპოს სოც. შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული ხაშურის დეპო. სულ დეპოში არის 107 დამკვრელი მუშა.

უკანასკნელად შემჩნეულია არასაიმედო ორთქლმავლების გამოშვება; ხშირია შემთხვევა, როცა ორთქლმავლები ცუდი შეკეთების გამო გზაში ფუჭდებიან და ჩერდებიან. ხელ-საწყო იარაღების უქონლობის გამო მუშა-ხელი მოცდენილია, მასალების სისტემატიურად მოუწოდებლობა ხელს უშლის ორთქლმავლების დროზე გამოსვლას შეკეთებიდან. დეპოში წვიმა ისე ჩამოდის, რომ აქ ცუდ დარში მუშაობა შეუძლებელია. ადმინისტრაცია ამას ყურადღებას არ აქცევს.

ა. ქ.

ასეთი რაციონალიზაცია შრომის ნაყოფიერებას სცემს

(ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანა)

რაციონალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში, მაგრამ ზოგიერთ ორგანიზაციებს ეს რაციონალიზაცია კარგად ვერ გაუგიათ.

1930 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნებმა გადაჭარბებით შეასრულეს.

დღემდე ძაფსაღებ ქარხანაში ერთი მუშა ორ სახარშავ აუზს ემსახურებოდა, პირველ იანვრიდან კი აბრეშუმის ტრესტის განკარგულებით, პირობების წინასწარ შეუსწავლელად, ერთი მუშა ოთხ აუზს ემსახურება.

ასეთმა „რაციონალიზაციამ" ვერაფერი შედეგი ვერ გამოიღო. შრომის ნაყოფიერება დაეცა.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ყოველივე ამას ადგილობრივი ძირითადი პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები გულგრილად უყურებენ. ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან ამ რამოდენიმე დღის წინად ფაბკომმა მიიღო მიმართვა—მოგვეცით ცნობა—ოთხ აუზზე გადასვლის შედეგების შესახებო. ფეიქ. კავშირის ცენტ. გამგეობისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში სხვათა შორის ასე სწერია: „ოთხ აუზზე გადასვლამ კარგი შედეგი გამოიღო, ვცდილობთ შევინარჩუნოთ მიღწეული შედეგები".

სამწუხაროა, რომ ამ მიმართვას ხელს აწერს ფაბკომის თავმჯდომარე, პარტ-ბიუროს კოლექტივის მდივანი და ქარხნის რაციონალიზატორი.

ასეთი რაციონალიზაცია ცხადია ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს წარმოებას. აბრეშუმის ტრესტის მმართველობამ უნდა შეისწავლოს, რომ წარმოებაში ასეთი რაციონალიზაციის შემოღება ქარხნის დაღუპვისაკენ წაყვანას ნიშნავს.

ტ. აცანელი.

მნიშვნელოვანი გამოგონება

(ქუთაისის ფ.-ტ. კანტორა)

ქუთაისის ფ.-ტ. კანტორის თანამშრომელმა თადეოზ ჩიგოგიძემ გამოიგონა ავტომატიური [illegible] მანქანა, რომელიც ასრულებს შტამპის მოვალეობას.

მანქანის შემოღება მიზნად ისახავს ხმარებიდან გამოიყვანოს საფოსტო ნიშნები. აღსანიშნავია, რომ მანქანის საშუალებით ბოროტმოქმედების ჩადენა მომუშავეს არ შეუძლია, ვინაიდან კონტროლს თვით მანქანა უწევს მას და აღრიცხავს ყოველივეს.

ამხ. ჩიგოგიძემ მანქანის მოდელის გაკეთება თვითონვე შესძლო. მანქანის შემოღების შესამოწმებლად ქუთაისის ფოსტა-ტელ. კანტორის საწარმოო თათბირმა გამოჰყო სპეციალისტთა კომისია, რომელმაც საჭიროდ სცნო მანქანაში რამოდენიმე შესწორების შეტანა. კომისიამ მიზანშეწონილად სცნო მანქანის შესამოწმებლად გაიგზავნოს გამომგონებელი თავისი მანქანით ამიერკავკ. ფოსტა-ტელეგრ. სამმართველოსთან არსებულ რაციონალიზაციის ბიუროში.

სპეციალისტთა აზრით მანქანის შემოღება დიდ ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს. ამიტომ სასურველია აღნიშნული მანქანის საბოლოოდ გამოცდა სასწრაფოდ იქნეს ჩატარებული.

ე—ძე.



ამხ. თ. ჩიგოგიძე და მის მიერ გამოგონებული აპარატი

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის პირველი სხდომა

12 თებერვალს ამხ. პ. მელაძის თავმჯდომარეობით, შესდგა თბილ. საბ. ახალ პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გამოყო ამხ. ვ. ავაქოვი, მეორე მოადგილედ—ამხ. მ. ნიორაძე, საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად—ამხ. ხირაძე.

განყოფილებათა გამგეებად დაინიშნენ: კომუნალურ განყოფილების გამგედ ამხ. ვ. ავაქოვი, მოადგილედ—ამხ. შ. კილურაძე; საფინანსო განყოფილების გამგედ—ამხ. მ. ნიორაძე, მოადგილედ ამხ. გ. დოლიძე; საგეგმო და სტატისტიკური განყოფილების გამგედ—ამხ. მუსხელიანი, მოადგილედ—ჯილდაური; ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ—ამხ. ვ. ფანცხავა, მოადგილედ—ამხ. კამალოვი; განათლების განყოფილების გამგედ—ამხ. კ. ქაცარავა; საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. ს. ცხოვრებაშვილი. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების გამგედ—ამხ. ხარაზიანი; ბაზრის და მომარაგების განყოფილების გამგედ—ამხ. მ. ცინცაძე, ადმინისტრატიულ განყოფილების გამგედ—ამხ. ს. ხმალაძე, თანაშემწედ—ამხ. გ. ტაბიძე; თბილისის სამხედრო კომისრად—ამხ. ს. ხელაშვილი; სოციალური უზრუნველყოფის განყ. გამგედ—ამხ. ვ. სიხარულიძე და საკონტროლო განყოფილების გამგედ—ამხ. მ. ალელიძე.

ქალაქის მთავარ ინჟინერად დაინიშნა ინჟ. დიასამიძე; ტრამვაის დირექტორად—ამხ. გელაშვილი; ნატახტარის წყალსადენის აღმშენებლობის უფროსად—ამხ. ფარნიევი.

ამხ. ივანე მარღანია

საქ. ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილე

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილის დანიშვნის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამხ. ივანე ნიკოლოზის ძე მარღანია დაინიშნოს საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. თებერვლის 11.
თბილისი.

მწერალთა კლუბი

გაიხსნება 17 თებერვალს

ხელოვნების სასახლეში, სამშაბათს, 17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე მოხდება მწერალთა კლუბის საზეიმო გახსნა.

საზეიმო საღამოს პროგრამა შესდგება: 1) შესავალი სიტყვა კლუბის მნიშვნელობისა და მისი ძირითადი ამოცანების შესახებ. 2) მილოცვები საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებისაგან, 3) დიდი ლიტერატურული განყოფილება და 4) კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

მთელი საღამო გადაღებული იქნება კინო-ლენტზე.

ამავე დღეს გაიხსნება დიდძალოვანი რადიო-მიმღები პუნქტი.

კლუბში, გამოსასვლელ დღეების გარდა, სისტემატიურად გაიმართება დისპუტები და მოხსენებები ლიტერატურაზე, კინოზე, თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე და სხ. იმართება ახალი კინო-სურათების განხილვა და მოეწყობა მწერალთა შემოქმედების საღამოები.

კლუბთან მწერლების მონაწილეობით ჩამოყალიბებულია შემდეგი წრეები: ხუთწლედის შემსწავლელი, დიალექტიურ-მატერიალიზმის, უცხო ენების შემსწავლელი წრე, მეზობელ ერთა ენების შემსწავლელი წრე და სხვ.

კლუბის გახსნის დღეს გამოვა კედლის გაზეთი „საბჭოთა მწერალი“.

საღამოზე შესვლა შეიძლება მოსაწვევი ბარათებით.

დამთავრდა

საქ. მთიელთა კულტსაზოგადოების აპარატის წმენდა

დამთავრდა საქართველოს მთიელთა კულტურულ საზოგადოების აპარატის წმენდა. უკანასკნელ სხდომებზე წმენდა გაიარეს: **ნიკო ივანეს-ძე ჩუტულაშვილმა**, რომელიც მუშაობს აღნიშნული საზოგადოების ღვინის საწყობში გამყიდველად. ჩუტულაშვილს 1917—26 წლამდე ქ. სიღნაღში ქონდა საკუთარი სავაჭრო, ხოლო შრომის სიაში მას ამის შესახებ არაფერი აქვს ჩაწერილი. იმავე საწყობის გამგის მოვალეობას ასრულებს **გიორგი რიგიშვილი.** მას ახასიათებენ როგორც სუსტ ხელმძღვანელს.

წმენდის მთავარ ფიგურად გადაიქცა საზოგადოების ინსტრუქტორი მოქ. დავით **ლუდუშაური.** მას ბრალად ედება თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. თბ. აღმასკომმა მთიელთა კულტ. საზოგადოებას გადასცა სახლი, რომელსაც შეკეთება ესაჭიროებოდა, მისი დაუდევრობით სახლის შესაკეთებლად საზოგადოების მიერ გადადებული თანხა არ მოხმარდა თავის დანიშნულებას. მან მთიელთა ახალგაზრდობის სახელზე მუშკოოპიდან გამოიტანა დეფიციტიან საქონლის ორდერები და დიდი ნაწილი ორდერებისა თვითონვე მიითვისა, რის გამო პასუხისგებაშია მიცემული.

სავაჭრო განყოფილების გამგედ ითვლება **მოქ. ალექსანდრე ჩხუბიანი.** იგი ვერ ხელმძღვანელობს სავაჭრო წერტებს. არ არის დაწესებული კონტროლი სავაჭროებზე. მაღაზიის გამგეები საქონელს იძენენ დამოუკიდებლად, საწყობიდან საქონელი იცემა უსისტემოთ და სხვ..

წმენდის შემდეგი კანდიდატია მოქ. **არჩილ ციხისთავი.** იგი საზოგადოებაში ერთ და იმავე დროს ასრულებს რამოდენიმე თანამდებობას. მისი თვიური ხელფასი განისაზღვრება 170 მანეთით, რითაც ის არ კმაყოფილდება და ამავე დროს 70 მანეთს პენსიასაც იღებს. საზოგადოებასთან არსებულ დრამწრის ხელმძღვანელობისათვის, სადაც მას ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია, თვიურად იღებს 25 მან. ამავე დროს, ტრამვაის ბილეთისათვის ღებულობს 15 მან ციხისთავმა გამგეობისაგან ერთდროული დახმარების სახით 2-ჯერ გამოიტანა 150 მან. ციხისთავს ახასიათებენ როგორც ბიუროკრატს და სხვ..

პელაგია ყამარაული ითვლება საზოგადოებასთან არსებულ სახელოსნოს გამგედ. იგი უხეშად ეპყრობა მუშა-მოწაფეებს, სახელოსნოში იჩენს საქმისადმი უყაირათობას.

ამით დამთავრდა საქართველოს მთიელთა კულტურულ საზოგადოების აპარატის თანამშრომელთა წმენდა. გამწმენდი კომისია ამ დღეებში გამოაქვეყნებს წმენდის შედეგებს.

სასამართლო

ექიმ ჩიგოგიძის მკვლელთა გასამართლება

გასული წლის 29 ივნისს, ღამით სოფ. ერკეთის მახლობლად (ჩოხატაურის რაიონი) მოკლეს ჩოხატაურის საავადმყოფოს გამგე ექიმი ვანო ჩიგოგიძე.

ექ. ჩიგოგიძე ითვლებოდა თავდადებულ მუშაკად და გლეხობაში დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. გლეხობის აქტიური დახმარებით ადგილობრივმა მილიციამ მალე მიაგნო მკვლელის კვალს.

ვინ აღმოჩნდა მკვლელი?

1928 წელს ოზურგეთში შესდგა ექიმთა კონფერენცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამართულ ვახშამზე ექ. ჩიგოგიძესა და ოზურგეთის საავადმყოფოს გამგე ექ. ივანე უჯმაჯურიძის შორის ჩამოვარდა უთანხმოება, ხსენებულ ვახშამზე ჩიგოგიძემ ხმამაღლა განაცხადა, რომ უჯმაჯურიძე სიმულიანტია, ის არაა ექიმი.

ჩიგოგიძის განცხადებამ დამსწრეთა შორის დიდი გაოცება გამოიწვია. გამოიყო ექიმთა სპეციალური კომისია სინამდვილის გამოსარკვევად, მაგრამ მალე კომისიამ მუშაობაზე ხელი აიღო და უჯმაჯურიძის „სიმულიანტობის“ ამბავი დავიწყებას მიეცა.

მაგრამ უჯმაჯურიძის ექიმობის „შედეგები“ ხალხში თანდათან დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. საქმე იმაში იყო, რომ ოზურგეთის საავადმყოფოდან იშვიათად გამოსულა ვინმე განკურნებული. საავადმყოფოში დღითიდღე მატულობდა სიკვდილიანობის შემთხვევები, რის გამო მოსახლეობაში ათასგვარ მითქმა-მოთქმას ჰქონდა ადგილი.

1930 წლის თებერვალში ილიკო აბაშიძემ ოზურგეთის საავადმყოფოში მოსალოგინებლად მიიყვანა თავისი ცოლი მაშო აბაშიძე, რომელიც გარდაიცვალა. ილიკო აბაშიძემ ცოლის სიკვდილში ბრალი დასდო საავადმყოფოს გამგეს ექიმ უჯმაჯურიძეს და მის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე.

იმავე წლის აპრილში მ.-გ. ინსპექციამ გამოიკვლია საავადმყოფოს მდგომარეობა და აღმოაჩინა მრავალი დაუშვებელი დეფექტი და დანაშაულებრივ მოქმედების შემთხვევები.

საავადმყოფოში გამეფებული იყო სრული უწესრიგობა, უპასუხისმგებლობა და ანტისანიტარია. ავადმყოფებს არ ჰქონდათ შესაფერი მოვლა და საექიმო ზედამხედველობა.

საავადმყოფოს დეფექტები კიდევ უფრო სააშკარაოზე იქნა გამოტანილი საავადმყოფოს აპარატის წმენდის დროს. უჯმაჯურიძეს ბრალი დასდევს მასში, რომ მისი სუსტი ხელმძღვანელობისა და გამოუცდელობის გამო ავადმყოფებს მდგომარეობა ურთულდებოდათ და ხშირი იყო სიკვდილიანობა.

ექ. უჯმაჯურიძე მოხსნილ იქნა თავის თანამდებობიდან. ამის მთავარ მიზეზათ მან ჩასთვალა ექ. ჩიგოგიძის განცხადება, რის შემდეგ, მისმა ძმამ—ვასილ უჯმაჯურიძემ ჩიგოგიძე მიიჩნია მტრად და გადასწყვიტა შურისძიება.

ვასილ უჯმაჯურიძე ოზურგეთის მთელ რაიონში ცნობილია როგორც ხულიგანი, თავზე ხელაღებული და წესრიგის დამრღვევი. ის ყოველთვის უსაქმოდ დაეხეტებოდა და ცხოვრობდა თავისი ძმის ექ. უჯმაჯურიძის დახმარებით.

ექიმ უჯმაჯურიძის სამსახურიდან მოხსნით კი მას ესპობოდა უშრომლად ცხოვრების საშუალება, რაც ყველაზე უფრო მეტად აწუხებდა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ვასილ უჯმაჯურიძემ 1930 წლის 29 ივნისს იქირავა ცხენი და კარგად დაღამებული იყო, როცა კარზე მიადგა ექ. ჩიგოგიძეს, რომელსაც მან თავი გააცნო სოფ. ერკეთში მცხოვრებ აგენტად და სთხოვა ავადმყოფის სანახავად წაყოლა.

ჩიგოგიძე მაშინვე მოემზადა წასასვლელად. ვასილ უჯმაჯურიძემ ექიმს დაუთმო ცხენი და თვითონ ფეხით გაჰყვა.

როცა სოფელს მიუახლოვდნენ, მოხერხებულ ალაგას ვასილ უჯმაჯურიძემ მალულად იშოვა სარი და ექიმს თავში რამდენჯერმე ზედიზედ ჰკრა. თავგაპობილი ჩიგოგიძე ცხენიდან გადმოვარდა. მკვლელი კი შეჯდა ცხენზე და მიიმალა.

გამვლელი გლეხები თავს წააწყდნენ გონებადაკარგულ ჩიგოგიძეს და სასწრაფოდ ჩოხატაურის საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ის იმავე ღამეს გარდაიცვალა.

სათანადო ღონისძიებების მიღების შემდეგ მკვლელი შეიპყრეს. დააპატიმრეს აგრეთვე ექ. ივანე უჯმაჯურიძე. მას ბრალდება მკვლელობაში ძმის წაქეზება.

20 თებერვალს უჯმაჯურიძეების საქმეს ადგილობრივ ჩოხატაურში განიხილავს საქ. უზენაეს სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

რ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მუშებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების თბილისის საქალაქო ელექტრო-რკინის გზით შეღავათიანი მიმოსვლის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა იმ მუშებს, რომელნიც სამუშაო ხელფასს 200 მან. მეტს არ იღებენ თვეში, და აგრეთვე ქალ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მიეცეს უფლება შეღავათიანი მიმოსვლისა თბილისის ელექტრო-რკინის გზით (ტრამვაით) ამა დადგენილების ქვემოთმოყვანილ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

შენიშვნა: სამსახურში მყოფ სტუდენტებს ამა მუხლში აღნიშნული შეღავათები არ ეძლევათ.

2. ტრამვაის შეღავათიანი ბილეთის მიღების უფლება აქვთ 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა შორის იმათ, ვინც საწარმოზე თუ სასწავლებელზე 1,5 კილომეტრის და მეტი მანძილის დაშორებით ცხოვრობს.

3. შემოღებულ იქნეს შემდეგი ტარიფი შეღავათიან ბილეთებზე თვეში—48-ჯერ მიმოსვლისათვის:

ა. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მუშებისათვის

ა) ერთი საგარეუბნო მარშრუტით მიმოსვლისათვის 2 მან. და 40 კ.
ბ) ერთი ცენტრალური მარშრუტით მიმოსვლისათვის 4 მან. და 80 კ.
გ) ერთი საგარეუბნო და ერთი ცენტრალური მარშრუტით მიმოსვლისათვის 7 მან. და 20 კ.
დ) ორი საგარეუბნო და ერთი ცენტრალური მარშრუტით და აგრეთვე ორი ცენტრალური მარშრუტით და მეტი მიმოსვლისათვის 9 მან. და 60 კ.

ბ. უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებისათვის:

როდესაც ბილეთი ღირს	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 10 მანეთამდე აქვს	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 10 მან. მეტი აქვს—50 მან-დე	ვისაც სამუშაო ხელფასი თვეში 150 მან. და მეტი აქვს 200 მან.-მდე
2 მან. და 40 კაპ.	1 მან.	1 მან. და 25 კაპ.	1 მან. და 50 კ.
2 მან. და 80 კაპ.	2 მან.	2 მან. და 50 კაპ.	3 მან.
7 მან. და 20 კაპ.	2 მან.	3 მან.	3 მან. და 50 კ.
9 მან. და 60 კაპ.	2 მან.	3 მან. და 50 კაპ.	4 მან.

ბილეთის დანარჩენ ღირებულებას (მე-3 მუხ. „ა“ ლიტ.) და გადაიხდის საწარმო, რომელშიაც მუშა მსახურობს.

5. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ბილეთების ფასს იხდიან მე-3 მუხლის „ბ“ ლიტერში აღნიშნული შეღავათიანი ტარიფით.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის 1931 წ. თებერვლის 1-დან; ამასთანავე თბილისის საქალაქო ელექტრო-რკინის გზის დირექციამ და საწარმოთა ადმინისტრაციამ უნდა მოახდინონ ბილეთების ფასის ანგარიშის გასწორება მე-3 და 4 მუხლებში წესების მიხედვით.

7. მიენდოს თბილისის საქალაქო საბჭოს გამგეობას, შრომის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 10-ის დადგენილება „თბილისის ტრამვაის შეღავათიანი ბილეთების გაცემის წესის შესახებ“ („კომუნისტი“-ს 1931 წ. მე-11 №-ი) გაუქმებულ იქნას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—ა. ანთაძე.

1931 წ. თებერვლის 11.
თბილისი — სასახლე.

პარტიული ქრონიკა

— საქ. კ.პ. (ბ) ცკას სამდივნოს დადგენილების თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები გაწვეული არიან მობილიზაციის წესით ცკას ორგაპარატში სამუშაოდ.

ივ. ჩანკვეტაძე (საქ. მიწსახკომი), ე. გვილავა (პროკურატურა), შავეულიძე (მომარაგების სახ. კომისარიატი), ნაზაროვი (საქ. ცაკი), ა. გურგენიძე მიწა-ტყის მუშ. კავშ. ცენტრ. გამგეობა), ჩერქეზიშვილი (ლაფოების ტრესტი, „ნოვოლუბტრესტი“). 6. ჯიბუტი (საქ. ცაკი) და დარახჩიევი (26 კომ. რაიკომი).

საქ. კომპარტიის (ბ) ცკას საორგ. განყოფილება წინადადებას აძლევს ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ცკაში დღეს, დილის 11 საათისათვის.

—

საქ. კ.პ. (ბ) ცკას კადრების განყოფილება სთხოვს —სენაკის, ქუთაისის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, ახალციხის, ახალქალაქის და ოზურგეთის რაიკომების მდივნებსა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს შემოიარონ ცკაში (მე-2 სართული, ოთახი —51) დღეს, 12 საათზე, ამხ. მელიძესთან, თათბირზე დასასწრებლად.

—:—

— საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. სიხარულიძეს (სახ. კვების (ც.გ. მდივანს) 16 თებერვალს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (ოთახი—№ 13). თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში—აცნობოს საკონტროლო კომისიას თავისი მისამართი.

—

— დღეს, 15 თებერვალს, საღ. 8 საათისათვის, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთავ. პრ. № 21, მე-3 სართული) შესდგება ყველა ტიპის სკოლებისა და წრეების ხელმძღვანელების თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან უჯრედის კულტპროპები. თათბირის დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები ადგილებიდან პარტთათბირის შესახებ. გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

—16 თებერვალს, საღამოს 7 საათისათვის მოწვეულია სამედიცინო ინსტიტუტის კომუჯრედისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახელმწ. ოპერა

დღეს 15 თებერვალს
სრულიად საქართვ. საბჭოების ყრილობა

ორშაბათს, 16 თებერვალს
ფატმა მუხტაროვას პირველი გამოსვლა, აბონ. გარეშე ქართულ ენაზე
კარმენი

სამშაბათს, 17 თებერვალს
მე 12 აბონ. მე 4 წარმოდგ. ს. ი. მიგაის მონაწილეობ.
დემონი

ოთხშაბათს, 18 თებერვალს კარმენი ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით.
13 თებერვლისათვის აღებული ბილეთები გამოდგება 18 თებერვალს.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტად 7 საათზე და 30 წუთზე. ნ. 373

---

16 თებერვალს
1-ლი აბონემ. მე-5 წარმოდ.
სამი გლენძი

17 თებერვალს
მე 13 აბონ. მე 4 წარმოდ.
სამი გლენძი

წარმოდგენის დღის 2 საათზე ვინც არ შემოიტანს [illegible] წარმოდგენას ვერ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. ნ. 377

კინო პალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

ახალი მხატვრული ფილმი
ნამდვილი სტუმრება
რეჟისორები ა. ლავროვსკი, [illegible] ულიცკაია.

რ. ლიუქს
სახ. კინო
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

უცხოეთის ახალი ფილმი
პორი PORI პორი
სურათში გადაღებულია ნადირობა ლომებზე, ვეფხვზე და სხვ.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

„ვოსტოკკინო“-ს ახალი ფილმი
იგდენბუ
რეჟისორი ამო ბეკ ნაზაროვი.

სპარტაკი საღამოს სეანსები
1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

„მეჟრაბპომ ფილმის“ ახალი სურათი
ჩინები და ადამიანები

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.

„სოიუზკინო“-ს ახალი მხატვრული ფილმი
ბედნიერი კენტი

საზამთრო დარბაზი
სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.

მხატვრული სურათი
ზარე
მარიამ ტენაზის მონაწილეობით

სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი სატრაქციონო პროგრამა
ცნობილ მუსიკალურ ხატირიკოსების **ბიმ-ბომის** (ნამდვილი) გასტროლები
ცირკის გუმბათ ქვეშ მფრინავი 4 ჯიოვანის გასტროლი. საზუფონიადო კლოუნების რეპ და მიშელის პირველი დებიუტი და ბევრი სხვა ატრაქციონი.
კვირას, 15 თებერვალს გადიდებული საბავშვო დილა. საღამოს [illegible] დასაწყისი 2 საათზე. საღამოთი 8 საათზე. [illegible]

სახაზავი ნივთები

თანახმად ა.-კ. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის განკარგულებისა № 1370, 31/XII თარიღით და № 1346, 26/XII თარიღით

ქ. თბილისის სამრეწველო სექტორის მომარაგება საზაზავ-ტეხნიკური ნივთებით გადაეცა მუშკოოპს

სამრეწველო სექტორს ეკუთვნის:
ტრესტების და გაერთიან ბათა გამგეობანი, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კომუნალური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

ყველა აღნიშნული დაწესებულებები, რომელთაც დღემდე არ წარმოუდგენიათ დაკვეთები, ვალდებული არიან გაუგზავნონ **არა უგვიანეს 20 თებერვლისა** დაკვეთები ორ ცალად მუშკოოპის საკანცელარიო ნივთების [illegible] ჟორესის ქუჩა, № 7) № 37 ოთახში, მეორე სართული, ტელეფ. № 27—63.

ნ 382—1 **მუშკოოპი.**

---

16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის პროსპექტი № 21, სახალხო მეურნეობის საქმიან კლუბში, დაიწყება

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ აპარატის საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს თუ აქვთ რაიმე მასალები აღნიშნულ დაწესებულებების თანამშრომლებზე დაესწრონ წმენდას და ან ასეთები გადასცენ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. არუთინოვის სახელზე შემდეგი მისამართით პუშკინის ქ. № 3 საქ. სმუს-ი.

3—2 ნ. 326 **გამწმენდი კომისია.**

მუშკოოპის ყველა მეპაიეს, კოოპ. აქტივს და მუშაკებს

საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

16, 18, 20, 22, 24 და 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ამხ. ვ. ბახტაძის თავმჯდომარეობით

გრძელდება მუშკოოპის გამგეობის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა საჯარო წმენდა

წმენდას გაივლიან სადეფიციტო საქონლის განყოფილების (სასურსათო წინაპყენების სექციის) თანამშრომლები.

ყველა [illegible] საწინააღმდეგო მასალები, როგორც აღნიშნული განყოფილების თანამშრომლებზე და მოსამსახურეებზე, აგრეთვე ცნობები იმ პირებზე, რომლებიც ახასიათებენ ორგანიზაციის მთლიან მუშაობას, უნდა გაეგზავნოს მუშკოოპის აპარატის გამწმენდ კომისიის მდივანს ამხ. ჟურაშვილს შემდეგი მისამართით: მუშკოოპის გამგეობა, ჟორესის ქ. № 7, მე-2 სართული, ოთახი № 34.

გამწმენდი კომისია.

3—2 ნ 364

საჩივრით „კომუნისტი“-ს მიუღებლობის შესახებ მიმართეთ საგაზეთო ბიუროს
ტელეფონი № 17-55 ან 28-10.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრ. სისუსტის მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ეკონომისტი
ვეძებ შესაფერ სამსახურს, მხოლოდ თბილისის ფარგლებში. განაკვეთი არა უმცირეს 250 მან. პირველ თვეებში. თბილისი „მოთხოვნა-დე“ ეკონომისტს. 12-1

ექიმი ქალი
ნინო მირიანაშვილი
[illegible] და ვენერიული სნეულებანი: ტრიპერი, სიფილისი. [illegible] „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6 8 საათამდე მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან. ტელ. 14 23
25—3

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47.

გამოცდილი
კალიგრაფი-ბუღალტერი
საბუღალტრო კურსებზე
შემსვლელებს ამზადებს მათემატიკაში, აგრეთვე [illegible]
სულ მოკლე ხანში უსწორებს ხელს წერაში და ასწავლის ლამაზ წერას
მაცადინობა ქართ. და რუს. ენებზე. ალავერდის ქ. [illegible] 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3. (ლერმონტოვის ქუჩ. [illegible] 2-ის მახლობლად). 2—1

ექიმი
ს. ანდრეევსკა
[illegible] ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა [illegible] (კვარც [illegible]). ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. [illegible] 29 [illegible] 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყ. დილის 8 9 საათ. და საღ. 6 7 ნახ საათ მისამართი: [illegible] ქუჩა № 7 [illegible] 5 21

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— დამლაგე სალაროს წიგნაკი № 109 ნიკო ბედოშვილის სახ. 1208
— რკინის გზის პირადობის მოწმობა № 63/რ ანა როსტიაშვილის სახ.
— სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი იაშა ვაშაძის სახელზე. 1220
— 9 წლედის დამთავრების მოწმობა № CO 6 ალექსანდრე ეზაკოლის სახელზე. 1204
— სამხედრო ბარათი მიტა თათხაშვილის სახელზე. 1204
— [illegible] სამუშაო და ასაკრეფი წიგნაკი № 33473 10 მარიამ ბებიაშვილის სახელზე. 1204
— შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 128 გიორგი ტყეშელაშვილის სახელზე. 1204
— სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფ. № 1 ნიკოლოზ იმერიშვილის სახელზე. 1204

სამუდამოთ [illegible] მშობლები: რაჟდენი და მარგალიტა, ძმა [illegible], დები: ლენა და [illegible] ბუაჩიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ

თამარა რაჟდენის ასული ბუაჩიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს 15 თებერვალს, 4 ნახ. საათზე, კალინინის ქ. № 75 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 1206

მწუხარებაში მყოფნი: ბაბუა [illegible] შვილებით ნინა, ვიქტორი, თამარა [illegible] ქეთო, [illegible] მარო, [illegible] და მატა [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ

თამრიკო რაჟდენის ასულ ბუაჩიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას, 15 თებერვალს, 4 ნახ. საათზე, კალინინის ქ. № 75. 1183

დაწუხებული ბიძაშვილები: [illegible] ოლია, [illegible] თინა, ოლიკო, [illegible] და კოტა [illegible] ბუაჩიძეები [illegible]

თამარ რაჟდენის ასულ ბუაჩიძის

უდროოდ დაკარგვას. 1206

---

13 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატერინე ზაქარიას ას. ბალაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დამწუხრებულნი მეუღლე აბრამი [illegible], შვილები: [illegible] ელენე, რძლები და შვილიშვილები. გამოსვენება 15 თებერვალს, ბინიდან (კუკიის ჩიხი № 8). ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე 1229

ვანო და დარო [illegible] შვილებით: [illegible] თამარა, [illegible] და მარო, რძალი მანანა, სიძე გიორგი [illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე ზაქარიას ას. ბალაშვილი

დაკრძალვა 15 თებერვალს. 1208

იოსები და მანანა [illegible] შვილებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამიდის

ეკატერინე ზაქარიას ას. ბალაშვილის

გარდაცვალებას. 1213

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პელაგია [illegible] მწუხარებით გამოსთქვამენ ძვირფას

ივანე ნიკოლოზის-ძე ცინცაძის

გარდაცვალების გამო. დასაფლავება ს. ჩოხატაურში, სამშაბათს, 17 თებერვალს. 1240

დამწუხრებული მეუღლე მარო მშობლები: [illegible] აუწყებენ [illegible] და ნათესავებს, რომ 15 თებერვალს, 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძველ მებრძოლ ბოლშევიკის

საული გოგიჩაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად სოფ. ლესაში. 2—2 1184

დამწუხრებული სიძეები: გრიგოლ ქირია, სპირიდონ [illegible], დისშვილები: გიორგი და არჩილ [illegible] აუწყებენ, რომ გარდაიცვალა [illegible] მათი საიმედო

ქსენია შმიტცი

სამოქალაქო პანაშვიდი [illegible] 1230

ს. ქ. ს. ძ. უ ს. [illegible] თანამშრომლები: ლ. [illegible] აუწყებენ საზოგადოებას [illegible]

არჩილ ანდროს-ძე ლორთქიფანიძის

ქალ. სამტრედიაში გარდაცვალებას. 1211

ბაბო და ბესარიონ მიქელაძეები გამოსთქვამენ თავის მწუხარებას დაუვიწყარ

არჩილ ანდროს-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო. 1219

გულდაწყვეტილი მეუღლე მარიამი შვილებით: სოფია, ქეთევანი, ლუკა [illegible]; რძალი ნინო, სიძე გრიგოლ [illegible], შვილიშვილები: [illegible] იუწყებიან დაუვიწყარ

ივანე ლუკას-ძე ბექაიას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. [illegible] მე-3 ჩიხი, № 13. დაკრძალვა 17 თებერვალს, 5 საათ 1355 2—1

დამწუხრებული ძმისშვილები: ოლია, [illegible] და ვასილი; რძლები: ნინო [illegible] და ელენე [illegible], სიძე დავით [illegible], შვილიშვილები: [illegible] იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ

ივანე ლუკას-ძე ბექაიას

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე, დაკრძალვა 17 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 1256

გულმოკლულნი: ბიძა და ბიცოლა, [illegible] და ლუბა [illegible] შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ

ლოლიჩკა ქებურიას

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ჩხოროწყუში, კვირას, 15 თებერვალს. 123[illegible]

ღრმად დამწუხრებული მამა კოლია სტეფანეს ძე ქებურია, დედა დონია, შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათ საყვარელ

ლოლიჩკას

გარდაცვალებას, დასაფლავება სოფ. ჩხოროწყუში, კვირას, 15 თებერვალს. 1233

ღრმად დამწუხრებული ცოლი ანა შვილებით: ქორა, დოდია, [illegible], რძალი მარო იუწყებიან, რომ

დავით კაციას-ძე კერესელიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დღეს, 5 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე. 249

დამწუხრებული მეუღლე [illegible], შვილები: ლენა და [illegible], ძმა [illegible], სიძე [illegible] შვილით იუწყებიან დაუვიწყარ

ალექსანდრე გიორგის-ძე ფირცხალავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 თებერვალს, ს. კონტუათში. 1218

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დავით კონსტანტინეს ძე და ლუბა კონსტანტინეს ასული წყალობაძეები [illegible] იუწყებიან, რომ [illegible] გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა

ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე წყალობაძე

[illegible] ქუთაისში, სამშაბათს, 17 თებერვალს. 2—1 1238

მე-3 საექიმო უბნის ექიმები ს. [illegible], ე. მახარაძე, გ. გამყრელიძე ა. ლომსაძე, ნ. შენგელია, მ. [illegible], ე. გვაზავა და ნ. მალდაძე იუწყებიან ძვირფასი ძმობის და საუკეთესო ამხანაგის

ექიმ შაქრო მიროტაძის

უდროოდ დაკარგვას. 1190

[illegible] კომიტეტი და სოხუმის [illegible] იუწყება აქტიურ წევრის ენერგიული მშრომელის, სანატორიუმის გამგე

ექიმ შაქრო მიროტაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1190

უახლოესი მეგობრები: კ. ლომიძე, გ. ძგალობლიშვილი, [illegible] გამოსთქვამენ დაუვიწყარი მეგობრის

ექიმ შაქრო მიროტაძის

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა ქ. სოხუმში, 15 თებერვალს 4 ნახ. საათზე 1190

ა.-კ. სამთო [illegible] მუშა-მოსამსახურეები: [illegible] იუწყებიან, რომ ვერაგულად მოკლეს [illegible]

არტემ გაბრიელოვი

დ. სასაფლავება ბორჯომში, დღეს. 1242

ბორჯომის საკურორტო [illegible] ბიურო კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს [illegible] ერთ-ერთ აქტიურ წევრის ახალგაზრდა შოფერის

ამხ. არტო გაბრიელოვის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება ბინიდან 15 თებერვალს, ქ. ბორჯომში. 1216

უახლოესი მეგობრები: [illegible] მწუხარებით იუწყებიან ახალგაზრდა შოფერის

ამხ. არტო გაბრიელოვის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება ბინიდან 15 თებერვალს ქ. ბორჯომში. 1215

დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე და შვილი ვლადიმერ სანიკიძეები იუწყებიან, რომ 13 თებერვალს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი მეგობარი და დედა

თამარი ავთანდილის ას. სანიკიძისა

სამოქ. პანაშვიდი 16 თებერვალს 6 საათზე ქ. 1 კლინიკის (ყოფ. ალექ. საავადმყოფო) [illegible] დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1234

შვილები: [illegible] ნინო, [illegible] სონია, [illegible] რძლები, სიძე [illegible] და შვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მამა

ონისიმე ბიჭიას-ძე სვანიძე

სამოქალაქო პანაშვიდი და დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან [illegible] ქ. 10. 1212

შრომის არტელი „საქართველოს მშენებლობის“ („გრუზტრომი“-ს) გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას და წევრებს მის თანამშრომლის [illegible] შვილის ახალგაზრდა ინჟინერის

მიშა ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, გამოსვენება 15 თებერვალს, 5 საათზე, [illegible] ქ. მეორე შესახვევი № 4. საკუთარი სახლი 1217

თამარა [illegible] უდროოდ დაკარგულ ძვირფას მეგობარს

ინჟ. მიშა ბაქრაძეს

დაკრძალვა 15 თებერვალს, ქ. ქუთაისში. 1275

ღრმად დამწუხრებული მამა სტეფანე, ძმები: ამბროსი და ვანიჩკა, რძალი მარიამი, დები: თამარა, [illegible] და ივლიტა ხუნდაძეები, სიძეები: [illegible] იუწყებიან ნათესავებს და მეგობრებს ახალგაზრდა მათთვის დაუვიწყარი

ილია სტეფანეს-ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან სამშაბათს, 17 თებერვალს, 4 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1243

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის სადგურის პარტიული კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს [illegible]

ილია სტეფანეს-ძე ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან 15 თებერვალს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1246

თბ. [illegible] უჯრედი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე უჯრედის საუკეთესო წევრის

ილია სტეფანეს-ძე ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოდან 15 თებერვალს 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1247

დამწუხრებული მშობლები: ვალენტინ, მარო [illegible] შვილებით, [illegible] ნადია [illegible] შვილებით იუწყებიან საყვარელ პატარა

კიმის

[illegible] დაკრძალვა [illegible] სამშაბათს 17 თებერ.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები: ნიკიფორე, ალიოშა, სონია, [illegible] რძლები და შვილიშვილები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 12 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ლავრენტი სოლომონის-ძე ქინქლაძე

დაკრძალვა [illegible] რაიონში, სოფ. [illegible] კვირას, 15 თებერვალს. 1210

[illegible] გულმოკლული [illegible] შვილით პატარა [illegible] ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლეს

თამარა სოლომონის ასული ბაბუციძე-კოგახიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება სამშაბათს, 17 თებერვალს 4 საათზე. [illegible] ქ. № 8. 1232

დამწუხრებული მეუღლე მარია, მშობლები: ვასილი და [illegible], ძმები: პლატონი, გერონტი და გრიგოლი, და დარიკო, რძლები: ნადია, მაშო და [illegible], ლევან და [illegible] კამკამიძეები იუწყებიან მათთვის ძვირფასი

კონსტანტინე (კოწიას)

უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა სამშაბათს, 17 თებერვალს, [illegible] ნ. 375

ხარაგაულის [illegible] გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის, კოლექტივის წევრის

კოწია ვასილის-ძე კიკნაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. 1241

ხარაგაულის რაიკავშირის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ხარაგაულის პარტ-ორგანიზაციის წევრის

კოწია (კონსტ.) ვასილის-ძე კიკნაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. 1245

დამწუხრებული მშობლები: ერმოლოზ [illegible] წულაია, თამარა [illegible], ბიძები: [illegible] შვილებით იუწყებიან მათთვის საყვარელი შვილის

ნოდარიკო წულაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე. 1737

[illegible] ლუკა [illegible] შვილით აუწყებს ამხ. და მეგობრებს [illegible] წულაიას უსაყვარლესი შვილის პატარა

ნოდარის

უდროოდ დაკარგვას. 1244

დამწუხრებული შვილები: არჩილ, [illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი [illegible]

საქულა დავითის-ძე აივაზოვი

გამოსვენება დღეს, 4 საათზე, [illegible] ქ. 30. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 1224

ღრმად დამწუხრებული [illegible] იუწყებიან [illegible] და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

კოლია მიხეილის-ძე ღრუბელაძე

გამოსვენება ბინიდან შამხორის ქ. № 5. დაკრძალვა 15 თებერვალს 4 საათზე 1714

[illegible] დედა ვარდიკო, დები: მარუსია თამარა, ძმები: [illegible] 5 საათზე [illegible] სამოქალაქო პანაშვიდი მათი უსაყვარლესი ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის

კოლია წითლიძის

[illegible] 1728

ტირაჟი — 73 [illegible]